



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-9/2
1986

74

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

1. 1986

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, № 1

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს

Журнал основан в 1980 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ

Выходит раз в 3 месяца



1. 1986

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

● თბილისი
ТБИЛИСИ

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე, ვ. კეშელავა,
ზ. მიქელაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джисоев О. И. (зам. редактора),
Кешелав В. В., Микеладзе З. Н., Надирашвили Ш. А., Прангишвили А. С.,
Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор).

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიცენა“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, № 1

რ ე დ ა კ ტ ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

А д р е с р е д а к ц и и : Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

გადაეცა წარმოებას 26.11.85; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.03.86; შკვ. № 3783;
ანაწყოების ზომა 7×11¹/₂; ქაღალდის ზომა 7×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი
თაბახი 9,8; საარტიკულო-საგამომცემლო თაბახი 7,5; უე 04556; ტირაჟი 650;
ფაზი 85 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

საბოთა საქართველო — 65

მ. მახარაძე, ქართული ფილოსოფიური აზრი საბჭოთა ხელისუფლების წლებში	5
შ. ნადირაშვილი, ი. იმედაძე, ფსიქოლოგიის განვითარება საბჭოთა საქართველოში	17

ფილოსოფია

რ. შენგელია, რელიგიური და მხატვრული	26
ძ. გოგიაძე, ადამიანი დროის სისტემაში	39

ფსიქოლოგია

ბ. გომილაძე, მუსიკის წარმოსახვის გრაფიკული ჩაწერა	45
ლ. სამსონიძე, რიტმის როლის განსაზღვრისათვის ვერლიბრის მხატვრული აღქმის პროცესში	54
ნ. შაჰვაშაძე, სოციალური განმტკიცება თეორიული ქცევის, შემეცნების განწყობის რეალიზაციისას	71
დ. ბაგრატი (ცხინვალი), ფსიქოლოგიის როლი და ამოცანა ბავშვთა კლინიკაში	82
შ. ბელაშვილი, დატვირთვის პროცესში ხელის მტევნების ფილოგენეზურად სხვადასხვა მოქმედებაში განსხვავებულობის დინამიურობა ასაკობრივ ასპექტში	86

დინამიკა

ზ. ვოლგასტი (დრეზდენი), არსებობს თუ არა ქართული რენესანსი? შენიშვნები სადავო პრობლემაზე	93
შ. ხიდაშელი, რამდენიმე განმარტება ჩემს წიგნზე Вопросы грузинского Ренесанса, Тб., 1984 გამოთქმული შენიშვნების გამო	102
ჟურნალ „მაცნე“ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერიის 1985 წლის შინაარსი, № 1—4	110

СОДЕРЖАНИЕ

СОВЕТСКАЯ ГРУЗИЯ — 65

М. К. МАХАРАДЗЕ, Грузинская философская мысль в годы Советской власти	5
Ш. А. НАДИРАШВИЛИ, И. В. ИМЕДАДЗЕ, Развитие психологии в Советской Грузии	17

ФИЛОСОФИЯ

Р. П. ШЕНГЕЛИА, Религиозное и художественное	26
К. Ш. ГОГСАДЗЕ, Человек в системе времени	39

ПСИХОЛОГИЯ

К. А. ГОГОЛАДЗЕ, Графическое отражение музыкального воображения	45
Л. С. САМСОНИДЗЕ, Об определении роли ритма в процессе художественного восприятия верлибра	54
Н. Н. ЧАВЧАВАДЗЕ, Социальное подкрепление при реализации установки теоретического, познавательного поведения	71
Д. Д. БЕКОЕВА (Цхинвали), Роль и задачи психолога в детской клинике	82
М. Г. ГЕЛДИАШВИЛИ, В процессе нагрузки динамичность различий кистей рук филогенетически в разных действиях в возрастном аспекте	86

ДИСКУССИИ

З. ВОЛГАСТ (Дрезден), Существует ли грузинский Ренессанс? Замечания по спорным проблемам	93
Ш. В. ХИДАШЕЛИ, Несколько разъяснений по поводу замечаний к моей книге «Вопросы грузинского Ренессанса», Тб., 1984	102
Содержание журнала «Мацне» серии философии и психологии за 1985 год, № 1—4	110



საბჭოთა საქართველო—65

მინილ მახარაძე

ქართული ფილოსოფიური აზრი საბჭოთა ხელისუფლების წლებში

18.2.85

ქართულმა ფილოსოფიურმა აზრმა განვითარების ხანგრძლივი პერიოდი გაიარა და განსაკუთრებულ მაღალ დონეს შუა საუკუნეებში მიაღწია. ამ პერიოდის საქართველოში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეები და მთარგმნელები — ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი. წინამდებელი ფილოსოფიური სისტემების უმთავრესი პრინციპები ასახულია აგრეთვე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებით გამოყოფდა ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწის ღვაწლს ქართული კულტურისათვის. მისი შენიშვნით, თუკი აღნიშნულ მოაზროვნეებამდე თარგმნილი ნაწარმოებები არსებობდა „საღვთისმეტყველო ფილოსოფიური იყო“, ეფრემ მცირე და მეტადრე იოანე პეტრიწი „საფილოსოფიო მწერლობას ეტანებოდნენ სათარგმნოდ“, ურთავდნენ თავიანთ განმარტებებს, რის საფუძველზედაც „ამ დროს ქართული ორიგინალური საფილოსოფიო მწერლობაც ჩნდება“ (იხ. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 299. ხაზგასმა ავტორისა).

ნიშანდობლივი იყო, რომ შუა საუკუნეების ქართულმა ფილოსოფიურმა აზრმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ დროისათვის მოწინავე ფილოსოფიურ სისტემას — ნეოპლატონიზმს. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, ნიკო მარის თვალსაზრისის გათვალისწინებით, შემდეგს აღნიშნავს: „მეტად საკულისხმო და საყურადღებოა, რომ მაშინდელ საქართველოში საფილოსოფიო ნეოპლატონური მწერლობა გაჩნდა და ქართველი მეცნიერები იმგვარსავე რთული საფილოსოფიო საკითხებით იყვნენ გატაცებულნი, რომელიც მაშინდელ მოწინავე ქრისტიანთა ერებს აღელვებდათ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში...“ (იქვე, გვ. 300—301. ხაზგასმა ავტორისა).

ნეოპლატონიზმი — ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის თავისებურ და ორიგინალურ სინთეზს წარმოადგენდა, იგი ეპოქის მოწინავე ფილოსოფიური სისტემა იყო. ამ რანგის ფილოსოფიურ მოძღვრებასთან ზიარება და შემდგომ მისი გათავისება, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი ქართულ სინამდვილეში, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრისა და საერთოდ ქართული კულტურის მაღალ დონეზე მიუთითებს. აღნიშნული ორიგინალური ათვისების საფუძველზე კი წარმოიქმნა ნეოპლატონიზმის სრულიად ახალი მიმართულება — „ქართული ნეოპლატონიზმი“ (ტერმინი ნიკო მარს ეკუთვნის).

„ქართული ნეოპლატონიზმის“ მწვერვალია იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა. მის შესახებ აღფრთოვანებით ლაპარაკობენ ანტონ ბაგრა-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ტიონი და სოლომონ დოდაშვილი. შალვა ნუცუბიძე იოანე პეტრიწს რენესანსული ყაიდის მოაზროვნედ მიიჩნევს. ამ თვალსაზრისს დღეისათვის ბევრი მკვლევარი იზიარებს.

იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობრივი მრწამსი კარგად ჩანს მის მიერ შერჩეული სათარგმნელი ფილოსოფიური ლიტერატურიდანაც (არისტოტელე, პროკლე, ნემესიოს ემესელი). საგულისხმოა, რომ იოანე პეტრიწმა განმარტებები დაურთო ნეოპლატონიკოს პროკლეს „თეოლოგიის პირველსაფუძვლებს“, როგორც მისი ეპოქის სულიერი მოთხოვნების ყველაზე შესაბამის თხზულებას. პეტრიწთან უფრო განმტკიცდა პირველმთხვევისა და სამყაროს ერთიანობის ნეოპლატონური იდეა, რომელიც, როგორც ცნობილია, რენესანსის ერთ-ერთი ძირითადი მსოფლმხედველობრივი საფუძველია. პეტრიწი იცავს და თავისებურად აფითარებს სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის თვალსაზრისს, რომელსაც ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რენესანსული მსოფლმხედველობისათვის. მასთან დეტალურადაა გაანალიზებული პროკლეს ფილოსოფიაში მოცემული მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების ყველა შესაძლებელი ალტერნატივა, რის საფუძველზედაც პეტრიწის თვალსაზრისი ტრიადაზე ახლებურად და ორიგინალურად გამოიყურება. ბოლოდროინდელი გამოკვლევებიდან ჩანს, რომ პეტრიწის ფილოსოფიაში საფუძვლიანადაა დამუშავებული ანალოგიის პრინციპი, რომელიც აქამდე უფრო გვიანდელი დროის მოაზროვნეს — ალექსანდრე ჰალიელს მიეწერებოდა, და ადამიანის დანიშნულებასთან დაკავშირებული საკითხები. ასე რომ იოანე პეტრიწი პროკლეს „თეოლოგიის პირველსაფუძვლებს“ მისეულ ქართულ თარგმანზე დართული განმარტებებით, წინასიტყვაობითა და ბოლოსიტყვაობით ორიგინალურ მოაზროვნედ წარმოგვიდგება შუა საუკუნეების ფილოსოფიაში.

ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე ს შემოქმედებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს არეობაგიტული მოძღვრების თარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე, რითაც შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა ხელმისაწვდომი და მახლობელი გახდა ქართული კულტურისათვის. დამოუკიდებლად იმისა, მართებული იქნება თუ არა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია, რომლის თანახმადაც არეობაგიტის ავტორია პეტრე იბერი, ამ მოძღვრებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისათვის, რომელიც ისე გათავისებული იქნა, რომ მას არა ნაკლები გავლენა ჰქონდა ქართულ კულტურაზე, ვიდრე იოანე პეტრიწს.

მონღოლთა მრავალრიცხოვანმა შემოსევებმა ქართული კულტურის წინსვლა დიდი ხნით შეაჩერა. ასე მოხდა ფილოსოფიურ აზროვნებაშიც. მას შემდეგ ფილოსოფიური აზროვნება ეპიზოდურად თუ გამოჩნდებოდა და ისიც ძირითადად ღვთისმეტყველებასთან წილნაყარობის ძალით.

შედარებით სასიკეთო შემობრუნება ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ხდება XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნეში. ამ დროისათვის დიდად ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და მწიგნობარი — ანტონ ბაგრატიონი. ასევე მნიშვნელოვანი იყო ალექსანდრე ამილახვარისა და იონა ხელაშვილის მოღვაწეობაც. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა XIX საუკუნის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში სოლომონ დოდაშვილია (1805—1836).

სოლომონ დოდაშვილით ახალი ეპოქა იწყება ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. იგი ეზიარა ევროპულ აზროვნებას, რის საფუძველზეც შექმნა „ლოგიკის“ კურსი, ღრმა შინაარსის შემცველი შესავალით ფილოსოფიის ისტორიაში. ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ გამოსვლას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ იმ დროის ცნობილი რუსი კრიტიკოსები და აგრეთვე ქართველი მოღვაწე — იონა ხელაშვილი. „ლოგიკის“ კურსი თავისი შესავალითა და მისი ავტორის ჩანაფიქრით ფილოსოფიის სრული კურსის შექმნის შესახებ გვაფიქრებინებს, რომ ს. დოდაშვილი ევროპული აზროვნების დონეზე იდგა და მან აღადგინა ნამდვილი, თეოლოგიური ელემენტებისაგან თავისუფალი ფილოსოფიური ტრადიციები საქართველოში. აღსანიშნავია აგრეთვე ს. დოდაშვილის ეროვნულ-საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა. მანვე ქართული კულტურის ისტორიის ფილოსოფიური ანალიზის პირველი და საინტერესო ცდა განახორციელა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფიური აზრის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები არიან — ილია ჭავჭავაძე. გაბრიელ ქიქოძე, არჩილ ჯორჯაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი და აკაკი წერეთლები, ვაჟა-ფშაველა. ამავე პერიოდში ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი მომენტი დგება — გავრცელებას იწყებს მარქსისტული ფილოსოფია, რამაც შემდგომში გადამწყვეტი როლი შეასრულა XX საუკუნის ქართული პროფესიული ფილოსოფიის განვითარებაში. სწორედ ამან განაპირობა ქართული ფილოსოფიური აზროვნების განსაკუთრებული აღმავლობა XX საუკუნის ოციანი წლებიდან, რაც უპირველესად დაკავშირებულია შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, სერგი დანელიას, მოსე გოგიბერიძის, კიტა მეგრელიძის, კოტე ბაქრაძისა და სავლე წერეთლის სახელებთან.

XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის აღმავლობაში დიდი როლი შეასრულა 1918 წელს თბილისში დაარსებულმა ქართულმა უნივერსიტეტმა. იმავე წელს შეიქმნა „პეტრიწის სახელობის ფილოსოფიური საზოგადოება, რომელმაც რამდენიმე წელი იარსება. ამას მოჰყვა შ. ნუცუბიძის მიერ ფილოსოფიური სემინარის დაარსება, სადაც ფილოსოფიურ სიბრძნეს ეზიარა არაერთი, შემდგომ გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი.

დილია შ. ნუცუბიძის (1888 — 1969) დამსახურება ქართული ფილოსოფიისა და საერთოდ ქართული კულტურის წინაშე. რუსეთში გამოქვეყნებულმა შრომებმა, განსაკუთრებით კი „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“ (1913), დიდი აღიარება მოუტანა ახალგაზრდა ქართველ ფილოსოფოსს. ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე შ. ნუცუბიძე, რომელიც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელიც იყო, აქტიურ ფილოსოფიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას იწყებს. მალე თბილისში გამოდის შ. ნუცუბიძის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები („ფილოსოფიის შესავალი“ — 1920 წ., „ალეთოლოგიის საფუძვლები“ — 1922 წ., „ლოგიკა“ — 1923 წ.), რომლებშიც არსებითად გადმოცემულია მათი ავტორის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითადი მიმართულება. ამ შრომებს უნდა დაემატოს ბერლინსა და ლაიპციგში გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული შრომები — „კემმარტება და შემეცნების სტრუქტურა“ (1926) და „ფილოსოფია და სიბრძნე“ (1931). აღნიშნულ ნაშრომებში შ. ნუცუბიძე ცდილობს ფილოსოფიაში ახალი — დასავლეთის აზროვნებისაგან განსხვავებული — გზების ძიებას. უნდა აღინიშნოს, რომ შ. ნუცუბიძის ნაშ-

რომებს, რომლებიც გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა, დიდი ინტერესით შეხედნენ ევროპელი მეცნიერები. მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე შ. ნუცუბიძის ღვაწლი ხელოვნების თეორიის პრობლემების დამუშავებაში, ეს საკითხები ძირითადად გადმოცემულია მის ნაშრომში — „ხელოვნების თეორია, მონისტური ესთეტიკის საფუძვლები“, ნაწ. 1, თბ.; 1920.

შ. ნუცუბიძის მოხსენიებული ნაშრომები ძირითადად იდეალისტური ხასიათისაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ავტორი აყენებდა თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებს და ამით ხელს უწყობდა ფილოსოფიური კულტურის დონის ამაღლებას საქართველოში.

თავისი შემოქმედების მეორე პერიოდი შ. ნუცუბიძემ მთლიანად ქართული კულტურის პრობლემების შესწავლას მიუძღვნა. მან ამ პერიოდში წამოაყენა აღმოსავლური რენესანსის თეორია, ფსევდო-ლიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის თეორია, რამაც ახალი პერსპექტივები დასახა ქართული კულტურისათვის დიდად მნიშვნელოვანი ძეგლის — არეოპაგეტიკის შემდგომი კვლევისათვის და ჩამოაყალიბა ქართული ფილოსოფიის ისტორია, როგორც ქართველოლოგიის ახალი დარგი.

საბჭოურ ფილოსოფიაში შ. ნუცუბიძის მნიშვნელოვანი დამსახურებაა ის, რომ მან აზროვნების ისტორიაში კუთვნილი ადგილი მიუჩინა გარდამავალი ხანის მოწინავე ფილოსოფიურ სისტემას — ნეოპლატონიზმს. მან ამ საკითხში გააგრძელა ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ტრადიცია და საფუძვლიანად გამოიკვლია ნეოპლატონიზმის უდიდესი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის. შ. ნუცუბიძემ განავითარა და თავისეული საბუთებით შეამაგრა თვალსაზრისი ნეოპლატონური ფილოსოფიის, როგორც რენესანსული მსოფლმხედველობის უმთავრესი საფუძვლის შესახებ.

გამოჩენილ ქართველ ფსიქოლოგს, განწყობის თეორიის ფუძემდებელს — დიმიტრი უზნაძეს (1886—1950) დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ფილოსოფიური კულტურის დონის ამაღლებაში. მისი შრომები „ვლ. სოლოვიოვი — მისი შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა“ (პალე, 1909 წ., გერმანულ ენაზე. სადოქტორო დისერტაცია), „ომის ფილოსოფია“, „რა არის შემეცნების თეორია?“, „ცხოვრების რაობა“, „Impersonalia“ და განსაკუთრებით მონოგრაფიული გამოკვლევა — „ანრი ბერგსონი“ (თბ., 1920 წ.). ახალი დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნების უმნიშვნელოვანესი შენაძენია. დ. უზნაძეს ეკუთვნის აგრეთვე ფილოსოფიური გამოკვლევები — „ნ. ბარათაშვილის ლირის მოტივები“, „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, „აბაშვილის პოეზია (ცოტა რამ მხატვრული შემოქმედების შესახებ)“, „განდგომილობის პრობლემა ი. ჭავჭავაძის „განდეგოლში“. ეს ნაშრომები ფაქტიურად წარმოადგენდა ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის ფილოსოფიური პოზიციიდან განხილვის ერთ-ერთ პირველ და წარმატებულ ცდას.

სერგი დანელიამ (1888—1963), საქართველოში დასაბამი მისცა ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერულ კვლევას. მისი ნაშრომები „ანტიკური ფილოსოფია სოკრატემდე“ (თბ., 1925), „ქსენოფონე კოლოფონელის ფილოსოფია“ (თბ., 1925) და „სოკრატეს ფილოსოფია“ (თბ., 1930), დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამ გამოკვლევებზე ქართველ ფილოსოფოსთა არაერთი თაობა აღიზარდა. ასევე ღრმასაფუძვლიან გამოკვლევებს წარმოადგენენ

ს. დანელიას შრომები ატომისტურ ფილოსოფიასა, კანტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ს. დანელიას ეკუთვნის არისტოტელეს „პოეტიკის“ ქართული თარგმანი და მასზე დართული ვრცელი შესავალი წერილი. ცალკე კვლევის საგანია ავტორის „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“. გამოკვლევები და სტატიები მსოფლიო და რუსული ლიტერატურის კლასიკოსებზე, გრიბოედოვის ფილოსოფიაზე და ა. შ.

მოსე გოგიბერიძის (1897—1950) სახელთანაა დაკავშირებული მარქსამდელი მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემების კვლევა საქართველოში. უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ ნაშრომებს წარმოადგენენ მ. გოგიბერიძის „აინშტაინის რელატიურობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“ (თბ., 1924), „ლენინი როგორც ფილოსოფოსი“ (თბ., 1930), „შემეცნების აქსიომატური დასაბამი“ (თბ., 1926) და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ მ. გოგიბერიძეს აღნიშნულ შრომებში მარქსისტული პოზიციებიდან აქვს გაშუქებული ფილოსოფიის აქტუალური საკითხები. მ. გოგიბერიძეს ეკუთვნის ფილოსოფიის ისტორიის კურსი ძველი დროიდან კანტამდე, რომელიც გამოქვეყნდა 1941 წელს. ეს იყო I ტომი, სამწუხაროდ დაკარგულია მეორე ტომი, რომელიც მოიცავდა ფილოსოფიის ისტორიას კანტიდან მარქსის ჩათვლით. ფილოსოფიის ისტორიისა და კულტურის განვითარების ძირითადი ტენდენციების ღრმა ცოდნით მიუდგა მ. გოგიბერიძე ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას და საინტერესო მოსაზრებებიც წამოაყენა, რომლებიც გადმოცემულია მისი რჩეული ფილოსოფიური თხზულებების IV ტომში (თბ., 1979).

კიტა მეგრელიძემ (1900 — 1944), სრულიად ახალგაზრდამ შექმნა უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა — „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“, რომელიც ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით 27 წლის შემდეგ გამოქვეყნდა (1965 წ.). ამ გამოკვლევის სიღრმესა და მნიშვნელობაზე გაზეთი „პრავდა“ წერდა: „მეგრელიძის ნაშრომი ისე იკითხება, თითქოსდა დღეს იყოს დაწერილი. შეიძლება კი უკეთესი შეფასება მეცნიერის შრომისა, თუ არა ის, რომ მან დროს გაუსწრო“ (13. 02. 1967).

ქართული ფილოსოფიური აზროვნება მუდამ გამორჩეულ დამოკიდებულებას იჩენდა დიალექტიკის პრობლემებისადმი. კოტე ბაქრაძემ (1900—1970) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიალექტიკის თეორიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში. მისი ნაშრომები — „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“ (1929) და „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ (1936) იმათივე ცხარე დისკუსიის საგანი შეიქმნა, შემდგომ კი კლასიკურ გამოკვლევებად იქნა მიჩნეული. „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ ითარგმნა რუსულ და უცხო ენებზე და დიდი გამოსხაურებად მოჰყვა მსოფლიო მასშტაბით. კ. ბაქრაძე ფორმალური ლოგიკის აღიარებული სპეციალისტი იყო საბჭოთა კავშირში. მას ეკუთვნის „ლოგიკის“ სახელმძღვანელო, რომელიც 1946 წლიდან დიდი ხნის განმავლობაში ისწავლებოდა საბჭოთა კავშირის სკოლებში. კ. ბაქრაძემ სიცოცხლის ბოლო წლებში გამოსცა ახალი ფილოსოფიის ისტორიის გამოკვლევა, რაც დღესაც შეუცვლელ სახელმძღვანელოს წარმოადგენს ქართველი სტუდენტებისათვის. ასევე მნიშვნელოვანი იყო ავტორის ნაშრომები პრაგმატიზმისა და ექსისტენციალიზმზე, გამოკვლევა უახლოესი ფილოსოფიის შესახებ.

დიალექტიკის თეორიის პრობლემები ღრმად და ორიგინალურად გამოკვლეულია სავლე წერეთელთან (1907—1966). ავტორის მრავალ-

წლიანი მუშაობის რეზულტატს წარმოადგენს ფუნდამენტური მონოგრაფია — „დიალექტიკური ლოგიკა“ (1965). მანამდე ს. წერეთელმა გამოაქვეყნა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიძღვნილი დიალექტიკის პრობლემებისადმი („ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“, თბ., 1952; „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“, თბ., 1965; „დასაბუთების საწყისი“, თბ., 1963 და სხვ.). ს. წერეთლის „დიალექტიკური ლოგიკა“ ამ კუთხით ქართველ ფილოსოფოსთა მოღვაწეობის გარკვეული შეგამებაა. ამ ნაშრომში ავტორმა განავითარა ორიგინალური თვალსაზრისი „უსასრულო დასკვნის“ თეორიის სახით. ამ დიდი გაწეული მუშაობის პარალელურად ს. წერეთელმა შექმნა ანტიკური ფილოსოფიის კურსი (თბ., 1968), რომელიც თავისი მნიშვნელობით როგორც ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტების, ისე საერთოდ ანტიკური კულტურით დაინტერესებულთათვის, ფასდაუდებელია.

XX საუკუნის 60-იან წლებიდან ინტენსიურად მუშავდება ადამიანის ფილოსოფიური პრობლემები. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ა. ბოჭორიშვილმა (1902—1928). მისი უშუალო ინიციატივით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, პირველად საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილება. ამ განყოფილების თანამშრომელთა მონაწილეობით არაერთი საინტერესო დისკუსია შედგა ადამიანის ფილოსოფიური პრობლემების კვლევის საკითხებზე. ა. ბოჭორიშვილი ავტორია „ფსიქოლოგიის პრინციპული საფუძვლების“ სამტომეულისა, რომლებშიც ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემებია განხილული. მნიშვნელოვანია ა. ბოჭორიშვილის გამოკვლევა — „ფსიქოლოგიაში და ანტიფსიქოლოგიაში ფსიქოლოგიაში“ (თბ., 1965). ავტორმა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა კანტის ესთეტიკას, ჰუსერლის ფენომენოლოგიას და დასავლეთის სხვა გამოჩენილი მოაზროვნეების ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას.

ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა იყო ზურაბ კაკაბაძის (1926 — 1982) კვლევის ძირითადი ობიექტი. სწორედ ამ პრობლემას მიუძღვნა მან თავისი ღრმაფილოსოფიური გამოკვლევები — „ექსისტენციური კრიზისის“ პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“ (თბ., 1966. რუსულ ენაზე), „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“, (თბ., 1970. რუსულ ენაზე), „ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება“ (თბ., 1979) „ხელოვნების ფენომენი“ (თბ., 1980, რუსულ ენაზე), მრავალი სტატია, კანტის, კამიუს, კაფკას, სარტრისა და სხვა გამოჩენილი მოაზროვნეების მსოფლმხედველობაზე. ზურაბ კაკაბაძე თავის შემოქმედებითი დიაპაზონით „...ერთ-ერთი დამდგენი და მკაფიო გამომსახველი იყო ჰუმანიტარული აზრის, ეთიკური პათოსისა და მხატვრული კულტურის შინაგანი დახლოების, სიღრმისეული შერწყმის ტენდენციისა, რომელიც შეიმჩნევა დღევანდელ ქართულ ჰუმანიტარულ კულტურაში“. მისი ნაშრომი „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“ იაბონურ ენაზე ითარგმნა და სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. დიდი სახელი მოუტანა ავტორს ღრმასაფუძვლიანმა და ამავე დროს პოპულარულად დაწერილმა წერილებმა, ესეებმა ხელოვნების ნაწარმოებებზე.

ქართველმა ფილოსოფოსებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს აგრეთვე ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემების დამუშავებაში. ამ მხრივ საყურადღებოა არაცნობიერის პრობლემისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, რომ-

ლებიც ეკუთვნით ა. ბოჭორიშვილსა და სხვებს. არაცნობიერის ფილოსოფიურ პრობლემებს კაპიტალური გამოკვლევები მიუძღვნა აპოლონ შეროზიამ (1927—1981). ეს გამოკვლევებია: „ცნობიერისა და არაცნობიერის ფსიქიკურის პრობლემისათვის“ (თბ., ტ. I, 1969, ტ. II, 1973, რუს. ენაზე), „ფსიქიკა, ცნობიერება, არაცნობიერი“ (თბ., 1979. რუსულ ენაზე). იგი ერთ-ერთი ინიციატორი იყო 1979 წელს თბილისში ჩატარებული დიდმნიშვნელოვანი სიმპოზიუმისა არაცნობიერის შესახებ და ამ სიმპოზიუმის მასალების მიხედვით გამოშლილი სამტომეულის „არაცნობიერი. ბუნება, ფუნქციები, კვლევის მეთოდები“, ერთ-ერთი რედაქტორი (ფ. ბასინთან და ა. ფრანგიშვილთან ერთად).

60-იანი წლებიდან ქართულ ფილოსოფიაში მკვიდრდება ფილოსოფიის ახალი დარგი — სოციოლოგია, მართალია ამ კუთხით მანამდე ბევრი გააკეთა კ. მგერელიძემ, მაგრამ მისი ფუნდამენტური გამოკვლევა როგორც უკვე აღინიშნა მოგვიანებით გამოქვეყნდა. ამ საქმის წამომწყებნი საქართველოში იყვნენ ვ. ქვაჩახია და ა. ვაჩიშვილი. ვენორი ქვაჩახიას (1925—1982) ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პირველად ჩვენ ქვეყანაში, გაიხსნა სოციოლოგიის კათედრა. ვ. ქვაჩახიას მოხსენებებს დიდი გამოხმაურება ჰქონდა საფრანგეთში, ბულგარეთსა და განსაკუთრებით შვეციის ქალაქ უპსალაში ჩატარებულ საერთაშორისო კონგრესზე. ვ. ქვაჩახიას გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი „ფილოსოფიის შესავალი“ (თბ., 1983).

ალექსანდრე ვაჩიშვილის (1928—1973) სახელთანაა დაკავშირებული კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის დაწყება საქართველოში. თავის საქმესა და აგრეთვე მათემატიკაში კარგად განსწავლულობამ მოკლე დროში თვალაჩინო შედეგი გამოიღო. დღესაც რესპუბლიკის მასშტაბით გაშლილი ფართო კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევები, რომელიც ცხოვრებასთან ფილოსოფიის კავშირის ერთი რგოლია, ა. ვაჩიშვილის დაწყებული საქმის, დიდი მნიშვნელობისა და აქტუალობის ნათელი დადასტურებაა.

საინტერსო და მრავალმხრივი იყო გელა ბანძელაძის (1925—1985) მოღვაწეობა ეთიკური პრობლემების დამუშავებაში. როგორც სამართლიანად აღუნიშნავთ არაერთგზის, როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში, გ. ბანძელაძემ ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა ფილოსოფიაში საფუძვლიანად გამოიკვლია ეთიკის მეცნიერების პრობლემები. ავტორის გამოკვლევა-სახელმძღვანელო — „ეთიკა“ — რამდენიმეჯერ გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე. უკანასკნელ ხანებში გ. ბანძელაძე იკვლევდა ჩვენი ცხოვრების აქტუალურ საკითხებსა და მასთან დაკავშირებულ ზნეობრივ პრობლემებს. ავტორი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგებისა და ზნეობის მიმართების საკითხებით. ამ პრობლემას მან რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა.

XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა დაყენებული, რომელთაც შემდგომში საკავშირო თუ საერთაშორისო რეზონანსი მოყვა. უკვე აღინიშნა შ. ნუცუბიძის „ალეთოლოგიური რეალიზმის“ შესახებ, რომელსაც დასავლეთის მოაზროვნეები ცხოველი ინტერესით შეხვდნენ. ასევე დიდი გამოხმაურება ჰპოვა მისივე „აღმოსავლეთის რენესანსის თეორიამ“. სხვათა შორის ეს თეორია ბოლომდე გაიზიარა თანამედროვეობის გამოჩენილმა რუსმა ფილოსოფოსმა და ფილოლოგმა, ანტიკური კულტურის

აღიარებულმა მკვლევარმა — ალექსი ლოსევმა. არანაკლებ მნიშვნელოვანია შ. ნუცუბიძის ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის თეორია. თავის დროზე ამ თეორიას დადებითად გამოეხმაურნენ, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ქართველ ფილოსოფოსებს დიდი დამსახურება მიუძღვით ფილოსოფიის ისეთი წამყვანი დარგის ფუნდამენტური პრობლემების დამუშავებაში, როგორცაა — ლოგიკა. უნდა ითქვას, რომ საქართველოში ლოგიკის მეცნიერებისადმი მუდამ დიდ ინტერესს იჩენდნენ. საკმარისია გავისვენოთ იოანე პეტრიწის მიერ არისტოტელეს „კატეგორიების“ თარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე და სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკა“, რომელიც მთელი ათეული წლების განმავლობაში შეუცვლელ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა რუსეთის სკოლებში.

ზემოაღნიშნული ტრადიციები ლოგიკის მეცნიერებისა XX საუკუნეში ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი საქართველოში და მისი მოთავეები იყვნენ ჩვენი გამოჩენილი ფილოსოფოსები — შ. ნუცუბიძე, კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი. საგულისხმოა ისიც, რომ სწორედ კ. ბაქრაძის წერილით დაიწყო საკავშირო დისკუსია ლოგიკისა და დიალექტიკის მიმართების საკითხებზე, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ (იხ. „Вопросы философии“, № 2, 1950). ამ დისკუსიაში თავისი პოზიციით წარსდგა ს. წერეთელი. ამ წერილებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს დისკუსიის მიმართულება, რაც აღინიშნა კიდევ.

ლოგიკისა და დიალექტიკის მიმართების საკითხების კვლევაში დიდი დამსახურება მიუძღვით აწ გარდაცვლილ — გრიგოლ კალანდარიშვილს, ლევან გოკიელს და გაბრიელ ბაჩულაშვილს.

60-იანი წლებიდან საქართველოში დაფუძნდა ლოგიკის ახალი დარგი — მათემატიკური ლოგიკა. ქართველი ფილოსოფოსების მოღვაწეობამ მათემატიკური ლოგიკის სფეროში იმთავითვე დიდი ყურადღება მიიპყრო. დღეს უკვე ლაბარაკობენ მათემატიკური ლოგიკის თბილისის სკოლაზე, როგორც ამ დარგის ერთ-ერთ მძლავრ კერაზე და არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში. მათი ძალებით არაერთი მნიშვნელოვანი საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო სესია, კონფერენცია და კონგრესი გაიმართა. უკანასკნელად, 1985 წლის მაისში, ქ. თელავში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქართველი ლოგიკოსების აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ არისტოტელეს ლოგიკური თხზულებების ბოლო რუსული გამოცემის რედაქტორი ქართული მათემატიკური ლოგიკის სკოლის წარმომადგენელია. მისმა ვრცელმა წინასიტყვაობამ და ლოგიკის შესახებ არისტოტელეს მსოფლმხედველობის ორიგინალურმა ინტერპრეტაციამ მაღალი შეფასება დაიმსახურა ცნობილი ფილოსოფოსის — გ. ფონ რაიტის მხრიდან, რომელმაც ამას სპეციალური წერილი მიუძღვნა (იხ. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, № 1, 1980).

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართველ ფილოსოფოსთა მიერ ღირებულების თეორიისა (აქსიოლოგიის) და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემების დამუშავება, რამაც განაპირობა აგრეთვე კულტურის ფილოსოფიური პრობლემების ინტენსიური კვლევა საქართველოში. ამ საკითხებს მიუძღვნა საკავშირო დისკუსიები, რომლებიც ჩატარდა ქ. თბილისში და სადაც ქართველმა ფილოსოფოსებმა „თავის უფლებებში“ აღადგინეს აქ-

სიოლოვია“, როგორც ეს თქვა ცნობილმა რუსმა საბჭოთა ფილოსოფოსმა — ა. გულივამ.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ანგარიშგასაწევეია როგორც მეცნიერების ინტეგრაციის, ისე დიფერენციაციის ტენდენციები. ამასთან დაკავშირებით მეცნიერებათა შორის კავშირის გაფართოებასთან ერთად, აუცილებელია მეცნიერებათა შორის შრომის განაწილებაზე ყოველი ინსტიტუტისა და რეგიონის მიერ კვლევის სპეციფიკური ამოცანის დასახვაზე ზრუნვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფილოსოფიის ინსტიტუტის მიერ არჩეული სტრატეგიული ხაზი — ადამიანი, ღირებულება, კულტურა, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ფილოსოფიის ინსტიტუტის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ.

ქართულ ფილოსოფიურ აზრს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დღეს აქსიოლოგია და ფილოსოფიური ანთროპოლოგია მარქსისტული ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილად არის მიჩნეული. სწორედ აქსიოლოგიას და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ტრადიციებს ემყარება კულტურის პრობლემების კვლევა საქართველოში, რამაც განსაზღვრა ამ კვლევის ორიგინალური მიმართულება და ჰუმანიტური სულისკვეთება. კულტურის კვლევის ეს მიმართულება განსაზღვრა აგრეთვე თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიისა და კულტურის კრიზისის ღრმა ანალიზმა, რომელიც მოცემულია ქართველ ფილოსოფოსთა და უწინარეს ყოვლისა, ზ. კაკაბაძის ნაშრომებში.

ამ პრობლემებთან ერთად საქართველოში მუშავდება ტრადიციული საკითხები. მრავალმხრივ არის დამუშავებული დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საკვანძო საკითხები, შესწავლილია დიალექტიკის ძირითადი კანონები და კატეგორიები. აღნიშნულ საკითხებზე არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევები. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვით მ. გოგიბერიძეს, კ. ბაქრაძეს, ს. წერეთელსა და სხვა თანამედროვე ავტორებს. ასევე საფუძვლიანადაა დამუშავებული ისტორიული მატერიალიზმის საკითხები. თანამედროვე ქართულ ფილოსოფიაში ისტორიის ფილოსოფიის პრობლემების ინტენსიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს. მუშავდება აგრეთვე ბუნებათმეცნიერების ფილოსოფიური პრობლემები. ამასთან დაკავშირებით კრიტიკულადაა გაანალიზებული რასელის, ვიტგენშტეინის, კარნაპის, რაიხენბახის, აინშტაინისა და სხვათა მსოფლმხედველობანი.

მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიის პრობლემების კვლევის პარალელურად ქართულ ფილოსოფიაში მიმდინარეობდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის საკითხების შესწავლა. ამ დარგის დამწყები და შემქმნელია შ. ნუცუბიძე. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მისი ქართული ფილოსოფიის ისტორიის ორტომეული (ტ. I, 1956, ტ. II, 1958). ქართული ფილოსოფიისა და კულტურის საკითხებს იკვლევდა აგრეთვე მ. გოგიბერიძე. თანამედროვე ავტორების მიერ ღრმასაფუძვლიანადაა გამოკვლეული ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები. საგანგებოდ შესწავლილია რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელსაც სხვადასხვა ავტორის რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა. დადგენილია რუსთაველის მსოფლმხედველობის იდეური წყაროები. ასევე შესწავლილია ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ანტონ ბაგრატიონის, იონა ხელაშვილის, სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობანი. საგანგებო გამოკვლევები მიეძღვნა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიას ძველად,

ფეოდალურ ხანასა და XVII და XIX საუკუნეებში. შესწავლილია სომხურ-ქართული და რუსულ-ქართული ფილოსოფიური ურთიერთობანი.

ქართული ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარებმა საგანგებოდ გამოიკვლიეს ნეოპლატონური ფილოსოფიური სისტემა და აჩვენეს ამ მოძღვრების უდიდესი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია არეოპაგიტული მოძღვრება, რომლის ავტორიც ნუცუბიძე-პონიგმანის თეორიის მიხედვით არის V საუკუნის ქართველი საეკლესიო მოღვაწე — პეტრი ბერი. არეოპაგიტის საფუძვლიანი შესწავლის საფუძველზე ნაჩვენებია ამ ძეგლის მნიშვნელობა საკაცობრიო და ქართული კულტურისათვის.

ქართველმა მკვლევარებმა არაერთი გამოკვლევა მიუძღვნეს მარქსიზმის გავრცელებას საქართველოში. ამ კუთხით გამოკვლეულია ა. წულუკიძის და სხვა მარქსისტების მსოფლმხედველობანი.

მართალია ქართული კულტურა სისტემური სახით არ გამხდარა ქართული ფილოსოფიის კვლევის ობიექტი, მაგრამ მისი ცალკეული საკითხები მუდამ იყო ქართველ ფილოსოფოსთა ყურადღების ცენტრში. ეს ტრადიცია ს. დოდაშვილით იწყება საქართველოში, ს. დოდაშვილმა თავის ლიტერატურულ მიმოხილვაში ფილოსოფიის ბოზიციიდან განიხილა ქართული კულტურის, ქართული მწერლობისა და ქართული აზროვნების ცალკეული მხარეები. ამ მხრივ საყურადღებოა შ. ნუცუბიძის მოღვაწეობის II პერიოდი, რომელიც მთლიანად ქართული კულტურისადმი მიძღვნილი, მ. გოგიბერიძის გამოკვლევები რუსთაველისა და ნეოპლატონიზმის მიმართებაზე, რუსთაველის ფერის ფილოსოფიაზე, ნ. ბარათაშვილის „მერანზე“ და იაკობ ნიკოლაძის სკულპტურის შესახებ, დ. უზნაძის უკვე მოხსენიებული წერილები. საინტერესო და ღრმასაფუძვლიანია ს. დანელიას „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, სადაც პირველადაა ნაცადი ქართული ეროვნული ფენომენის თავისებურების გამოკვლევა. აღსანიშნავია აგრეთვე ა. ქუთელიას შესავალი წერილი ს. დოდაშვილის ქართულად გამოსულ „ლოგიაზე“ (თბ., 1949).

კონსტანტინე კაპანელი (1889—1952) ნაშრომში „ტანჯვის იდეა და ზეკაცის პოეზია ქართულ ლიტერატურაში“, განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას პოეზია. წიგნში — „ქართული კულტურის სოციალური გენეზისი“ კ. კაპანელმა სცადა ქართული კულტურის ისტორიის განხილვა ხელოვნების და ლიტერატურის სოციოლოგიის პრინციპების გამოყენებით. მასვე ეკუთვნის „რუსთაველის ფილოსოფია“ და „ქართული კულტურა და რუსთაველის იდეები“. ამგვარი კვლევა-ძიებანი გრძელდება დღესაც.

ქართული ფილოსოფიური აზროვნება მუდამ დიდ ყურადღებას იჩენდა კლასიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობისადმი. ამ ყურადღების შედეგია ის, რომ 1981—1984 წლებში გამოსული „შუა საუკუნეების ფილოსოფიის პრობლემების“ ორტომეულის გამოსვლით გასრულდა ის დიდი საქმე, რომელიც ს. დანელიამ დაიწყო. დღეისათვის, ქართულ ენაზე, საკუთარი ძალებით შექმნილია ფილოსოფიის ისტორიის კურსები ანტიკურიდან დაწყებული XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიის ჩათვლით. ამ საქმეს დიდი დეაწლი დასდეს ს. დანელიამ, მ. გოგიბერიძემ, კ. ბაქრაძემ, ს. წერეთელმა და სხვა ბევრმა თანამედროვე ავტორმა.

ფილოსოფიის ისტორიის სისტემური კვლევის გარდა, ქართულ ფილოსოფიაში არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა არსებობს როგორც ფილო-

სოფიის კლასიკოსების, ისე სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობების შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია გამოკვლევები სოკრატესა და პლატონის ფილოსოფიაზე, პარმენიდესა და დემოკრიტეზე, არისტოტელესა და იოანე დამასკელზე, კანტსა და ჰეგელზე, ფოიერბახსა და ენგელსზე, მარქსის კაპიტალზე, ჰუსერლზე, ჰარტმანზე, სარტრზე და ა. შ. ასევე მნიშვნელოვანია გამოკვლევები უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ სისტემებზე — ნეოპლატონიზმზე, სიცოცხლის ფილოსოფიაზე, ნეოკანტიანელობასა და ნეოთომიზმზე, პოზიტივიზმსა და პრაგმატიზმზე, ექსისტენციალიზმსა და რელიგიურ ანთროპოლოგიაზე, ფროიდიზმსა და ნეოფროიდიზმზე.

ფილოსოფიის ისტორიაში ჩაღრმავებამ ყველა პირობა შექმნა კლასიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ქართულ ენაზე ამტყველებსათვის. ვიცით, რომ ამის დიდი ტრადიცია არსებობდა შუა საუკუნეების საქართველოში, რის მეშვეობითაც ქართულად ითარგმნა არისტოტელე, პროკლე, ნემესიოს ემესელი (პეტრიწი), არეოპაგიტია (ეფრემ მცირე), იოანე დამასკელის „ეოდნის წყაროს“ ორი თარგმანი (პეტრიწი, არსენ იყალთოელი). ახალ დროში ითარგმნა — ჰერაკლიტეს ფრაგმენტები, არისტოტელეს „პოეტიკა“ და „მეტაფიზიკა“, პლატონის რამდენიმე დიალოგი, პლოტინის ტრაქტატი „მშვენიერების შესახებ“, დეკარტეს „მეტაფიზიკური განაზრებანი“, კანტის „პროლოგომენები“ და „წმინდა გონების კრიტიკა“, ჰეგელის „ლოგიკა“ და „გონის ფილოსოფია“, კასირერის „რა არის ფილოსოფია?“ თანამედროვე ინგლისელი ფილოსოფოსის — უილიამ გათრის „ბერძენი ფილოსოფოსები“. გამოსაცემად მზადაა კანტის „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ და ფიხტეს შრომები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მარქსიზმის კლასიკოსების და რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ბ. ბელინსკის, ა. გერცენის, ნ. დობროლიუბოვის, ნ. ჩერნიშევსკის ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნის შესახებ.

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს საკუთრივ ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომების კაპიტალური გამოცემები: დამთავრდა შ. ნუცუბიძის შრომების ცხრატომეულისა და მ. გოგიბერძის შრომების ოთხტომეულის გამოცემა, მთავრდება დ. უხანაძის ფილოსოფიური შრომების ორტომეულისა და კ. ბაქრაძის ზუთტომეულის გამოცემები. გამოვიდა ს. დანელიას თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაშრომი, გამოიცა ზ. კაკაბაძის ორი მნიშვნელოვანი გამოკვლევა. გამოიცა აგრეთვე კ. გორდელაძის „ორგანიციისტული მიმართება სოციოლოგიაში“ (თბ., 1985), რომელიც ავტორმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაწერა. მალე დაიწყება ა. ბოჭორიშვილის მრავალტომეულისა და შ. ნუცუბიძის შრომების რუსულ ენაზე გამოცემა. ქართულად თარგმნილია და მალე გამოიცემა კ. მეგრელიძის „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები“, რომელიც ავტორმა რუსულად დაწერა ლენინგრადში მოღვაწეობის პერიოდში. ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის ერთდაგვარი შეჯამება იქნება ქართული ფილოსოფიის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეული, რომლის მოსამზადებლად და გამოსაცემად უკვე დაწყებულია მუშაობა.

ქართული ფილოსოფიის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობა „დიცის“ მიერ გამოცემულ ვრცელ „ფილოსოფოსთა ლექსიკონში“ (1984) ქართველ ავტორებს ეკუთვნის სტატიები — ძენონზე, სოკრატეზე, პლატონზე, პლოტინზე, პასკალზე, კირეგორზე, ჰუსერლსა და შლიკზე. ამავე ლექსიკონში შესულია იოანე პეტრიწი.

ქართველ ფილოსოფოსთა შრომებისა და თვალსაზრისების შესახებ არსებობს მრავალრიცხოვანი გამოხმაურებანი. ამასთანავე ისინი სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო ფილოსოფიურ სიმპოზიუმებსა და კონგრესებში.

ისიც აღსანიშნავია, რომ ფილოსოფიური კვლევა-ძიება საქართველოში არ ამოიწურებოდა მხოლოდ თბილისში მიმდინარე მუშაობით. ფილოსოფიური აზრის მნიშვნელოვანი კერა იყო აგრეთვე ქ. ქუთაისი. თბილისის უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიას დიდი წვლილი მიუძღვით სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში, რომლებიც შემდგომ ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კულტურულ ცენტრებში — სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში და სხვაგან. ამ ქალაქებში გამოიცა მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ნაშრომები. მიღწეული წარმატების მიუხედავად, ქართველ ფილოსოფოსებს მართებთ გააძლიერონ მუშაობა იმ აქტუალური საკითხების კვლევაში, რომელსაც მათ წინაშე აყენებს დღევანდელი ცხოვრება.



შოთა ნადირაშვილი, ირაკლი იმედაძე

ფსიქოლოგიის განვითარება საბჭოთა საქართველოში

19.2.84

ფსიქოლოგიურ ცოდნას საქართველოში ღრმა ძირები და ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ მეცნიერული ფსიქოლოგია ჩვენში 1918 წლიდან იწყებს განვითარებას. ამ წელს თბილისის უნივერსიტეტში, დღიდან მისი დაარსებისა გაიხსნა ფსიქოლოგიის კათედრა და მასთან არსებული ფსიქოლოგიური ლაბორატორია, რომელიც საქართველოში ფსიქოლოგიის განვითარების ცენტრად იქცა. მეცნიერული ფსიქოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში იყო დიმიტრი უზნაძე, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, გამოჩენილი მეცნიერი, რომლის დაბადების ასი წლის თავს წელს იზეიმებს ქართველი საზოგადოება. ამავე პერიოდში დ. უზნაძე მუშაობდა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად, რომელიც თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა და უნივერსიტეტის შემადგენლობაში შევიდა. ამ დაწესებულებებში დ. უზნაძემ ფართო მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა გაშალა. მან თანდათანობით მოამზადა და შემოიკრიბა მოწაფეთა და თანამშრომელთა წრე, რამაც შესაძლებელი გახადა 1927 წელს დაარსებულიყო საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება, რომელიც პირველი ფსიქოლოგიური საზოგადოება იყო საბჭოთა კავშირში. თანდათანობით ფსიქოლოგიური მუშაობა გაიშალა საქართველოს სხვა ქალაქებში. სხვადასხვა დროს დ. უზნაძე ხელმძღვანელობდა კათედრებს ქუთაისის და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. მრავალმხრივმა და დაძაბულმა მუშაობამ, რომელსაც დ. უზნაძე და მისი მოწაფეები ეწეოდნენ მათი მოღვაწეობის პირველი ორი ათეული წლის მანძილზე, ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე მის სისტემაში გახსნილიყო ფსიქოლოგიის სექტორი. 1943 წელს იგი გადაკეთდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტად, რომელიც სამოცდაათიან წლებამდე ფსიქოლოგიის ერთადერთ აკადემიურ ინსტიტუტად რჩებოდა საბჭოთა კავშირში. ამიტომ ვასაკვირი არაა, რომ ქართული ფსიქოლოგიური სკოლა თავიდანვე ფუნდამენტური მეცნიერული პრობლემების დამუშავებაზე იყო ორიენტირებული, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა მარქსისტული ფსიქოლოგიის განვითარებაში.

ინსტიტუტში დ. უზნაძის ხელმძღვანელობით ინტენსიური მეცნიერული მუშაობა გაჩაღდა. იგი ფსიქოლოგიური კვლევის ცენტრი გახდა. თავდაპირველად ინსტიტუტი მრავალრიცხოვანი არ იყო. მიუხედავად ამისა, მასში კვლევა-ძიება იმდროინდელი ფსიქოლოგიის თითქმის ყველა ძირითად დარგში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მუშაობა განწყობის ფსიქოლოგიური კონცეფციის ფარგლებში, თეორიისა, რომელმაც დამსახურებული აღიარება მოუტანა მის შემქმნელს, აკადემიკოს დ. უზნაძეს და მის მიერ ჩამოყალიბებულ ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას.

ბაქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

დ. უზნაძე გარდაიცვალა 1950 წელს. მისი კვლევის ხაზი განაგრძეს მისმა მოწაფეებმა და თანამოაზრეებმა. ორმოცდაათიან წლებში კიდევ უფრო ამაღლდა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ავტორიტეტი. ამას ერთგვარად ხელი შეუწყო დისკუსიებმა, რომლებიც ამ პერიოდში გაიმართა განწყობის თეორიის გარშემო. დისკუსიებში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა გამოჩენილმა საბჭოთა ფსიქოლოგმა. თავის გამოსვლებში და სტატიებში ქართველმა ფსიქოლოგებმა დამაჯერებელი პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვას, რომელიც განწყობის თეორიის მიმართ იყო დასმული. სადღეისოდ ეს თეორია ფართოდ არის აღიარებული როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ ფსიქოლოგებს შორის. საიუბილეო გამოცემაში „ფსიქოლოგიური მეცნიერება სსრკ-ში“ (1960 წ.), განწყობის თეორია საბჭოთა ფსიქოლოგიის დიდ მონაპოვრადაა წარმოდგენილი. ცალკე კარში ნაჩვენებია ქართველ ფსიქოლოგთა მიღწევები განწყობის ფსიქოლოგიური კონცეფციის ჩამოყალიბების საქმეში. აღნიშნულ გამოცემაში ასახულია აგრეთვე ის მიღწევები, რომლებიც მოიპოვეს ქართველმა მეცნიერებმა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგების პრობლემათა შესწავლის დროს. უზნაძე საბჭოთა ფსიქოლოგიის კლასიკოსად არის აღიარებული. უზნაძის და მისი თანაშემრომლების კვლევები კარგადაა ცნობილი თანამედროვე მსოფლიო ფსიქოლოგიაში. დ. უზნაძე თავის სიცოცხლეში ხშირად ბეჭდვდა სტატიებს უცხოეთის ჟურნალებში. 1966 წ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისურად დაიბეჭდა დ. უზნაძის მონოგრაფია „განწყობის ფსიქოლოგია“. ერთი გამოშვება პერიოდული კრებულისა „საბჭოთა ფსიქოლოგიის ფარგლებში შესრულებულ ქართველ ფსიქოლოგთა კვლევებს. ქართველი ფსიქოლოგები მოხსენებით წარსდგნენ VIII, IX, XV, XVI და XX საერთაშორისო ფსიქოლოგიურ კონგრესებზე (დ. უზნაძე, რ. ნათაძე, ა. ფრანგიშვილი, ნ. იმედაძე) ხოლო XVIII (1966 წ.) და XXII საერთაშორისო ფსიქოლოგიურ კონგრესებზე ქართველი ფსიქოლოგები ხელმძღვანელობდნენ განწყობის ფსიქოლოგიაში გამართულ სიმპოზიუმებს (ა. ფრანგიშვილი, შ. ნადირაშვილი), რომლებზედაც ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მიღწევები. ქართველ ფსიქოლოგთა ნაშრომები გამოცემულია ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, გერ-ში, გდრ-ში, პოლონეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, კანადაში. აღსანიშნავია, რომ კანადაში კალგარის უნივერსიტეტში მუშაობს ფსიქოლოგთა ჯგუფი, რომელთა კვლევა მთლიანად უზნაძის თეორიაზეა დაფუძნებული. 1978 წ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა არაცნობიერის პრობლემას. თ. ბასინის, ა. ფრანგიშვილის და ა. შეროზიას რედაქტორობით დაიბეჭდა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი კოლექტური მონოგრაფია 4 ტომად. ამ ფუნდამენტურ გამოცემაში განწყობის თეორია წარმოჩნდა, როგორც სერიოზული კონცეფცია არაცნობიერი ფსიქიკურის შესახებ. 1973 წ. გამოიცა უზნაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული (რედ. ა. ფრანგიშვილი), რომელშიც დაიბეჭდა მრავალი გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი ფსიქოლოგის ნაშრომი. ამ გამოცემამ სრულად ასახა განწყობის პრობლემასთან დაკავშირებული კვლევის თანამედროვე მდგომარეობა და უჩვენა, თუ რაოდენ მაღალ დონეზე დგას ამ პრობლემის დამუშავება საქართველოში.

ქართველი ფსიქოლოგები მუდმივად მონაწილეობენ სსრკ-ის ფსიქოლოგთა ყრილობების მუშაობაში. ერთ-ერთი, IV ყრილობა, 1971 წ. ჩატარდა თბი-

ლისში. თბილისში ჩატარებული კონფერენციებიდან აღსანიშნავია სოციოგენური მოთხოვნილებებისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენცია (1974 წ.). ამ პრობლემას მიეძღვნა ორი კრებული 1974 წ. და 1981 წ. (რედ. შ. ჩხარტი-შვილი). ქცევის, შრომის, საინჟინრო ფსიქოლოგიის საკითხთა ფართო წრეს მიეძღვნა საკავშირო კონფერენციები ბორჯომსა და თელავში (1979 წ., 1983 წ.). 1984 წ. ქ. ცხინვალში მოეწყო საქართველოს ფსიქოლოგთა I შეხვედრა. ეს შეხვედრები ტრადიციული გახდება. ტრადიციულად ტარდება აგრეთვე ამიერკავკასიის ფსიქოლოგთა კონფერენციები, რომელთა ორგანიზაციის ინიციატორები ქართველი ფსიქოლოგები არიან. სულ ჩატარდა 9 კონფერენცია; მათ შორის სამკერ თბილისში. ქართველი ფსიქოლოგები წარმატებით მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული კონფერენციების, სიმპოზიუმების, სესიების მუშაობაში. მათი ნაშრომები მუდმივად იბეჭდება ცენტრალურ ჟურნალებში, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ გამოცემა „მაცნეში“ — ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია. ფსიქოლოგიური გამოკვლევები ქვეყნდება ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერული პროდუქცია ასახულია შრომების კრებულებში: „ფსიქოლოგია“ — 16 ტომად; „გამოკვლევები განწყობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში“ — 5 ტომად; „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“ — 2 ტომი.

სადღეისოდ საქართველოში ყველა პირობაა იმისათვის, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს ფსიქოლოგიური კვლევა-ძიება. არსებობს ძლიერი ცენტრი—საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც დ. უზნაძის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელობისა გახდა. 1950-1984 წწ. ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა საქართველოს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ა. ფრანგიშვილი. 1984 წლიდან ინსტიტუტის დირექტორია პროფ. შ. ნადირაშვილი. დღეს ინსტიტუტში ნაყოფიერად შრომობს 160 ფსიქოლოგზე მეტი. ეს ძლიერი კოლექტივია, რომელსაც მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრა შეუძლია. საგრძნობლად გაფართოვდა ფსიქოლოგთა წარმომადგენლობა უნივერსიტეტში. საკმარისია ითქვას, რომ დღეს იქ ფსიქოლოგიის ოთხი კათედრა ფუნქციონირებს: ზოგადი ფსიქოლოგიის (გამგე დოც. დ. ფარჯანაძე), პედაგოგიური ფსიქოლოგიის (გამგე პროფ. ა. ბაინდურაშვილი), საინჟინრო ფსიქოლოგიის (გამგე პროფ. გ. კეჩუაშვილი) და სოციალური ფსიქოლოგიის (გამგე დოც. რ. ქვარცხავა). ფსიქოლოგიის ან ფსიქოლოგიისა და პედაგოგიის კათედრები მუშაობს მრავალ პედაგოგიურ ინსტიტუტში (თბილისის პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტი, უცხო ენათა პედ. ინსტიტუტი, ფიზკულტურის ინსტიტუტი, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტები). პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, რამაც სათანადო გამოხატულება პპოვა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს დადგენილებებში 1974 და 1980 წწ. საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების შესახებ. დღეს ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ პრობლემებთან ერთად დღის წესრიგში გამოყენებითი ფსიქოლოგიის საკითხები დგება. ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენება საზოგადოებრივ პრაქტიკაში მნიშვნელოვან მეცნიერულ ამოცანად იქცევა. ამ მიმართულებით წარმატებით მუშაობს ფსიქოლოგთა კოლექტივი ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტში. სულ უფრო მეტი პრაქტიკოსი ფსიქოლოგი მოღვაწეობს უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებში, საავადმყოფოებში თუ სკოლებში.

დ. უზნაძე ძალზე დიდი დიპაზონის მეცნიერი იყო. მის მეცნიერულ ინტერესებში მრავალი ფსიქოლოგიური პრობლემა შედიოდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ უნივერსიტეტში მისი ხელმძღვანელობით მომუშავე ლაბორატორიაში ფსიქოლოგიის განსხვავებული პრობლემების ფართო კვლევა გაიშალა. 1941 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლის თავთან დაკავშირებით დ. უზნაძემ თვითონ შეაჯამა ამ მუშაობის შედეგები. მან ოთხი ძირითადი პრობლემა გამოყო რომელთა კვლევაც მისი შეფასებით, მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა და მსოფლიო ფსიქოლოგიური საზოგადოების ყურადღება მიიპყრო; ესენია: 1. აღქმის პრობლემა და განსაკუთრებით, აღქმის შინაარსისა და საგნის ურთიერთობის პრობლემა, რომელიც ექსპერიმენტულად იქნა გადაწყვეტილი (დ. უზნაძე). 2. სახელდების პრობლემა. დამტკიცებულ იქნა დებულება, რომ სახელსა და საგანს შორის არა შემთხვევითი, არამედ არსებითი კავშირი არსებობს, და რომ პირველად სახელდებაში ამ არსებით კავშირს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა (დ. უზნაძე). 3. ბავშვის აზროვნების პრობლემა. აქ შეისწავლებოდა შემეცნებითი (ფ. ხუნდაძე), ტექნიკური აზროვნება (დ. უზნაძე), ცნებითი აზროვნების ჩამოყალიბება სკოლამდელ (დ. უზნაძე) და სასკოლო (რ. ნათაძე) ასაკში. 4. განწყობის პრობლემა. სწორედ ეს პრობლემა წარმოადგენს უზნაძისა და მის მოწაფეთა ძირითად საზრუნავს და ინტერესის საგანს. საბოლოო ჯამში სწორედ ამ პრობლემის შესწავლამ მოუტანა აღიარება ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას.

უკვე პირველ თეორიულ-მეთოდოლოგიურ შრომებში (1923—1925 წწ.) დ. უზნაძემ მიზნად დაისახა ახალი კონკრეტული ფსიქოლოგიის აგება, რომელიც დაუპირისპირდებოდა როგორც ტრადიციული ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელ სუბიექტივიზმს და ატომიზმს, ისე ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის მექანიციზმს. ამისათვის საჭირო იყო ისეთი მთლიან პიროვნებისეული ფაქტორის მონახვა, რომელიც საფუძვლად ედებოდა ფსიქიკისა და ქცევის ყოველგვარ გამოვლინებას. 20-იანი წლების ბოლოსათვის მის ძიებებს ამ მიმართულებით განწყობის ცნების შემოტანა მოჰყვა, ხოლო შემდგომში განწყობის ორიგინალური თეორიის ჩამოყალიბება. ამ თეორიის დედაბურს წარმოადგენს დებულება, რომ ცნობიერების ყოველი შინაარსი და ქცევითი აქტი გაპირობებულია ცოცხალი არსების თავისებური მთლიანობითი მდგომარეობით — განწყობით, რომელიც არსებითად წარმოადგენს ფსიქოლოგიურ მომზადებას მომავალი აქტივობისათვის. იგი მენტალურ და მოტორულ აქტივობას წინ უსწრებს და აპირობებს მათი მიმდინარეობის საერთო მიმართულებას და რეალიზაციის კონკრეტულ თავისებურებებს. ეს შესაძლებელი ხდება იმის წყალობით, რომ განწყობა თავის თავში, როგორც თავისებური სინამდვილეში, აერთიანებს მიზანშეწონილი აქტივობის განხორციელებისათვის აუცილებელ და საკმარის შინაგან და გარეგან პირობას. წარმოადგენს რა სუბიექტის მთლიანობით მდგომარეობას, განწყობა, როგორც რეალობა აშუალებს კავშირს გარემოსა და ქცევას შორის, გარემოსა და ცნობიერებას შორის და აგრეთვე, ცნობიერებინ შინაარსებს შორის. ასეთი უნივერსალური გამაშუალებელი რგოლის მონახვით დ. უზნაძემ გაარღვია „უშუალობის პოსტულატის ჩარჩოები, რომელშიც მომწყვდეული იყო იმდროინდელი ბურჟუაზიული ფსიქოლოგია. ემპირიზმი ცნობიერების შინაარსების ერთმანეთზე უშუალო ზემოქმედებაზე ლაპარაკობს; ხოლო ბიჰევიორიზმი სტიმულსა და რეაქციას შორის უშუალო კავში-

რიდან ამოდის. გაცილებით მოგვიანებით, (70-იან წლებში, რუსული საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ა. ლეონტიევმა ანალიზის სამწვერიანი სქემა საბჭოთა ფსიქოლოგიის ამოსავალ მეთოდოლოგიურ პრინციპად გამოაცხადა, ხოლო მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ, ა. ასმოლოვმა, უშუალოდის პიპოთეზაზე აგებული ორწვერიანი სქემის დაძლევის ამოცანას „უზნაძის ამოცანა“ უწოდა.

1927 წლიდან მოყოლებული, უზნაძე თავის თანამშრომლებთან ერთად რწყებს განწყობის ექსპერიმენტულ შესწავლას. დ. უზნაძემ თავიდანვე ზუსტად მიაგნო ექსპერიმენტულ ფაქტებს. რომლებშიც განწყობის მოქმედება განსაკუთრებით ნათლად ჩანდა. ეს ვახლდათ ფეხნერის, შარპანტიეს და სხვა მსგავსი ილუზიები. დ. უზნაძემ და მისმა თანამშრომლებმა ამ ილუზიათა ანალიზები სხვა მოდლობებსა და სფეროებში მონახეს. ასეთებია წნევის ილუზია, სმენის ილუზია, განათებულობის ილუზია, რიცხობრივი მეტნაკლებობის ილუზია, შარპანტიეს ილუზიის შებრუნებული ილუზია და სხვა. ნაჩვენები იყო, რომ სიმძიმის (ფეხნერის) და მსგავსი ილუზიებში ეფექტი გამოწვეულია წინასწარ შექმნილი განწყობით, რომელიც სტიმულსა და რეაქციას შორის მდებარეობს და ცდაში გამოვლენილი აქტივობის კონსტიტუტურ ფაქტორს წარმოადგენს. უზნაძის მიერ მოპოვებული ექსპერიმენტული ფაქტები შევიდა ფსიქოლოგიური მეცნიერების „ოქროს ფონდში“. ე. პიპეემ მათ „უზნაძის ეფექტი“ უწოდა.

„ფექსირებული განწყობის“ ორიგინალური ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენების გზით დადგენილ იქნა განწყობის მრავალი მნიშვნელოვანი თავისებურება (ავზნებადობა, დიფუზურობა, სტატიკურობა, დინამიკურობა, სტაბილობა და სხვა). პიპოტურ მდგომარეობაში ჩატარებული ცდებით დადასტურდა განწყობის ისეთი არსებითი ნიშანი, როგორცაა მისი არაცნობიერობა. განწყობის ირადიაციის და გენერალიზაციის ფაქტებმა დაადასტურეს მისი მთლიანობითი და ცენტრალური ბუნება. განწყობის მოქმედების ზოგად კანონზომიერებათა დადგენაში დიდი წვლილი შეიტანეს დ. უზნაძის თანამშრომლებმა (გ. ხმალაძე, ბ. ხაჭაპურიძე, ე. აბაშიძე, ნ. ადამაშვილი, ზ. ხოჯავა, ვ. გრიგოლავა, შ. ნადირაშვილი და სხვა). აღსანიშნავია, რომ შემდგომში ქართველმა ფსიქოლოგებმა შეიმუშავეს განწყობის კვლევის სხვა გზები, ხერხები და მეთოდები (ნ. ელიავა, ზ. ხოჯავა, შ. ჩხარტიშვილი, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. კინწურაშვილი, ყ. ყვავილაშვილი, მ. ჩიტაშვილი და სხვა). რამაც კიდევ უფრო მრავალმხრივი გახდა ჩვენი ცოდნა განწყობის მოქმედების ემპირიულ კანონზომიერებათა შესახებ.

პარალელურად იბეჭდება განმაზოგადებელი თეორიულ-მეთოდოლოგიური გამოკვლევები, რომლებშიც გაანალიზებულია განწყობის თეორიის ძირითადი და განსაკუთრებით აქტუალური საკითხები (დ. უზნაძე, ა. ფრანგიშვილი, ზ. ხოჯავა, შ. ჩხარტიშვილი, ი. ბეალავა, დ. რამიშვილი, ა. შერაშია, ვ. ნორაკიძე, შ. ნადირაშვილი და სხვა). ქართველი ფსიქოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმდინარეობათა შესწავლას და კრიტიკულ ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა სათანადოდ შეფასდეს განწყობის თეორიის ადგილი და როლი მთელი ფსიქოლოგიური მეცნიერების მასშტაბით. ამ ტრადიციას თვითონ დ. უზნაძემ ჩაუყარა საფუძველი ძირითადი ფსიქოლოგიური კონცეფციების ბრწყინვალე ანალიზით. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ა. ბოჭორიშვილის ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელშიც წარმოდ-



გენ-ლია ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებანი. ნ. ადამაშვილის გამოკვლევა მიემდგნა კ. ლევინს, ე. აბაშიძისა — პერსონოლოგიას, ო. ტაბიძის — ბიჰევიორიზმს, ა. შეროზას, ვ. კაკაბაძის — ფსიქოანალიზს, გ. ცინცაძის — მარბეს. ა. ფრანგიშვილის გამოკვლევებში გაშუქებულია განწყობის ცნების შემეცნებითი ღირებულება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პოზიციებიდან.

საქართველოში შესრულებულია მრავალი გამოკვლევა განწყობის თეორიის პოზიციებიდან ზოგადი ფსიქოლოგიის სხვადასხვა პრობლემების შესწავლის მიმართულებით. გამოკვლევულია შერგონების, აღქმის და წარმოსახვის პროცესები (დ. უზნაძე, რ. ნათაძე, ზ. ხოჯავა, ი. ბეალავა, შ. ნადირაშვილი, ო. ტაბიძე, გ. ქირია, ი. თოძე, ჯ. კუპრაშვილი, მ. როგოვსკაია და სხვა); მეხსიერება (ა. ფრანგიშვილი, დ. ფარჯანაძე, ლ. ყვავილაშვილი და სხვა); ყურადღება (დ. უზნაძე, გ. ბაქრაძე, ა. მოსიავე, ქ. ნეფარიძე და სხვა); აზროვნება (დ. უზნაძე, რ. ნათაძე, ნ. ელიავა, დ. რამიშვილი, მ. ყოლბაია, შ. ნადირაშვილი, გ. დარახველიძე, გ. ნიყარაძე და სხვა); ენა და მეტყველება (დ. უზნაძე, ა. ბოჭორიშვილი, დ. რამიშვილი, ა. ბაინდურაშვილი, ზ. ხოჯავა, ა. ავალიშვილი, ნ. ჭრელაშვილი, ნ. იმედაძე, ა. ალხაზიშვილი, მ. ყოლბაია, გ. მჭედლიშვილი, რ. საყვარელიძე, რ. მშვიდლობაძე, თ. ზარიძე, დ. ჯვარიშვილი და სხვა); ემოცია (ნ. იმედაძე); ჩევეა (ზ. ხოჯავა, ო. ტაბიძე, შ. ნადირაშვილი, ა. გრიგოლავა და სხვა). განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ქცევის ფსიქოლოგიის პრობლემატიკას, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან განწყობის თეორია პირველ რიგში ცნობილია, როგორც ქცევის ზოგად ფსიქოლოგიური კონცეფცია. თვით დ. უზნაძიდან მოყოლებული, ქართველი ფსიქოლოგების შრომებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნილების, მოტივის, ნებულობის და ქცევის თეორიის სხვადასხვა საკითხებს. უზნაძე ავტორია ქცევის ფორმების ორიგინალური კლასიფიკაციისა, რომელიც დღესაც უნიკალურია მსოფლიო ფსიქოლოგიაში. კლასიფიკაციის საფუძვლად დაედო მოთხოვნილებათა ორი კლასის სუბსტანციონალური და ფუნქციონალური მოთხოვნილებების გამოყოფა. ამ უკანასკნელთა დიფერენციალური განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა; მან შესაძლებლობა მისცა დ. უზნაძეს დაეხასიათებინა ისეთი რთული ბუნების ქცევები, როგორცეცა თამაში, შემოქმედება და სხვა. დ. უზნაძე ავტორია ფუნქციონალური ტენდენციის ცნებაზე აგებული თამაშის თეორიისა, რომელიც თამამად შეიძლება შეფასდეს, როგორც ამ ქცევის ბუნების დადგენის ერთ-ერთი საუკეთესო ცდა. დ. უზნაძეს ეკუთვნის აგრეთვე მეტად ორიგინალური შეხედულება ნებულობასა და მის მოტივაციაზე. მან დასაბამი დაუდო ფართო დიაპაზონის კვლევებს ქცევის ფსიქოლოგიის მიმართულებით (შ. ჩხარტიშვილი, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, რ. ქვარცხავა, ნ. როგავა, ვ. კაკაბაძე, დ. კიკნაძე, ა. ალხაზიშვილი, ო. ტაბიძე, ი. იმედაძე, ნ. სარჯველაძე, დ. გოგუაძე და სხვა). ამ შრომებში აზრთა დიდ სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ეს ალბათ ბუნებრივია ვინაიდან მოტივაციასთან დაკავშირებული საკითხები ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე ბუნდოვან და რთულ სფეროს შეადგენენ.

დიდი ხანია ფართო მუშაობა მიმდინარეობს პიროვნების დიფერენციალურ ფსიქოლოგიაში. ქარაქტეროლოგიური პრობლემების სისტემურ კვლევა-ძიებას სათავეში უდგას პროფ. ვ. ნორაკიძე. შემუშავებულია პიროვნების კვლევის კომპლექსური მეთოდი რომელშიც გაერთიანებულია პიროვნების შესწავლის სხვადასხვა მეთოდები. ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა გამოკვლეულ ოქნეს პიროვნების ზოგადი და დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური

თავისებურებანი. მთავარი ადგილი მიიღო ფიქსირებული განწყობის მეთოდის ეთმობა, რომლის დიაგნოსტიკური ღირებულება საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. ამ მეთოდით მიღებული შედეგების შედარებამ პიროვნების შესწავლის სხვა მეთოდებით გამოვლენილ ტიპოლოგიურ ნიშნებთან საკმაოდ მაღალი კორელაცია დაადასტურა (ვ. ნორაკიძე, ა. გრიგოლავა, გ. ჯაფარიძე). მაგალითად, სოციალური ადაპტაციის თვალსაზრისით დადებითი ნიშნები: მეგობრულობა, კოლექტიურობა, აფილიაცია და სხვა, რომლებიც დგინდება თემატური აპერცეფციის მეთოდით, აღმოაჩნდათ პიროვნებებს, რომელთა განწყობა პლასტიკურ-დინამიკურ ხასიათს ატარებს. ხოლო სოციალური ადაპტაციის მხრივ უარყოფითი ნიშნები — ევოცენტრიზმი, აგრესიულობა, რიგიდულობა და სხვა სტატიკური ან ლაბილური განწყობის ტიპებს აღმოაჩნდათ.

განწყობის თეორია სამედიცინო ფსიქოლოგიის სფეროშიც იქნა გადატანილი (ი. ბუღალავა, ქ. მდივანი, ნ. ელიავა, მ. საყვარელიძე, ე. ვაჩნაძე, მ. ჯაფარიძე, მ. ცინცაძე, მ. ბარკალაია და სხვა) და აქ არა ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგი იქნა მიღებული, რომელიც დაავადებათა მთელ ჯგუფს (შიზოფრენია, ეპილეფსია, ისტერია, ფსიქოსთენია და სხვა) ჰყენს ნათელს და ზოგიერთ შემთხვევაში დიაგნოსტიკურ მნიშვნელობასაც იძენს. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პათოფსიქოლოგიის განყოფილებაში შეისწავლეს ბოლო აგრეთვე განწყობის ფიზიოლოგიური და ნეიროფსიქოლოგიური საფუძვლები (ი. ბუღალავა). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განწყობის თეორიის დაკავშირებას ფუნქციონალური სისტემების კონცეფციასთან (ი. ბუღალავა). ბოლო დროს ამ განყოფილებაში ფართოდ არის გაშლილი შიზოფრენიის გენეტიკური ასპექტების კვლევა (მ. საყვარელიძე, მ. ცინცაძე).

60-იანი წლებიდან მოყოლებული თანდათან იკიდებს ფეხს სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით პირველი გამოკვლევა ჩვენში ა. ფრანგიშვილის მიერ ჯერ კიდევ 1943 წ. შესრულდა და მიემდინა პანიკის ფსიქოლოგიას. დღეს საქართველოში სოციალური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგია.

უცხოურ სოციალურ ფსიქოლოგიაში უკვე დიდი ხანია მყარი ადგილი დაიმკვიდრა სოციალური განწყობის — ატიტუდის ცნებამ. ბუნებრივია, რომ ამ ცნების ვაზარება დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ კონცეფციაში უაღრესად დიდი თეორიული მნიშვნელობის საკითხად გადაიქცა (ა. ფრანგიშვილი, შ. ნადირაშვილი და სხვა). დ. უზნაძის თეორიის ბაზაზე დამუშავდა სოციალური განწყობის ცნება. იგი გასაგებს ხდის ადამიანის ფსიქიკური აქტივობის იმ მექანიზმს, რომლითაც პიროვნების საქმიანობაში შემოდის სოციალური, მორალური და სხვა ღირებულებანი. ყოველივე ამის გამო პიროვნების საქმიანობა სოციალურ შინაარსს ღებულობს და ერთგვარად იმ საზოგადოებრივ-ისტორიულ პროცესში, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. სოციალური განწყობის ცნებაში ასახულია ადამიანის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება ამა თუ იმ სოციალური მოვლენის მიმართ, შეწყნარების ან უკუგდების ტენდენცია ამა თუ იმ ქცევის, საქმიანობის, სოციალური ნორმების, იდეოლოგიის, წეს-ჩვეულებების და ა. შ. მიმართ. საბოლოო ჯამში ამ განწყობებს ეფუძნება ადამიანის მრწამსი და რწმენა, ამიტომ გასაგებია თუ რა დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება ენიჭება სოციალური განწყობების ფორმირების, მოქმედების და შეცვლის ფსიქოლოგიურ კანონზო-

მიერებათა დადგენას. ამ მხრივ ჩვენში მნიშვნელოვანი შედეგია მოპოვებული (შ. ნადირაშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ჯელიძე, მ. ბალიაშვილი, შ. აბზიანიძე, თ. ჩხეიძე და სხვა). განწყობის გაზომვებით მიღებულმა შედეგებმა ბევრად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა განწყობის ფუნდამენტური მექანიზმების შესახებ. გარდა ამისა შეისწავლება ბევრი სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი, როგორცაა სოციალური მოლოდინები, როლური კონფლიქტები (მ. გომელაური), კონფორმიზმი (ვ. მალრაძე), შეჯიბრი (მ. კეკელია) და ბევრი სხვა.

საქართველოში, მეცნიერულ-ფსიქოლოგიური კვლევის დასაბამიდანვე დ. უხნაძე და მისი მოწაფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბავშვის, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებს. ამ მიმართულებით მუშაობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მოიცვა ამ ფსიქოლოგიური დისციპლინების თითქმის მთელი პრობლემატიკა. ვინაიდან აღნიშნულ სფეროში შესრულებული ყველა გამოკვლევის უბრალო ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა, შევჩერდებით მხოლოდ რამოდენიმე ძირითადზე.

მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივი და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევები საკითხთა ფართო დიაპაზონს მოიცავდა, ძათ შორის კარდინალური მნიშვნელობის თეორიულ პრობლემებსაც, მათ თავიდანვე აშკარა პრაქტიკული მიმართულება ჰქონდათ. მაგალითად, ჯერ კიდევ 1946-48 წლებში სასკოლო სწავლების 7 წლიდან დაწყებასთან დაკავშირებით თვით დ. უხნაძის მიერ დაისვა სასკოლო ასაკისა და სასკოლო მზაობის პრობლემა. ამ ასაკის ბავშვების ფსიქოლოგიური თავისებურებების საკითხს მიეძღვნა უხნაძის ბევრი თანამშრომლის გამოკვლევა (ა. მოსიავა, რ. ნათაძე, დ. რამიშვილი, ბ. ხაჭაპურიძე, შ. ჩხარტიშვილი, ფ. ხუნდაძე). მოგვიანებით, 70-იან წლებში, დ. უხნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებაში გაჩაღდა ინტენსიური კვლევა (ი. კოტეტიშვილი, თ. მუსერიძე, ა. აღზაზიშვილი, მ. მალრაძე, ნ. დევიძე, ი. იმედაძე, და სხვა) ექვსი წლის ბავშვების სასკოლო სწავლებასთან დაკავშირებით, რომელიც შეჭამდა შ. ჩხარტიშვილის მიერ. ამ ამოცანამ სტიმული მისცა იმ მრავალმხრივ და კომპლექსურ მუშაობას, რომელსაც ეწევიან ი. კოტეტიშვილი და მისი თანამშრომლები დაწყებით სკოლაში სწავლების პრობლემებზე. ამ მუშაობის პრაქტიკული შედეგი იყო სახელმძღვანელოს შექმნა. მეორე ენის შესწავლის მიმართულებით კონკრეტული მეთოდოლოგია შეიმუშავა, აგრეთვე, ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფმა ა. აღზაზიშვილის ხელმძღვანელობით. დიდი მასალა დაგროვილი სხვადასხვა ფსიქიკური ფუნქციების ონტოგენეტური შესწავლის დარგში: ცნებით აზროვნებაზე (დ. უხნაძე, რ. ნათაძე), განზოგადობაზე (შ. ნადირაშვილი), შინაგან, ზეპირ და წერით მეტყველებაზე (ნ. ჭრელაშვილი, მ. მჭედლიშვილი, ზ. გაბაშვილი), მესხიერებაზე (ე. კეყერაძე), ესთეტიკურ აღქმაზე (ფ. ხუნდაძე), ნებულობაზე (შ. ჩხარტიშვილი, ნ. როგავა და სხვა), თვითცნობიერებაზე (ნ. ადამაშვილი). განწყობის ონტოგენეტური თავისებურებანი შესწავლია ბ. ხაჭაპურიძემ.

დამუშავდა ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ძირითადი თეორიული პრობლემები. თამაშის თეორიის გარდა, რომელზეც ზემოთ უკვე ითქვა, დ. უხნაძეს ეკუთვნის უაღრესად საინტერესო მოსაზრება ასაკობრივი პერიოდიზაციის შესახებ. იგი ასაკობრივი გარემოს ცნებაზეა დაფუძნებული. მასვე ეკუთვნის ორიგინალური თვალსაზრისი სწავლაზე, როგორც ქცევის დამოუკიდებელ ფორმაზე. იგი განხილულია, როგორც გარდამავალი საფეხური თამაშიდან შრომაზე. სწავლის თეორიაში მუშაობა დ. უხნაძის შემდეგაც გა-

რძელდა. სწავლის ქცევის სტადიები განიხილა ა. ფრანგიშვილმა; შ. ჩხარტიშვილმა ჩამოაყალიბა შეხედულება სწავლის, როგორც ორბუნებიანი ქცევის შესახებ. ა. აღხაზიშვილმა შექმნა სწავლის ფორმების ტიპოლოგია. რაც შეეხება აღზრდის პრობლემას, აქ პირველ რიგში, გამოირჩევა შ. ჩხარტიშვილის მონოგრაფია, რომელიც გოგებაშვილის პრემიით დაჯილდოვდა. აღზრდის ფსიქოლოგიის საკითხებს ამჟამად შეისწავლიან შ. ნადირაშვილი, ნ. როგავა და სხვა. ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს პროფორიენტაციის მიმართულებით (მ. ზარანდია, ნ. ნასრაშვილი). არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე დეფექტოლოგიური კვლევები, რომლებიც წარმატებით ხორციელდება ვ. ნორაკიძის, მ. ყოლბაიას, ე. გერსამიას, მ. შენგელიასა და სხვათა მიერ.

საკმაოდ ბევრი გამოკვლევა შესრულდა საინჟინრო და შრომის ფსიქოლოგიაში. დიდ ინტერესს იწვევს შრომები, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის სენსო-მოტორული, ინფორმაციული, კონსტრუქციულ-ტექნიკური და ა. შ. უნარებისა და შესაძლებლობების დადგენას, მათი ფსიქოლოგიური მექანიზმის გარკვევას. გარდა ამისა, ამ შრომებს წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვთ (გ. კეჩხუაშვილი, შ. ნადირაშვილი, გ. ქირია, ო. ბერეკაშვილი, გ. მერაბიშვილი, თ. ნონიაშვილი, ზ. ბიგვაეა, ტ. იოსებაძე, ი. ფილიპაშვილი და სხვა).

მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მუშაობა ფსიქოლოგიის ისეთ დარგებში, როგორცაა შედარებითი ფსიქოლოგია (დ. რამიშვილი, ნ. ადამაშვილი, ნ. კრელაშვილი, დ. ბერეკაშვილი); სპორტის ფსიქოლოგია (ვ. ნორაკიძე, გ. სამსონაძე), შემოქმედების ფსიქოლოგია (დ. უზნაძე, რ. ნათაძე, გ. კეჩხუაშვილი, ვ. ნორაკიძე, დ. რამიშვილი, დ. დოლიძე).

და ბოლოს უნდა აღინიშნოს ის დიდი შრომა, რომელიც გაწეულია ქართულ ენაზე ფსიქოლოგიის ორიგინალური სახელმძღვანელოების შესაქმნელად. არსებობს ზოგადი ფსიქოლოგიის რამოდენიმე ქართული სახელმძღვანელო (დ. უზნაძე, ა. ბოქორიშვილი, და შ. ჩხარტიშვილი, რ. ნათაძე); ბავშვის ფსიქოლოგია (დ. უზნაძე); აგრეთვე იმავე სახელწოდების ორტომეული ვ. ნორაკიძის რედაქციით; პედაგოგიური ფსიქოლოგია (რედ. შ. ჩხარტიშვილი), სოციალური ფსიქოლოგია (შ. ნადირაშვილი), საინჟინრო ფსიქოლოგია (გ. კეჩხუაშვილი), ზოგადი და სპორტის ფსიქოლოგია (ვ. ნორაკიძე), განწყობის ფსიქოლოგია, ორტომეული (შ. ნადირაშვილი).

ფილოსოფია

რომან ზანაღია

რელიგიური და მხატვრული

(პირველი წერილი)

შესავალი

რელიგიური და მხატვრული რელიგიისა და ხელოვნების არსებით ნიშან-თვისებათა გამოხატველ ცნებებად არის ნაგულისხმები. რეალურად არსებული რელიგია და ხელოვნება უამრავ ელემენტსა თუ თვისებას მოიცავს. ამიტომ რელიგიურისა და მხატვრულის ურთიერთმიმართების გამოკვლევა წინასწარ გულისხმობს ორივე ფენომენის მიმართ ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც ეფემერულსა და მეორეხარისხოვანს მარადიულისა და ძირითადისაგან გამოარჩევდა. გარდა ამისა, რელიგიასაც და ხელოვნებასაც გარკვეული ორგანიზაციული დაწესებულებანი გააჩნიათ (რელიგიას უფრო ტოტალური და ძლიერი, მაგრამ ხელოვნებასაც აგრეთვე), რომლებიც, მართალია, აღნიშნულ ფენომენთა შენარჩუნებას და განვითარებას ემსახურებიან, მაგრამ თავისთავად რელიგიასა და ხელოვნებას არ წარმოადგენენ. ამიტომ ამ ორგანიზაციულ დაწესებულებათა ურთიერთდამოკიდებულება — მაგალითად, ეკლესიის ბრძოლა ხელოვნების წინააღმდეგ ან ხელოვნებაში არსებული რაიმე მიმდინარეობის მანიფესტი ეკლესიის წინააღმდეგ, მართალია მხატვრულისა და რელიგიურის ურთიერთობას შეეხება, მაგრამ თვით ეს ურთიერთობა მაინც არაა.

ხელოვნებისა და რელიგიის ურთიერთობა შეიძლება ბევრგვარად იქნეს შესწავლილი. ჩვენ არ შეგვიძლია თვალი მივაწვდინოთ რა და რა სახის იყო ან რა სახის იქნება მომავალში. მაგრამ ამ ურთიერთობის შესწავლის ძირითად სახეებზე მითითება მაინც შეიძლება. ჩვენ შეიძლება გვანტერესებდეს ხელოვნების და რელიგიის კონკრეტული ურთიერთობის ისტორია ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების რომელიმე ეპოქაში ან მთელი საზოგადოების ცხოვრებაში საერთოდ, ასევე, ინტერესისა და კვლევის ობიექტად შეიძლება იქცეს, არა ხელოვნებისა და რელიგიის რეალური ურთიერთობის ისტორია, არამედ თვით ამ ურთიერთობის ბუნება-ხასიათი. ეს ხელოვნებისა და რელიგიის ურთიერთობის თეორიული გამოკვლევა იქნება, რომელსაც, მკაცრად რომ ვთქვათ, აღნიშნული ურთიერთობის ისტორია კი არ აინტერესებს, არამედ ამ ურთიერთობის კომპონენტთა, სუბიექტთა, წევრთა რაობა და თავად ურთიერთობის თავისებურება.

ამრიგად, ხელოვნებისა და რელიგიის ურთიერთობის შესწავლა, რომელიც, ამ ურთიერთობის არსების დონეზე, რელიგიურისა და მხატვრულის ურთიერთობის შესწავლაა, ჩვენთვის საშუალებას წარმოადგენს მხატვრულის არსებით ნიშან-თვისებათა გამოვლენისათვის. ეს, რასაკვირველია საბოლოო მიზანია. ამჯერად კი, ჩვენს ამოცანას რელიგიურისა და მხატვრულის ურთიერთობის ზო-

გერთა ასპექტის თეორიული გააზრება წარმოადგენს. ოღონდ უნდა გავემიჯნოთ რელიგიისადმი უკიდურესად ნიპილისტურ დამოკიდებულებას, რომლის ნიმუშად ყოფილი ეპისკოპოსის ჟან მელიეს სიტყვები შეიძლება დავიმოწყოთ: „...მსოფლიოს ყველა რელიგია მხოლოდ ადამიანთა მონაგონია და ყოველივე ის, რასაც გასწავლით თქვენ თქვენი რელიგია... არსებითად მხოლოდ შეცდომა, ტყუილი, ილუზია და პირმოთენობაა“.

რელიგიურისა და მხატვრულის ურთიერთობის შესწავლა სასურველ ნაყოფს მხოლოდ მაშინ გამოიღებს, თუ წინასწარ გვეცოდინება რელიგიურისა და მხატვრულის თვისობრივი თავისებურება. მაგრამ ზემოთ იმის შესახებაც იყო ლაპარაკი, რომ რელიგიურისა და მხატვრულის ურთიერთობის შესწავლა, საბოლოო ანგარიშით, მხატვრულისა და რელიგიურის ბუნების გამოსარკვევად გამოიყენება. ერთი შეხედვით, აქ თითქოს ანტინომიურობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ სწორედ რომ ერთი შეხედვით. რელიგიურისა და მხატვრულის ურთიერთობის კვლევა რელიგიურისა და მხატვრულის შესახებ გარკვეული წარმოდგენით უნდა დაიწყოს. სხვაგვარად საერთოდ შეუძლებელია დაწყება. მაგრამ ეს სრულებითაც არ მოითხოვს რომ კვლევის შედეგი მხოლოდ იმის გარემოება იყოს, რითაც დავიწყეთ. პირიქით, კვლევა სწორედ იმიტომ წარმოებს, რომ კიდევ უფრო ღრმად შევიკრათ, უფრო მეტი გავიგოთ როგორც რელიგიურის ისე მხატვრულის შესახებ.

მაშ, რა წინასწარი წარმოდგენა გვაქვს ჩვენ რელიგიურისა და მხატვრულის შესახებ? რელიგიურის უზოგადესი თავისებურება შეიძლება მოვიიაზროთ როგორც რწმენა და იმედი, რწმენა და სასოება. ეს ორი ნიშანი რასაკვირველია არაა რელიგიურის, როგორც ასეთის, კონკრეტული დახასიათება. მაგრამ ისეთი მაინც არის, რომ რელიგიური გამოაცალკევოს მეცნიერულის, პოლიტიკურის, სამართლებრივის, მხატვრულისა და ა. შ. საერთო-საზოგადოებრივი ცნობიერი ფენომენებისაგან.

რწმენა და იმედი, რწმენა და სასოება, რომელთა შუქზე უნდა იქნეს მოაზრებული, გაგებული რელიგიური, თვითონვე არიან აზრის შინაარსები და შესაძლებელია, თუ საგანგებო ყურადღებით არ ვიქნებით, მხედველობიდან გავგეიქრეს. შესაძლებელია ე. ი. რომ რელიგიური გავიაზროთ როგორც მხოლოდ რწმენა. ან როგორც მხოლოდ იმედი. რელიგიური არც მხოლოდ რწმენაა და არც მხოლოდ იმედი, — არც რწმენა და იმედი. რელიგიური, ზუსტად, იმედი-სათვის აუცილებელი რწმენაა, არც მეტი და არც ნაკლები.

ხდებოდა ხოლმე ისტორიაში, რომ რელიგია მეცნიერულ აზრს ეწინააღმდეგებოდა. ჩვენ რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, რომ რელიგიის ბრძოლა მეცნიერების წინააღმდეგ სამართლიანი საქმე იყო. ჩვენ მხოლოდ გვინდა იმ მიზეზს მივუთითოთ, რამაც ეს წინააღმდეგობა განაპირობა. ადამიანს სჭირდება იმედი. მაგრამ ადამიანს სჭირდება ცოდნაც. იმედი შეუძლებელია რწმენის გარეშე. ცოდნა რწმენის წინააღმდეგაა მიმართული. ეს ობიექტური ვითარებაა. და ამგვარი ობიექტური ვითარება ადამიანური ყოფის წინააღმდეგური ხასიათის მაჩვენებელია. როგორც ცნობილია, ლუთერმა ლათინურიდან გერმანულად თარგმნა ბიბლია, და როგორც ამბობენ, ლუთერის მიერ გავერმანულებული ბიბლია იქცა გერმანული ენის საფუძვლად და განვითარების ჰორიზონტად. რატუნური ინტელექტუალური ენერჯია დასჭირდებოდა ამ საქმეს! სხვამ ვინ იცოდა, თუ ლუთერმა არა, ინტელექტის ფასი და მნიშვნელობა. მაგრამ სწორედ ლუთერი წერდა: ინტელექტი მეძევ ქალს ჰგავს, რომელიც ჰიტლაყის და

გაგდების ღირსიაო. რამ აამხედრა ლუთერი ინტელექტის, აზრის, მეცნიერების წინააღმდეგ? მხოლოდ და მხოლოდ იმან, რომ ინტელექტის პროდუქტი, მეცნიერება, იმედის საფუძვლად მდებარე რწმენას დაუპირისპირდა. დრამატული და დაძაბულია კაცობრიობის ისტორია და ყოფა. როცა აღნიშნული წინააღმდეგობა უკიდურესობამდე მივიდა, როცა შეუძლებელი გახდა დაპირისპირებულ ძალთა ურთიერთდამანგრეველი მოქმედების შეჩერება, კაცობრიობა ახალი კულტურის, იმედის დამფუძნებელი ახალი მსოფლმხედველობის შექმნის აუცილებლობის წინაშე დადგა.

ამრიგად, რელიგია ისტორიულად დრომოქმული ფორმაა იმედის დამკვიდრებისა, მაგრამ იგი სანამ არსებობდა, არსებობდა როგორც იმედის დამფუძნებელი რწმენა. ესაა რელიგიის ბირთვი ანუ რელიგიური — „მსასოფარი“.

როგორი წინასწარი წარმოდგენა გვაქვს მხატვრულის შესახებ? მხატვრული ხელოვნების არსებაა და ამდენად მშვენიერსაც იტევს. ასეთი გაანალიზების შემდეგ რა ნიშნით ან ნიშნებით შეიძლება უზოგადესად და, ამდენად, აბსტრაქტულად, მოვიაზროთ მხატვრული? მხატვრული სახიერი, ფორმის მქონე (არა მართლოდენ გრძნობად კონკრეტულ-ხატოვანი) და ემოციურია. სახიერის ე. ი. გაფორმებულის გაიგივება სახესთან, ხატოვანთან, საჩინოსთან, ჩინის მქონესთან უდიდესი შეცდომაა, რომელიც ჯიუტად მეორდება ბევრ ესთეტიკურ თეორიაში. სახიერი გარკვეული გაფორმებაა, სტრუქტურაა, რომელშიც საჩინოთი უჩინოს მოვლინება ხორციელდება. მხატვრულში ყველაფრისათვის ხატისა თუ ჩინის მიცემის ვარაუდი შეცდომაა. სხვათა შორის ამ გაუგებრობას ემყარება ჰეგელის ესთეტიკიდან მომდინარე „ცნების დახატვის შეუძლებლობის“, ასე ვთქვათ, თეორია და აქედან ხელოვნებისათვის მაღალი იდეებისადმი ხელმოუწვდომლობა.

მოკლედ, ნიშან-თვისებები, რომლის პორიზონტით უნდა დაისაზღვროს მხატვრული — არის სახიერი და ემოციური.

მხატვრულის სახელაზნელო, არათემატური დახასიათებისას, ჩვეულებრივ, ემოციურ-გრძნობად-ხატოვან-საჩინო თვისებებს ექცევა ყურადღება. მხატვრულის მხოლოდ ემოციურით გააზრება მხატვრულის არამხატვრულისაგან გამომყოფ მიჯნას ჩქმალავს; ხოლო მისი მხოლოდ ხატოვან-საჩინოდ გააზრება ხელოვნებასა და შარლატანობას შორის საზღვარს აუქმებს. ამდენად, სახიერი ემოციური არის ის პირველი, რითაც მხატვრული გვაქვს წარმოდგენილი, როცა მისი რელიგიურთან ურთიერთობის გამოკვლევა გვინდა.

მარქსი წერდა: „მთლიანობა, როგორც იგი გონებაში გვევლინება აზროვნებითი მთლიანობის სახით, პროდუქტია მოაზროვნე გონებისა, რომელიც სამყაროს მისთვის ერთადერთი შესაძლებელი წესით ათვისებს, იმ წესით, რომელიც განსხვავდება ამ სამყაროს ხელოვნურ-რელიგიურ-პრაქტიკულ სულიერი ათვისებისაგან“¹.

როგორც არ უნდა იყოს მარქსის ამ აზრის ინტერპრეტაცია (საბჭოთა ესთეტიკაში დამოწმებული დებულების უამრავი ინტერპრეტაცია არსებობს), ერთი რამ ცხადია. ცხადია, რომ მარქსის აზრით, სამყაროს ათვისების რელიგიური და მხატვრული წესი განსხვავდება სამყაროს აზროვნებითი ათვისებისაგან. ე. ი. არსებობს რაღაც ნიშანი, თვისება, რომელიც ერთნაირად ახასიათებს რე-

1 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 282.

ლიტურსაც და მხატვრულსაც. ბუნებრივია, მხატვრულის და რელიგიურის ურთიერთობის კვლევისას, სწორედ ეს ნიშანი თუ თვისება უნდა მოვიძიოთ და შემდეგ ამ საერთო თვისებაში, ამ თვისების შენარჩუნებით, რელიგიურსაც და მხატვრულსაც თავისთავადობა დაუშემკვიდროთ.

რელიგიურისა და მხატვრულის ურთიერთობის გამოკვლევა ვრცელი თემაა. ჩვენ ამ ურთიერთობის იმ პუნქტიდან დავიწყებთ, რომელიც „ზედაპირზე ძევს“ და, ამდენად, ბუნებრივი დასაწყისი იქნება.

1. რელიგიური როგორც მხატვრულის თემა

რელიგია (რელიგიური მოძრაობა, ასკეტთა ცხოვრება და ა. შ.) შეიძლება იყოს ხელოვნების ე. ი. მხატვრულის სიუჟეტი. ასეთ შემთხვევაში იგი არაფრით განსხვავდება საერთოდ სიუჟეტისაგან და მხატვრულისა და რელიგიურის ურთიერთობაში არავითარ თავისებურებას არა ქმნის. სხვა ამბავია, როცა რელიგიური იქცევა მხატვრულის ე. ი. ხელოვნების თემად. ესთეტიკაში არსებობს აზრი, რომ რელიგიური იდეების „ხორცშესხმა“ არის ხელოვნების ამოცანა. ყოველ შემთხვევაში, რელიგიური მსოფლმხედველობის ბატონობის პერიოდში, ზემოთ დამოწმებული აზრი ესთეტიკაში ოფიციალური აზრი იყო.

რელიგიური როგორც მხატვრულის თემა, ჩვენ გვინდა ტოლსტოისა და დოსტოევსკის ორი პატარა მოთხრობის მაგალითზე განვიხილოთ. ასეთი არჩევანი კი სავსებით შემთხვევითი გარემოებით არის განსაზღვრული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში ლ. ნ. ტოლსტოის თხზულებათა კატალოგში აღინიშნება ტოლსტოის პატარა მოთხრობა „სიყვარულთან არის ღმერთი“. მაგრამ იმავე ნომრით ამ პატარა მოთხრობასთან ერთად არის აკრძალული თ. დოსტოევსკის აგრეთვე პატარა მოთხრობა — „ბიჭი ქრისტეს ნაძვის ხეზე“. საინტერესოა, ორივე მოთხრობა ცალკე წიგნებად არის გამოსული, ოღონდ დოსტოევსკისა — 1893 წელს, ტოლსტოისა — 1901 წ. ვილაცის მადლიან მარჯვენას, მსოფლიოს ორი დიდი მწერლის ორი პატარა მოთხრობა, ერთ წიგნად აუკინძია. ორივე მოთხრობის თემა არის რელიგიური მრწამსი. ახლა ჩვენ ამ მოთხრობების მოკლე შინაარსს გადმოვცემთ და მათ განხილვას შევეცდებით.

ქალაქის ერთ-ერთ სარდაფში ცხოვრობდა მეწაღე მარტინ ავდეიჩი. სარდაფის ოთახს, როგორც ჩვეულებრივ ხდება, ჰერთან მიჰქეცილი პატარა სარკმელი ჰქონდა. სარკმელში ქუჩაში გამწვლეულთა მხოლოდ ფეხები ჩანდა, მაგრამ ავდეიჩი წაღების მიხედვით ცნობდა ადამიანებს. გულმოდგინე და პირიანი ხელსანი იყო ავდეიჩი — ზედმეტს თავის დღეში არ აიღებდა, სიტყვას არ გატეხდა. ამიტომ სამუშაო ყოველთვის ბლომად ჰქონდა. იჯდა თავის სარდაფში და მუშაობდა. ბედი არა სწყალობდა მარტინს. მართალია წლიდან წლამდე გასატანი სარჩო ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ ოჯახში უბედური კაცი იყო. ჯერ იყო და ცოლი გარდაიცვალა. ობლად დარჩენილი პატარა კაპიტოშკა ჯერ უნდოდა სოფელში დასთან გეგზავნა, მაგრამ სხვის ოჯახში უმამისთვალოდ დარჩენილი პატარა შეენანა და თავისთან დაიტოვა. სანამ კაპიტოშკა წამოიჩიტებოდა დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა ავდეიჩს. ახლა პატარას მამის ცოტ-ცოტა მოხმარებაც შეეძლო. ოჯახში ის-ის იყო სიხარულმა დაიფესვა და ავდეიჩს ახალი უბედურება დაატყდა თავს. კაპიტოშკას ხურვება შეეყარა და კვირის თავზე გარდაიცვალა.

მარტინს სასოება გაუწყდა, გული ჩაუქუფრდა, ღმერთზე ბუზღუნნი დაიწყო.

ერთხელ ავდეიჩთან სამების ეკლესიის ბერი მოვიდა. ავდეიჩმა სტუმარს თავისი ნაღვლიანი გული გადაუშალა. სიცოცხლის ხალისი დავკარგე — ეუბნებოდა ავდეიჩი ბერს — ნეტავი სული მალე ამომძვრებოდესო. შენი სასოწარკვეთის მიზეზი ისაა — თავის მხრივ, ეუბნებოდა ბერი — რომ შენ სიცოცხლე შენი სიხარულისათვის გინდაო. დედა, აბა რიდასთვისდა უნდა იცოცხლოსო კაცმა — გულწრფელად აღიარა მასპინძელმა. ღმერთისათვის, ღმერთისათვის უნდა იცხოვრო, მარტინ — მოძღვრავდა ბერი — შენ სიცოცხლე ღმერთმა მოგცა და ამიტომაც სიცოცხლე მისთვის უნდა გინდოდესო. ხოლო როცა შენ სიცოცხლეს იმას მიუძღვენი, არაფერზე აღარ იღარდებ და ყველაფერი ადვილად მოგეჩვენებაო. და ბერმა აუწყა ავდეიჩს, თუ როგორ და სად უნდა გაიგოს რა გვარისაა ღმერთისათვის სიცოცხლე — ღმერთისათვის ცხოვრების ფორმასა და ნიშნებს ქრისტეს მიწიერი ცხოვრება წარმოადგენს — ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ისტორია კი სახარებაშია გადმოცემული.

ავდეიჩმა ლუკას სახარების კითხვა დაიწყო, ქრისტეს ცხოვრების ისტორიამ სულ ერთიანად გაიტაცა და შთანთქა. წინანდელი ბედზე წუწუნისა და კაპიტოშკას მოუნელებელი გლოვის ნაცვლად, ერთთავად „დიდება შენდა ღმერთო“ ადგა ენაზე.

ლ. ტოლსტოი სიტყვა-სიტყვით გადმოგვეცემს ლუკას სახარების მეექვსე თავის იმ ადგილს, რამაც ავდეიჩი სულიან-ხორციანა შესძრა: „რომელმან გცეს ყურბაღსა შენსა, მიუბუარ ერთკერძოცა; და რომელი მიგიღებდეს შენ სამოსელსა შენსა, კუართსაცა შენსა ნუ აყენებ. ყოველი რომელი ვთხოვდეს, მიეც, და რომელი მიგიღებდეს შენ, ნუ მოჰხდი. და ვითარცა — იგი თქვენ გნებავს, რაითა გიყონ კაცთა, თქუენცა, ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ“... „რაისა მეტყველი მე: უფალო, უფალო, და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვი თქვენ? ყოველი რომელი მოვალს ჩემდა და ისმენს სიტყუათა ჩემთა და ჰყოფს მათ, გიწუნო თქუენ, ვისა იყოს მსგავსს. მსგავსს არს იგი კაცისა, რომელი აშენებენ სახლსა, რომელმან მოთხარა და დადარმო და დაღდა საფუძველი კლდესა ზედა; და დიდროაი რაი იყო, ეკუთუა მდინარე იგი სახლსა მას და ვერ შეუძლო შეძრად მისა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა.

ხოლო რომელმან ისმინა და არა ყოს, მსგავს არს იგი კაცისა, რომელმან აღაშენა სახლი მიწასა ზედა თვინიერ საფუძველსა, რომელსა ეკუთუა მდინარე. და მეცხუელად დაეცა; და იყო დაცემი სახლისაი მის დიდ ფრიად“.

წაიკითხა ყოველივე ეს და ჩაფიქრდა ავდეიჩი — კლდეზეა თუ მიწაზე სახლი ჩემი? კარგია თუ კლდეზე არის დაფუძნებული. და ადვილია ასე, ზიხარ მარტოკა, გეჩვენება ყველაფერი ისე ქმენ როგორც ღმერთმა გიბრძანა. იქდები, ეგრე იქდები და შეგეშლება, ცოდვას ჩაიდენ. მაგრამ მაინც ვეცდები, ღმერთო, შენ მიშველე. ფიქრობდა ასე ავდეიჩი. დაწოლა მოუნდა, მაგრამ წიგნს გული ვერ მოწყვიტა და მეშვიდე თავიც წაიკითხა: „და მიექცა დედაკაცსა მას და სვიმონს ეტყოდა: „ჰხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა. წყალი ფერხთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტვინა ფერხნი ჩემნი და თმითა თვისითა წარხოცნა. ამბორის-ყოფაი არა მომეც მე, ხოლო ესე ენაითვან შემოვიდა, არა დასცხრების ამბორის-ყოფითა ფერხთა ჩემთათა. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე ხოლო ამან ნელსაცხებელი სცხო ფერხთა ჩემთა“. ისევ მოიხსნა სათვალე და ისევ ჩაფიქრდა. ჩემსავით ყოფილა ფარისეველი — ფიქ-

რობდა ავდეიჩი — მეც ჩაი მხოლოდ ჩემთვის მახსოვს... მხოლოდ მე მივირთვა, თბილად, პოლში, შენი სტუმარი სულაც არ მახსოვს. მერე და ვინ არის სტუმარი? თვით მეუფე. ჩამთანაც რომ მოსულიყო, მეც ასე მოვქეცეოდი? ამ ფიქრებში ჩაეძინა მეწალეს.

„მარტინ“ — თითქოს ვილაცამ მის ყურთან ჩაიჩურჩულა. მარტინმა თვალი გაახილა, იკითხა ვინ არისო, ვერც პასუხი მიიღო და ვერც ვერაფერს დაინახა. ისევე ჩასთვლიდა. ახლა უფრო ნათლად გაიგონა — მარტინ, გესმის, მარტინ! ხვალ ქუჩისკენ თვალი გეჭიროს, მოვალ. გაეღვიძა, თვალები მოიფშენიდა, ვერ გარკვეულიყო ხმა სიზმარში მოეჩვენა თუ ცხადად გაიგონა.

დილაუთენია ადგა მარტინი. საუზმე გაამზადა და მუშაობას შეუდგა. მაგრამ იმდენს არ მუშაობს, რამდენსაც სარკმელში იყურება. ზოგჯერ ზემოთ წამოდგება, რომ გამველელის სახე დაინახოს. ერთი მოხუცი დაინახა, ჯარში ნამსახური. იცნო, სტეფანიჩს რომ ეძახდნენ ის იყო. ახლა ერთ მდიდართან მეგობრებს ეხმარებოდა. სტეფანიჩი ნიჩაბით თოვლს ხრილავდა. მერე ნიჩაბი კედელს მიაყუდა — ვანზე ვადგა. ისე მოხუცდა თოვლის ხრილვაც უჭირს, ფიქრობდა ავდეიჩი. დაუძახა, შეიყვანა, დაასვენა, ჩაით გაუმასპინძლდა. ლაპარაკში შეყვინენ და ავდეიჩმა ქრისტეს ისტორია და თავის წუხანდელი შემთხვევა უამბო. როცა სტეფანიჩი წავიდა მარტინმა კვლავ მუშაობა სცადა. მაგრამ სულ ერთთავად ქუჩისკენ იყურებოდა. თავში ქრისტეს აზრები უტრიალებდა. მეუფეს ელოდა. ახლა ავდეიჩმა შილიფად ჩაქმული უცხო ქალი დაინახა. ქალს თან ბავშვი ჰყავდა და ცდილობდა როგორმე ქარისა და სიცივისაგან დაეფარა. მაგრამ აღარაფერი გააჩნდა. ავდეიჩმა ისიც ოთახში შეიყვანა. საჭმელი მიართვა, ბავშვი თვითონ შეიქცია. საწყალი ქალი სამუშაოს საშოვნად ჩამოსულიყო, თავშალი 2 უზალთუნად დაეგირავებინა. ავდეიჩმა სტუმარი დაასვენა, გააბობო, დააპურა, წამოსასხამიც უბოძა და ორი უზალთუნიც აჩუქა — თავშალი დაიხსენიო. გახარებულმა ქალმა თქვა — ღმერთმა გიშველოს, იესო ქრისტემ შემახედრა შენთანაო. ავდეიჩმა ქალსაც უამბო თავისი შემთხვევა და უთხრა დღეს ჩემთან ღმერთი მოვაო. ყველაფერი შეიძლება მოხდეს — თქვა დამშვიდობებისას ქალმა და წავიდა.

ისევე შეუდგა მეწალე მუშაობას, მაგრამ ცალი თვალი მაინც სარკმელისკენ აქვს. ახლა ავდეიჩმა სარკმლის პირდაპირ ვაშლებს გამყიდველი მოხუცი ქალი დაინახა. ცალ ხელში კალათი ეჭირა, რომელშიც რამდენიმე გაუყიდავი ვაშლი ჩარჩენილიყო. მეორეთი მხარზე შედგმული ნაფოტებით სავსე ტომარა ეკავა. ალბათ სადმე მშენებლობაზე აკრიფა. ხელის შეცვლა მოუნდა, კალათი დადგა და ნაფოტიანი ტომარა მხარზე შეისწორა. ამ დროს საიდანლაც ბიჭი გამოტყვერა და ვაშლს წაეტანა. მოხუცმა მოასწრო და თმებით დაითრია. აქეთ ქალი, ილანძღება, იქეთ ბიჭი ყვირის. ავდეიჩი ქუჩაში გამოვიდა. გაუშვი — უთხრა მან ქალს — ღმერთის გულისათვის, მეტს აღარ ჩაიდენს. ბიჭს კი — პატიება სთხოვეო მოხუცს. ახლა ავდეიჩმა აიღო ვაშლი და ბიჭს გაუწოდა. ქალს კი, გადავიხბიო, ანიშნა.

— თავს გაუთ, მაგ ყაჩაღანებს — თქვა ქალმა.

— ეჰ, ბებო, უთხრა ავდეიჩმა — ეგ ჩვენებურად არის ასე, ღმერთისათვის კი ასე როდია. თუ ეგ ერთი ვაშლისათვის უნდა გავწყველოთ, ჩვენ რაღა უნდა გვიყონ ჩვენი ცოდვებისათვის? ღმერთი გვიბრძანებს ვაპატიოთ, თორემ არც ჩვენ გვაპატიებენ. ქალმა აპატია. შემდეგ როცა ქალი ტომარას დასწვდა, ბიჭმა

გამოართვა და გზას გაუყენენ. ავღიჩი დიდხანს უყურებდა, როგორ მიდიოდნენ და რაღაცაზე მეგობრულად საუბრობდნენ მოხუცი ქალი და ბიჭი.

ავღიჩი ოთახში შევიდა, ცოტახანს კიდევ იმუშავა. მერე დაბნელდა. სანთელი აანთო. უნდოდა სახარება იმ ადგილას გადაეშალა სადაც წუხელ ჩაინიშნა, მაგრამ სხვა ადგილას გადაიშალა წიგნი. სწორედ ამ დროს მოაგონდა ავღიჩის სიზმარი. სიზმრის მოგონება იყო და უცებ მოესმა, თითქოს ვიღაც მოძრაობს, დააბიჯებს მის უკან. მოიხედა ავღიჩმა: კუთხეში ვიღაც-ვიღაცეები დგანან, მაგრამ ვერ არჩევს კი ვინ ვინაა. ყურში ხმამ ჩასჩურჩულა: მარტინ გესმის, მარტინ. ეს ხომ მე ვარ, და ავღიჩმა სტეფანიჩი იცნო. გამოეყო ბნელ კუთხეს სტეფანიჩი, გაუღიმა და გაჰქრა. ასე რიგ-რიგობით დაინახა მან ბავშვიანი ქალი, მოხუცი ქალი და ბიჭი. ავღიჩს სულში ნათელი მოეფინა, პირვეარი გამოისახა და სახარების კითხვა იქედან დაიწყო, სადაც წიგნი თავისით გადაიშალა. „რამეთუ მშობიდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასუთი მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე...“ ზოლო რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ეს: „რავდენი უყავით ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავით“. და მიხვდა ავღიჩი, სიზმარს რომ არ მოუტყუებია, რომ მართლა მოვიდა მასთან იმ დღეს მაცხოვარი, და რომ სწორედ მან მიიღო იგი.

ახლა დოსტოვესკის მოთხრობის „ბიჭი ქრისტეს ნაძვის ხეზე“ მოკლე შინაარსს ვაღმოვცემთ:

ძალიან პატარა ბიჭუნას, ასე ექვსი წლისას, ცივ და ნესტიან სარდაფში გავლვიძა. მას ხალათივით რაღაცა ეცვა და სიცივისაგან ცახცახებდა. სუნთქვისას ფთილა-ფთილა ორთქლი გამოდიოდა და კუთხეში სკივრზე დაყუჩებული, შოწყენილობისაგან ვანზრახ უშვებდა პირიდან ამ ორთქლს და ერთობოდა. შიოდა, ძალიან შიოდა. დილიდან იგი რამდენჯერმე მივიდა ნარებთან, სადაც ტყლაბივით თხელ საგებზე, მუთაქის ნაცვლად ფუთაზე თავმიდებული მისი ავადმყოფი დედა იწვა. როგორც ჩანს იგი ბავშვიანად რომელიღაც მახლობელ ქალაქიდან ჩამოეხეტა და უცაბედად ცუდად შეიქნა. სარდაფში მრავალი ბედ-უკუღმართი და საცოდავი იყო — მოხუცები, ლოთები, ხეიბრები...

ბიჭმა წყალი საღდაც დერეფანში იპოვა, მაგრამ საჭმლის ნამცეცი არსად იყო და აგერ უკვე მეთოდ მივიდა დედამისთან, გავლვიძებო. მოსაღამოვდა. უსინათლო სარდაფის სიბნელემ ბიჭი შეაძრწუნა. დედას სახეზე ხელი მოუსვა. გავგნებულნი შედგა უძრავ და კედელივით ცივ დედის ნეშტთან. ცოტა ხანს ხელი მიცვალბულის მხარზე ედო. მერე ნარიდან მოსასხამად რაღაც ძველმანი ჩამოიღო და სარდაფიდან გარეთ გამოვიდა. ბავშვმა განცვიფრებისაგან პირი დააღო. თავის დღეში არ ენახა ასეთი გაჩახჩახებული ქუჩები. ასე მაღალი და ლამაზი სახლები.

შიოდა, ოჰ, ერთი ნამცეცი პური... თითებში სიცივისაგან საშინელი წვატკივილი იგრძნო. ქუჩის პირას, განათებულმა ფართო ფანჯარამ მოსტაცა თვალი. სახლში ჭერს წვერმიწვედნილი, ნუგბარებით დახუნძლული ნაძვის ხე იდგა. ნაძვის გარშემო ბავშვები დარბოდნენ, კისკისებდნენ, ჭამდნენ, წუწნიდნენ. აგერ მეორე სახლი. იქაც ნაძვის ხეა, მაგიდაზე იმდენი ნამცხვრები ეწყო ბიჭს თვალეში აუჭურელდა. მაგიდას ოთხი მდიდარი ბატონი უჯდა. ვინც მაგიდასთან მივიდოდა მას ნამცხვრებით, კანფეტებით, გოზინაყებით უმასპინძლდებოდნენ. კარები კი წამდაუწუმ იღებოდა და უამრავი სტუმარი მოდიოდა. ბიჭიც შევიდა ოთახში. ვიღაც ქალბატონმა მას ხელში კაპიკიანი შეაჩეჩა და კინწისკვრით გარეთ გამოავადო. კაპიკიანმა კიბის ხარისხზე გაიწკრიალა—ბიჭმა გათო-

შილი თითები ვერ მოხარა და კაპიციანი ხელიდან გაუვარდა. ქუჩაში ბიჭი უაზროდ და უგეზოდ მიბობდავდა. ვილაყამ ფეხი გამოსდო და ხელი ჰკრა. მიწაზე დაეკრძა. ყურებში დამუქრებული და დამცინავი გნისი ჩაესმა. წამოხტა და კისრისტეხით ვაეჭანა სიბნელისაკენ. რომელიღაც ეზოში შეშის გროვას გადააწყდა. გროვაში შეძვრა. აქ ველარ იპოვინდნენ.

შეშინებული, მშვიერი და გათოშილი უცბად ჩათბა, ჩაეძინა. ყურში დედის ნანინა ჩაესმოდა. — წამოდი ჩემთან ნაძვის ხეზე ბიჭუნო — გაიჩურჩულა ვილაყამ. ეგონა, რომ ეს ისევე დედამისი იყო. მაგრამ არა... ნეტა ვინ ეძახის. ვერა ხედავს, მაგრამ ვილაყა ბნელში დაიხარა და ხელში აიყვანა. ბიჭმა ხელი მოხვია და... ვაჩაზჩახებული დარბაზშია. დარბაზში რაღაც ზღაპრული ნაძვის ხე დგას. ნეტა სად არის? ყველაფერი ბრწყინავს, ელავს, ირგვლივ უამრავი ბავშვია, გაბრწყინებულები, პაეროვანნი, ეხვევიან, კოცნიან, დაფრინავენ ნაძვის ხის ირგვლივ ბავშვები და მათთან ერთად ისიც. ყველაფერს ამას ხედავს დედამისიც და შუქჩამდგარი უღიმის. ვინა ხართ თქვენ ბავშვებო, ეკითხება იგი. — ეს ქრისტეს ნაძვის ხეა, პასუხობენ ყრამულით. ქრისტეს ყოველთვის აქვს დღეს დღეს ნაძვის ხე პატარა ბავშვებისათვის, ვისაც იქ არა აქვს საკუთარი. მან ისიც გაიგო, რომ ეს გოგონები და ბიჭუნები ყველანი მასავით ბავშვი იყო... და ახლა ყველანი აქ არიან. ყველანი ახლა ქრისტესთან არიან ანგელოზებით... ისიც მათ შორისაა და ეხვევა და ლოცავს მათ. იქვე მათი ცოდვილი დედები დგანან და ტირიან, ბავშვები მიფრინდებიან დედებთან, ჰკოცნიან, ცრემლებს სწმენდენ, ეხვევებიან ნუ იტირებთო... აქ ხომ ასე კარგად გრძობენ თავს...

ღილით კი მეგზოვებმა შეშის გროვაში პატარა ბიჭის გაყინული გვაში იპოვეს...

სანამ უშუალოდ მოთხრობის განხილვაზე გადავიდოდე თვით ტოლსტოისა და დოსტოევსკის შესახებ ვიტყვი ორიოდ სიტყვას. ჩვენთვის, ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის, ბუნებრივია ორი ბუმბერაზის შედარება სილიადის მიხედვით; თანაც ისე, რომ ერთ-ერთი მეორეზე გვიანდა წარმატებული აღმოჩნდეს. თითქოს ვერ ვიტანთ, ვერ ვუძლებთ ერთდროულად ორი თვალშეუწყვდომი სიმაღლის ჭკვრეტას. ზოგჯერ ასე დახარისხებას აქვს საფუძველი, ზოგჯერ არა. აღნიშნული აზრით, ტოლსტოისა და დოსტოევსკის შედარება-შეპირისპირებასაც აქვს ადგილი და აზრთა სხვაობაც არსებობს. ერთნი ტოლსტოის ამტობინებენ, სხვებს დოსტოევსკის მიერ ადამიანთა სულის ბნელი კუნჭულების ხილვა ხიბლავს. ორივე თვალსაზრისს, რასაკვირველია, აქვს საფუძველი. ტოლსტოის დაბადებიდან 150 წლის აღნიშვნის დღეებში ერთი რუსი ლიტერატორი წერდა: არიან მწერლები, რომლებიც თავის ეპოქით არიან განსაზღვრულნი, ასე ვთქვათ, ეპოქის შვილები არიან. ტოლსტოი მამა იყო თავის ეპოქის. შეიძლება ითქვას, რომ ტოლსტოის მთელ შემოქმედებაში სუფევს კაცობრიობისადმი მამობრივი სიყვარულის სითბო. იგი როგორც მართლა მზრუნველი მამა, ცდილობს ადამიანი ააცდინოს ხიფათს, მოეფეროს, დაუყვავოს, იმედი ჩაუნერგოს. დოსტოევსკი უფრო გაბუტულ შვილსა ჰგავს, უკიდურესი გაბრაზებისას ოჯახის ყველა საიდუმლოს რომ გამოამზეურებს. ასეთი სულიერი პურგაციის შემდეგ, ჩვეულებრივ, სულიერი კრიზისი გვეუფლება და არა ოპტიმისტური განწყობილება და იმედი. დასავლეთ ევროპაში დოსტოევსკის განსაკუთრებული პოპულარობა, ეპოქის კულტურის კრიზისით აიხსნება. სასოწარკვეთილება, ადამიანური ღირსების გაუფასურება, რომელსაც ბურჟუაზიული სამყაროს ადამიანები, საგვებით ბუნებრივად, ტრაგიკულად განიცდიან, დოსტოევსკის

შემოქმედებაში ბედის მოზიარეს პოულობს. შენი ბედის მოზიარის, შენს ბედში მყოფის ნახვაც მოქმედებს ხშირად დამამშვიდებლად. ეს ისე სხვათა შორის.

სანამ მხატვრულისა და რელიგიურის კონკრეტულად განხორციელებული ურთიერთობის განხილვას შევედგებოდეთ, ერთი მომენტის გათვალისწინებაცაა საჭირო. ზემოთ, როცა მხატვრულისა და რელიგიურის ძირითადი ნიშნების შესახებ იყო მსჯელობა, აღარაფერი გვითქვამს თავისუფალი ფანტაზიის შესახებ. თავისუფალი ფანტაზია არის ის საერთო ძირი, საიდანაც რელიგიური და მხატვრული შინაარსები აღმოცენდებიან. რწმენის საგანი და იმედის ჩამწერგავი წარმოდგენები რელიგიაში, სახიერი და ემოციური შინაარსები ხელოვნებაში — მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი ფანტაზიით წარმოიქმნება. კი, მაგრამ რატომ სჭირდება ამ შინაარსების წარმოქმნას თავისუფალი ფანტაზია და საერთოდ რა არის ეს თავისუფალი ფანტაზია? რელიგიურისა და მხატვრულის შინაარსების წარმოქმნას თავისუფალი ფანტაზია სჭირდება იმიტომ, რომ ეს შინაარსები არსებულის შემეცნებას, ასახვას არ წარმოადგენენ. თავისუფალი ფანტაზია, თავისუფალია სწორედ რეალურად არსებულის, სინამდვილის რეპროდუქციისაგან. მას არ ევალება იყოს სინამდვილის ადექვატური სურათი. მისი ღირსება არაა ჭეშმარიტობა და ნაკლი — მცდარობა. მას არ მიესადაგება ჭეშმარიტობა-მცდარობის ნიშნით დახასიათება. არა, კი შეიძლება ჭეშმარიტობა-მცდარობის ნიშნით დაეხასიათოთ თავისუფალი ფანტაზიის პროდუქტი — რელიგიური და მხატვრული შინაარსები; გარკვეულ შედეგსაც მივიღებთ ასეთი დახასიათების შედეგად, მაგრამ ასეთი დახასიათება ვერ ჩაგვახედებს მათ ბუნებაში, ვერ გავვაგებინებს მათი არსებობის საფუძველს. მაგალითად, სიზმარი როგორც გარკვეული ფენომენი, ცნობიერების შინაარსია. მაგრამ სიზმრის შინაარსის ჭეშმარიტობა-მცდარობის გამოკვლევა სიზმრის ბუნების, სიზმრის რაობის დახასიათებას ვერ მოგვცემს. რას შეიძლება ამ გზით მივალწიოთ? ე. ი. რას მივალწევთ სიზმრის შინაარსის ჭეშმარიტობა-მცდარობის გამოკვლევით. მხოლოდ იმას, რომ გვეცოდინება ამა თუ იმ კონკრეტულ სიზმარში რა არის სინამდვილიდან აღებული და რა არა. მაგრამ გაუგებარი დარჩება თვითონ ის, რაც მთავარია, რაც თავისებური და სპეციფიკურია ამ ფენომენში — გაუგებარი დარჩება სწორედ დასიზმრება.

თავისუფალი ფანტაზია თავისუფალია იმდენად, რამდენადაც იგი არაა დამოკიდებული არსებულზე; მას არ ევალება არსებულის რეპროდუქცია. სწორედ რომ პირიქით, თავისუფალი ფანტაზია იმიტომ მოქმედებს, რომ რაღაც ინსტანციას არ ჰყოფნის, არ აკმაყოფილებს, არ უნდა რეალური. სამყაროში ადამიანი არის ერთადერთი არსება, რომელიც აცნობიერებს შეზღუდულობას, დასრულებულობას, საზღვარს. სასრულობისა და საზღვრის, ზღუდეების გაცნობიერება ფაქტიურად ადამიანის ნაკლოვანების გაცნობიერებაა. ნაკლი კი ტკივილად, მწუხარებად განიცდება. თავისუფალი ფანტაზია ცდილობს დასძლიოს ეს ნაკლი. მაგრამ მისი რეალური დაძლევა შეუძლებელია. ამიტომ ადამიანმა თავისი უსასრულობა რაღაცნაირად უნდა დაიჯეროს — წარმოსახოს. რეალურ ცხოვრებაში ეს ყოველ წამს ხორციელდება. ახლა ჩვენ მისი მხოლოდ თეორიული მოაზრება გვინდა.

რელიგიურის თაობაზე, ჯერ-ჯერობით, თავი შევიკავოთ. ესთეტიკამ ყოველთვის იცოდა, რომ მხატვრული შინაარსი არ იყო სინამდვილის საჩქისებუ-

რი ანარეკლი; იცოდა, რომ მხატვრული შინაარსი არ იყო სინამდვილის მეცნიერული შემეცნების პროდუქტი; იცოდა რომ ხელოვნება არ იყო მეცნიერება.

ამიტომ ხელოვნების შინაარსის სინამდვილესთან, არსებულთან დამოკიდებულების, და აქედან მხატვრულის მეცნიერებასთან დამოკიდებულების, მრავალი ვარიანტი არსებობს ესთეტიკის ისტორიაში. პლატონისათვის მხატვრული არსებულის აჩრდილის აჩრდილია და მისი შემეცნების ვერ შემძლებელი. რადგან პლატონისათვის ხელოვნება არსებულის შემეცნების მოწადინება და ვერ შემძლებელი, იგი არ უნდა არსებობდეს. არისტოტელე ვერ შეეღია ხელოვნების ცოდნისეულობას და ისტორიასთან შეპირისპირებით ამ უკანასკნელზე მისი უპირატესობაც კი აღიარა („პოეზია უფრო ფილოსოფიურია ვიდრე ისტორია“), მაგრამ როცა დააკვირდა ხელოვნების შინაარსს, შეამჩნია, რომ იგი არსებულის მთლად მეცნიერული შემეცნება არ არის და აღიარა, რომ იგი იმეცნებს ისეთ რაიმეს რაც სააღბათო ან შესაძლებელია. ალბათური და შესაძლებელის შემეცნება არისტოტელემ მეცნიერებისაგან განსასხევებლად შემოიტანა. მაგრამ თვითონ ალბათურისა და შემთხვევითის მეცნიერული შემეცნებაც ხომაა შესაძლებელი! არისტოტელე, საერთოდ, ფრთხილი მოაზროვნეა. იგი ყოველთვის უფრობის სალი აზროვნებისაგან რადიკალურად დაპირისპირებულ შედეგებს. ამიტომ აკლია პრობლემების მისეულ კვლევას პრინციპული სიმწვავე.

მხატვრულს განიხილავენ, ავრთვე, როგორც იდეალიზაციას, როგორც ტიპიზაციას და ა. შ. მაგრამ მხატვრულის ყოველი ასეთი დახასიათება ლოგიკურ ბოლომდე არ არის მიყვანილი. მხატვრულის რაობის გაგებისათვის ან გაგების დროს რეალურად მიღწეული მხატვრულით არ უნდა შემოვიფარგლოთ. ჭერ ლოგიკურ ბოლომდე უნდა მივიდეთ, ანუ მხატვრულის არსება უნდა დავიჭიროთ და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება მხატვრულის არსება, ანუ ლოგიკური ბოლო რეალურად.

რელიგიურისა და მხატვრულის საერთო ძირად თავისუფალი ფანტაზიის აღიარება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ თავისუფალი ფანტაზია, თავისუფალია სწორედ არსებულის მხოლოდ შემეცნება-გაგების (როგორადაც არ უნდა იყოს გაგებული ეს გაგება) ამოცანისაგან. მაშ, თავისუფალი ფანტაზია გარკვეული აზრით არის თავისუფალი. იგი არაა ყოველმხრივ თავისუფალი ანუ აღვირახსნილი თუ აულავმავე მუზა. თავისუფალ ფანტაზიას აქვს თავისი წარმმართველი, თავისი განმსაზღვრელი ანუ მიმართულების მიმცემი.

ახლა ვიკითხოთ, რა არის თავისუფალი ფანტაზიის მიმართულების მიმცემი? ტიპიზაცია, ალბათურისა და შესაძლებელის შემეცნება, რომელთა შესახებ იყო ლაპარაკი, არ გამოდგებიან თავისუფალი ფანტაზიის წარმმართველ პრინციპებად. რაც შეეხება იდეალიზაციას, ქვემოთ ნათქვამი გახდის ნათელს, შეიძლება თუ არა იგი გამოდგეს ფანტაზიის წარმმართველ პრინციპად. თავისუფალი ფანტაზიის წარმმართველი, მისი კალაპოტი სწორედ რელიგიური და მხატვრულია. კი, მაგრამ რელიგიური და მხატვრული ჩვენ ხომ ადრე დავსახეთ, როგორც თავისუფალი ფანტაზიის შედეგად პროდუცირებული შინაარსის საფუძველზე წარმოშობილი? როგორ შეიძლება წარმოშობილი იყოს წარმოშობის განმსაზღვრელი? ეს ხომ რაღაც უაზრობას, ულოგიკობას წარმოადგენს? თუ რაც ითქვა აქ გავჩერდებით და თავისუფალი ფანტაზიისა და რელიგიურ-მხატვრული ურთიერთობის „მექანიზმს“ უფრო დეტალურად არ განვიხილავთ, კი.

მხატვრული და რელიგიური იმიტომ არიან თავისუფალი ფანტაზიის წარმართველი, ანუ ამოცანის დამსახავი, რომ ისინი ღირებულებებს წარმოადგენენ. ღირებულებანი კი მოთხოვნილებებთან გარკვეულ კავშირურთიერთობას ავლენენ.

ღირებულებებისა და მოთხოვნილებების დამოკიდებულების საკითხი ერთი რთული საკითხია. ბევრი მოაზროვნე, როგორც ჩვენში ისე საზღვარგარეთ ფიქრობს, რომ მოთხოვნილებები არიან ღირებულებათა არსებობის განმსაზღვრელი ანუ მათი წარმოშობი. არიან ისეთი მოაზროვნეები, რომლებიც ღირებულებების წარმოშობას მოთხოვნილებებისაგან სუბიექტივიზმად, რელატივიზმად მიიჩნევენ და ასეთ მოსაზრებას, საესებით სამართლიანად, ობიექტურ ღირებულებათა გაუქმებად თვლიან. მაგრამ მოთხოვნილებათაგან დამოუკიდებლად ღირებულებათა არსებობის დამაკმაყოფილებელ დესაბუთებას ვერ იძლევიან. რადგან ახლა ამ პრობლემის ვრცლად განხილვის საშუალება და ადგილი არ გვაქვს, მოკლედ ვიტყვი ჩვენს მოსაზრებას. მოთხოვნილებებისა და ღირებულებების ურთიერთობის საკითხი დანაწილებულად უნდა გადაწყდეს. სხვანაირად, დაბალ და მაღალ ღირებულებათა მოთხოვნილებებთან დამოკიდებულება ერთნაირი არაა. დაბალ ღირებულებებს, რასაკვირველია, წინ მოთხოვნილებანი უსწრებენ და ისინი განსაზღვრავენ ანუ წარმოქმნიან მათ. მაგრამ მაღალი ღირებულების შემთხვევაში საქმე სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს. მაღალ ღირებულებას ჯერ უნდა წვდეს, ე. ი. ჯერ უნდა ამალდე, რომ მისი მოთხოვნილება გაგიჩნდეს. ამიტომაც არ სწუხან ისინი, ვისაც მაღალი ღირებულებები არ გააჩნიათ, ან უფრო ზუსტად, რომლებიც ჯერ ამ ღირებულებებამდე არ ამალდებულან.

ზემოთ, როცა რელიგიურისა და მხატვრულის ზოგადი ნიშნები გამოვყავით აღვნიშნეთ, რომ რელიგიურისათვის ასეთი ნიშნებია რწმენა და იმედი, მხატვრულისათვის — სახიერი და ემოციური. თუ კარგად დავაკვირდებით, მგზხვდებით, რომ რწმენა, იმედი, სახიერი, ემოციური ღირებულებითი დახასიათებანია. რასაკვირველია, შესაძლებელია, როგორც რელიგიურის ისე მხატვრულის და სხვა ღირებულებით დახასიათებაც. და შესაძლებელი იქნებოდა ამ ღირებულებათა შორის დამოკიდებულების ხასიათის განსაზღვრაც. მაგრამ ეს უკვე კვლევის სხვა თემაა.

ლ. ტოლსტოის მოთხრობაში „სიყვარულთან არის ღმერთი“ ერთმანეთის გვერდით არის რელიგიური და მხატვრული. ჩვენ განზრახ მოვიტანეთ მთელი მუსხლეგი სიტყვა-სიტყვით ლუკას სახარებიდან, ისე, როგორც იგი ტოლსტოის ტექსტშია, რათა თვალსაჩინო გაგვეხადა რელიგიურისა და მხატვრულის მსგავსება-განსხვავება. ერთი მხრივ, ჩვენ „ვხედავთ“ — აღვიქვამთ ერთი მეწაღის გაფორმებულ, სახიერ ცხოვრებას, მეორეს მხრივ, ქრისტიანული ზნეობრივი, ნორმების ფორმულებს. ერთი წუთით კვლავ აღვიდგინოთ ცნობიერებაში აღნიშნულ მოთხრობიდან ორი დეტალი: „ქუჩაში მხოლოდ გამვლელთა ფეხსაცმელები ჩანდა, მაგრამ ხარაზი ავღეიჩი წაღების მიხედვით ცნობდა ადამიანებს“. „რადენი უყავით ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმანა ჩემთასა, იგი მე მიყავით“. ამბავი თუ (შეიძლება, აქ სიტყვა ინფორმაცია სჯობდეს) შინაარსი, რომელიც შემოდის ცნობიერებაში, ერთ შემთხვევაში თავისთავად ცხადია და სახიერი. ჩვენთვის არის გასაკები, რომ მარტინს მართლაც შეეძლო წაღებით ეცნო ადამიანი, რადგან ყველა ფეხსაცმელი მისი შეკეთებულია, თანაც რამდენჯერმე. ხოლო სახარებისეულ სიტყვებს, რომ ადამიანისადმი პატივისცემა

ღმერთის პატივისცემას წარმოადგენს — რწმენა უნდა. იგი თუ არ ირწმუნე სხვა საშველი არ არსებობს. მისი ღლიარებისათვის არ არსებობს დემონსტრაციისა და დასაბუთების არავითარი საშუალება. ინტელექტის უსულგულო ჩხრეკა ამა თუ იმ დებულების სარწმუნოობის შესამოწმებლად აქ ზედმეტი და საზიანოა. აქედანაც მოდის რელიგიაში (ჩვენს შემთხვევაში, ქრისტიანობაში) ინტელექტის აუღად ხსენება. „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა“.

ამ ანალიზიდან უნდა გამოჩნდეს, რომ რელიგიაში, საბოლოო ანგარიშით, თავისუფალი ფანტაზიით შექმნილი შინაარსი იმედის ხარჯზე მიიჩმება, იძენს სარწმუნოობას, ხელოვნებაში კი — სახეერის და ემოციურის.

ავდეიჩი, სამების ბერის შთაგონებით, ლუკას სახარებას დაეწაფა და გაიგო სხვისთვის ცხოვრების, ღვთისათვის ცხოვრების რაგვარობა და ფსიქ. მოთხრობაში, როგორც ვნახეთ ერთი მეორის გვერდითაა სხვისთვის (ღვთისათვის) ცხოვრების რელიგიური და მხატვრული მოდელები. რაც შეეხება რელიგიურ მოდელებს იგი ლუკას სახარებიდან აქვს აღებული ტოლსტოის, ხოლო მხატვრულს — თეოტონ ქმნის.

ავდეიჩის ცნობიერებაში გაბატონდა სახარების კითხვით ეკზალტირებულს ღმერთი რომ მოეჩვენა და სახვალიოდ მოსვლა აღუთქვა. იგი მთელი დღე რელიგიური რწმენით, სწორედ რომ რელიგიური რწმენით ელის ღმერთის მოსვლას. მხატვრულად კი იგი ასეთ სახეს ატარებს: მთელი დღის შრომითა და გარჯით დაღლილი ავდეიჩი დასაძინებლად ემზადება, სანთელი აანთო, სახარების კითხვა დააპირა, წუხანდელი ღამის მოჩვენება გაახსენდა და ამ დროს ზურგს უკან თითქოს ნაბიჯების ხმა გაიგონა. ავდეიჩმა მოხედა, მაგრამ სიბნელეში ვერაფერი გააჩინა. ნეტავ ვინაა: ცნობის წადილი მოეძალა ავდეიჩის და საგნებით გარკვევით გაიგონა: მარტინ, გესმის მარტინ, ეს ხომ მე ვარ და ავდეიჩმა ბნელ კუთხეში ნათელში გახვეული სტეფანიჩი იცნო. იგი ბნელ კუთხეს გამოეყო გაუღიმა და გაქრა. ანალოგიური სიტუაციები მეორდება ბავშვიანი ქალის, მოხუცი ქალისა და ბიჭის სიუჟეტურ სიტუაციათა გამო. რა არის ეს? ეს ავდეიჩის მიერ ჩადენილ კეთილ საქმეთა ზეიმიწა წარმოსახვაში, რაც რეალურად არასდროს არ მოხდება და რაც ამიტომ სწორედ წარმოსახვაში არსებობს. მ ა შ, მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ა შ ი ა რ ს ე ბ ო ბ ა ა, წარმოდგენილი სასურველი ვითარებაა. ტოლსტომ რელიგიური, თუ შეიძლება ასე ითქვას, უხეზი, რწმენა, მხატვრულ ფაქტად უნდა გადააქციოს. ამიტომ მხატვრულ ენაზე თარგმნის იგი სახარების ამბებს. თუ სახარებაში ქრისტე რეალური პიროვნებაა, მოთხრობაში ქრისტე წარმოსახული პიროვნებაა. მან არ უნდა დატოვოს წარმოსახვის საზღვარი და რეალურში არ უნდა შემოვიდეს, თორემ მხატვრული სახეიერი, მხატვრული ფორმა გაუქმდება. სწორედ ესაა ამ მოთხრობის სათაურად ქცეული, დედაზარიც — სიყვარულთან არისო ღმერთი.

ხელოვნებას ხშირად ზოგადად პოეზიას უწოდებენ. ერთი მნიშვნელობით პოეზია ბაძეის საწინააღმდეგოს აღნიშნავს. ამ მნიშვნელობით იხმარება იგი არისტოტელეს „პოეტიკაში“. პოეზია თხზვაა, შემოქმედებაა. მაგრამ პოეზია — შემოქმედება არ არის არარაობიდან რაიმეს შექმნის ტოლი. იგი არ უდრის ასე ვთქვათ, ღმერთისეულ შექმნა-შემოქმედებას. პოეზია მასალას არა ქმნის, იგი მას ეძლევა, პოეტი პოულობს მასალას. პოეზია როგორც შექმნა-გამოჩენა ჩინის მიცემაა, გასახიანებაა, ფორმის ქმნაა.

სხვა მნიშვნელობით პოეზია, პოეტურობა, ყოველდღიურობის იქით გახედვაა. ცხოვრებაში ხშირი ხელმოცარვისა და გაწბილების გამო ჩვენი გულნაპ-



ცეცობისა და დაზაფრულობის ზევით არსებული ნათელია, რომელიც როცა მოგვიშუქდება ლაზათს, შნოსა და აზრს აძლევს ჩვენს ყოფას. ამ მნიშვნელობით იგი წარმავალსა და მიწიერზე თვალის არიდებაა ანუ რომანტიკაა, ანუ თავგანწირვაა, ანუ რწმენაა, ოღონდ რწმენა წარმოსახვის ფარგლებში.

რელიგიამ გარკვეულად ხელი შეუწყო თავგანწირვის, მიწიერზე თვალის არიდების ღირებულების წვდომას. თანამედროვე ათეიზმი, მეცნიერული მარქსისტული ათეიზმი რელიგიური რწმენის ძირითადი ობიექტის — ღმერთის როგორც არსებულის უარყოფაა. ღმერთი არ არსებობს და ყველაფერი ის, რაც რელიგიაში ღმერთის არსებობის რწმენას ემყარება სწორი არაა, სინამდვილეს არ შეეფერება. ე. ი. სწორი არაა, რომ ე. წ. საღმრთო წიგნები ღვთაებრივი შთავგანძობის ნაყოფია, სწორი არაა, მაშასადამე, რომ რელიგიური მორალის უმაღლესი რანგი — ადამიანის, მოყვასის პატივისცემა, თავგანწირვა, ეგოიზმის უარყოფა, უბრალოება, გულალაღობა და გულისხმიერება ღმერთის მიერ ჩანერგული ზნეობრივი ნორმებია. აქედან მხოლოდ და მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ უმაღლესი სულიერი ღირებულებანი ჩვეულებრივი, მიწიერი ადამიანის სანუკვარი ღირებულებანია. ამ რ ი გ ა დ, რ ე ლ ი გ ი ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ფ ა ქ ტ ი, ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს უ ლ ი ს ს ი მ ა ლ ლ ი ს დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ა, ე ს ის ა ა, რ ა ც ხ ი ბ ლ ა ვ ს და ა ჯ ა დ ო ე ბ ს ა დ ა მ ი ა ნ ს ს ხ ე ა შ ი და საკუთარ თავში. მთავარია, რომ საზოგადოების ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში სულიერ ღირებულებათა პროფანაციაში გული არ გაგვიტეხოს და ეპეი არ შევიტანოთ ადამიანის სულის სიმალღეში. ისტორიულად რელიგიის დამსახურება სულის ამ სიმალღეების პოვნაა.

თ. დოსტოევსკის მოთხრობაში მხატვრულსა და რელიგიურს შორის სხვაგვარი ურთიერთობაა. ამ ურთიერთობის თავისებურება შემდგომ წერილში იქნება განხილული.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, მოკლედ, შეიძლება ასე შევჯამოთ: ადამიანის ცნობიერება მხოლოდ რეცეფციული, მიმღები რომ იყოს მაშინ არც რელიგია იარსებებს და არც ხელოვნება. თავისუფალი ფანტაზია, ანდა, უფრო ზუსტად, პროდუქტიული წარმოსახვა არის რელიგიის და ხელოვნების საფუძველი. ხოლო პროდუქტიული წარმოსახვის საქმიანობის გარკვეულ კონკრეტულ შინაარსებად „შეკვრას“ ღირებულება განსაზღვრავს.

Р. П. ШЕНГЕЛИА

РЕЛИГИОЗНОЕ И ХУДОЖЕСТВЕННОЕ

(статья первая)

Резюме

Настоящая статья в определенном смысле представляет собой вступление к исследованию взаимоотношения религиозного и художественного. По мнению автора, общей основой религиозных представлений и художественных содержаний, на базе которой и можно определить своеобразие художественного и религиозного и характер их взаимоотношения, является свободная фантазия, т. е. не адекватное отражение действительности, а продуктивное воображение.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

პარლზ ზომხაძე

აღამიანი ღროის სისტემაში

მიუხედავად იმისა, რომ აღამიანი რეალურად მხოლოდ აწმყოში ცხოვრობს, მის არსებობას და არსს გამოხატავს არა მარტო ის მონაკვეთი ღროისა, რომელსაც აწმყოს ვუწოდებთ. დრო ერთობ საინტერესო და უცნაური ფენომენია, რომელშიც იშლება ყოველი ცალკე აღამიანის და მთელი კაცობრიობის ბედი. იგი უკანმოუბრუნებელი და შეუყოვნებელია, ის, რაც იყო აღარ იქნება, ხოლო როდის რა იქნება და როგორ, არ ვიცით, კაცის სიცოცხლე ღროში ზღვარდებულია, ყოველივე ეს მრავალი პრობლემის, წინააღმდეგობის, ანტინომიის წინაშე აყენებს აღამიანს; აწმყოს, წარსულისა და მომავლის მიმართების სწორად გაგება, წარსულის მოგონება (ავად თუ კეთილად), ფიქრი მომავალზე, მომავლის გაურკვეველობა, როგორ ვიცხოვროთ აწმყოში ბუნების შესატყვისად, მამებისა და შვილების დამოკიდებულება, სიცოცხლის სიმოკლე და აწმყოშივე ზრუნვა მისი გახანგრძლივებისათვის („სიცოცხლე მოკლეა, ხელოვნება — გრძელი“), სიკვდილის შიში, საერთოდ სოფლის ფინალის საკითხი („მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს“), ღროის განცდა სხედასხვა ასაკში და ა. შ. აი, საკითხთა წრე, რომელიც წამოიჭრება აღამიანის წინაშე ღროის პრობლემასთან დაკავშირებით.

ღროის რომელიღაც ერთი საფეხური ან იქნება, ან უკვე იყო ღროის რომელიმე სხვა საფეხური: მომავალი ჯერ აწმყოდ და მერე წარსულად იქცევა, ასევე აწმყოც წარსულში გადავიდა. წარსული ისაა, რაც აღრე ჯერ მომავალი იყო, მერე აწმყო. წარსული სტატიკურია, შეერთებულია მარადისობასთან უცვლელად და უკანმოუბრუნებლად, მას აღარც აღარაფერი მოაკლდება და არც მოემატება. ეს არის ის, რაც უკვე მოხდა, რაც უკვე იყო, რაც ხელმოკრედ აღარ განმეორდება. როგორც არ უნდა ვეცადოთ ამ მდგომარეობას ვერაინ შეცვლის (ყოველი დღე დღეა, მაგრამ ყოველი ახალი დღე სხვა ღროში, მიმდინარეობს ვიდრე წინა დღეები). დინამიურია აწმყო თავისი ხელშესახები რეალობით, კიდევ უფრო დინამიურია მომავალი, ვინაიდან მას ელის აწმყოდ ყოფნა.

წარსული თანდათან იბინდება, მაგრამ დაეწყებას არ ეძლევა, არც ინდივიდთა და არც მთლიანად კაცობრიობის მეხსიერებაში. ხოლო იმის გამო, რომ წარსული დიალექტიკურად მოხსნილ-შემონახულია აწმყოში, ამიტომ ვერც ინდივიდი და ვერც კაცობრიობა წარსულს ვერ ამოაგდებენ თავისი თავიდან, თუნდაც იგი მეხსიერებას არც შემორჩეს.

ჩვენი დღევანდელი ყოფა (აწმყო), გუშინ რომ მომავალი იყო, გუშინდელ აწმყოში ჩაისახა და, რომ მომწიფდა, მას დაუთმო აღგილი გუშინდელმა აწმყომ, ახლანდელმა წარსულმა. მათ შორის კავშირი არ წყდება.

ჩვენი წარსულიც (როგორც ყოფილი აწმყო) ჩვენია. იგი ქმნის პიროვნულ სისავსეს, მისი შემადგენელია, ღროის ყველა საფეხურის ერთიანობის

შეგრძნებით. წარსულის განცდა გვეჭირდება არა მარტო როგორც მოგონება და გახსენება იმისა, რაც იყო, რაც თავს გადაგვხდენია, არამედ იმისათვის, რომ აწმყოში რეალურ მოქმედებას და აზროვნებას განვიხილავდეთ დროის სისტემაში, მისგან არაიზოლირებულად.

წარსულის სათანადოდ განცდის გარეშე პიროვნება კარგავს სწორ გეზს აწმყოში. ჩვენი წარსული თავისებურად განსაზღვრავს ჩვენს აწმყოს (გეოპოპუსს ან გეოთავისუფლებს), რამეთუ იქიდან მოდის ის ღერძი ჩვენი ცხოვრებისა, რომელსაც თავს ვერ დააღწევ, ვერ მოსწყდები.

შეუძლებელია ადამიანი აბსოლუტურად განიწმინდოს, განთავისუფლდეს პირადი წარსულისაგან, ხელახლა იშვას, ხელახლა დაიწყოს ცხოვრება. უწარსულოდ, მის გარეშე, მისი განცდის გარეშე მოკლებული ვართ ორიენტაციას აწმყოში. წარსულისა და აწმყოს მიმართების აუცილებლობის განცდის პროცესში ადამიანის ცხოვრებაში ისახება თავისებური კოლიზიები. ლაპარაკია არა წარსულის პათოლოგიურ დაკარგვაზე (ოდისევსურ დაკარგვაზე), არამედ კოლიზიებზე, რომლებიც მომდინარეობენ იქიდან, რომ წარსული ჩვენი აუცილებელი და მოუცილებელი სატარებელია, ტვირთია (სასიამოვნო ან უსიამოვნო), რომელიც, გვინდა თუ არა, მუდამ უნდა ვატაროთ. მას ვერც მოვიცილებთ, მაგრამ ვერც აბსოლუტურად „დავეჩაგვრინებთ“. კრიტიკულად უნდა ვეკიდებოდეთ ჩვენს წარსულს, მაგრამ არა ავდებთ. წარსულის გაფეტიშება რუტინას, კონსერვატიზმს, გულარხენობას გვიშაადებს და მომავლის პერსპექტივას გვიბნელებს, წარსულის უგულებელყოფა — უპრინციპობას, უპასუხისმგებლობას, თვითნებობას, გულდაფშუტა თვითდაჯერებულობას.

მზერის დაძაბვა და აბსოლუტურად წარსულისაკენ მიმართვა, ჩვენს ყურადღებას აშორებს მომავალს და აწმყოსაც აუფერულებს. ასე ისახება პესიმიზმი და უიმედობა, უპერსპექტივობა და უმოქმედობა. წარსულისადმი სრული უყურადღებობა კი გვძალავს ავანტიურიზმისაკენ.

წარსულის რეალური, სწორი გაგება და განცდა უკვე აწმყოშივე გვაფიქრებს ისე ვიცხოვროთ, რომ დღევანდელი ხვალ კეთილშობილსაგონარი იყოს, სინდისის ქენჯნა არ გეტანჯავდეს, ისეთი ცხოვრების წესს ვირჩევდეთ აწმყოში, რომელიც წარსულს არ დაგვიმძიმებს, უსიამო ტვირთად არ გვიქცევა.

წარსულზე ფიქრი, მისი ანალიზი და სწორი გაგება უნდა აძლევდეს თავისებურ ელფერს ჩვენს აწმყოს, ჩვენს ცხოვრებას და მოღვაწეობას აწმყოში. წარსულის დავიწყება აძლიერებს ამოების შეგნებას: თუ იმის უმტკივნეულო დავიწყება შეიძლება, რაც ჩვენამდე ხდებოდა (ან რაც გუშინ გადაგვხდენია), მაშინ რაღა აზრი აქვს ჩვენს არსებობას. მაშინ მოიქეც ისე, როგორც მომენტმა გიკარანახოს, აკეთე ის, რაც სასარგებლო და სასიამოვნოა დღეს და აწყაბად, ისე, რომ წამითაც არ შეგაყოვნოს ფიქრმა არც წარსულზე, არც მომავალზე.

ის, რაც აწმყომ და წარსულმა გვასწავლა მომავალში უნდა გამოვიყენოთ და გავითვალისწინოთ. ამიტომ, ვანიცდება რა ჩვენს აწმყოში წარსული, იგი მუდმივად ჩვენს მზერას მომავლისაკენ მიაპყრობს.

აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს აწმყოსა და მომავლის მიმართებაზე, აწმყოში მომავლის განცდაზე, რამდენადაც, როგორც ვთქვით, აწმყოსა და წარსულის მიმართებაში ჩაქსოვილია და ნაგულისხმევი აწმყო-მომავლის მიმართებაც (დღევანდელი მომავალი ხომ ხვალ აწმყო და ზეგ წარსული იქნება).

წარსულთან გვაკავშირებს მეხსიერება, შექმნილი გამოცდილება, ნაღვაწი, მომავალთან — იმედი, გეგმა, მიზანი, მოლოდინი...

მომავალი ჩვენში შემოდის სულ სხვა გზით. აწმყო-მომავლის მიმართება სულ სხვა კოლიზიებს აჩენს. შეუძლებელია ნამდვილი, სწორად გააზრებული ცხოვრება, თუ ჩვენი მზერა მომავლისაკენაც არ არის მიმართული. მაგრამ აქაც ორი უკიდურესობა გვემუქრება: მომავლისაგან აბსოლუტური გამოთიშვისა და მხოლოდ მომავლის იმედით ცხოვრება. მომავლისადმი მზერის გამძაფრება, მასზე ყურადღების აბსოლუტური კონცენტრირება ვერ ითავსებს წარსულისა და, რაც მთავარია, აწმყოსადმი ნორმალურ სწორ მიდგომას.

მომავლისადმი უყურადღებობა და ინდიფერენტობა, „დღევანდელი კვერცხი მირჩენია ხვალინდელ ქათამს“ პრინციპით ცხოვრების ფილოსოფიას მივყავართ ავანტიურზიმისაკენ, გვეითრევს ყოველდღიურ ამო წვრილმან საზრუნავთა ჭაობში, გვაფანტვინებს ჩვენს სულიერ და ფიზიკურ ძალებს და შესაძლებლობებს. ახშობს ყველა მათ პოტენციას, გვაფიწყებს მაღალი საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი მსახურების მოვალეობას. მომავლისადმი აგდებული დამოკიდებულება ფაქტიურად განსაზღვრულია წარსულისადმი ამგვარივე დამოკიდებულებით.

თუ ჩვენი ცხოვრების მორალურ პრინციპებსა და ნორმებში, ტრადიციებში გაუთვალისწინებელია წარსული, მისი ვაკვეთილი და გამოცდილება, მაშინ არც მომავალზე ვფიქრობთ. წარსულიდან მომდინარე გამოცდილება და ვაკვეთილი მომავალში უნდა იქნეს ვათვალისწინებელი, მაგრამ ამის საფუძველი აწმყოშივე უნდა მზადდებოდეს. მომავალს აწმყო ამზადებს. აქ განიჭვრიტება, იგეგმება და განიზრახება იგი. ამის გარეშე ყველაფერი გვეკარგება და მხოლოდ აწმყოლა გვრჩება ხელთ, დრო როგორც სისტემა იშლება, ირღვევა, მისი ვანცდა ყალბდება, ცალკერძდება. აწმყოში მხოლოდ აწმყოზე ფიქრი, უმომავლო ფიქრი ღარიბდება, მას აკლდება სიღრმე, სისრულე. საყოველთაობის ხაიისხი. ირღვევა და ღარიბდება პიროვნებაც. ასეთ უითარებაში არც არასდროს შექმნილა რაიმე ღირებული, კაცთათვის (როგორც პიროვნულად, ისე საზოგადოდ) სასარგებლო და შთამაგონებელი.

წარსულისადმი ზურგშექცეული ადამიანი და საზოგადოება თავს იზღვევენ მომავლისათვის მორალური პასუხისმგებლობისაგან. ადამიანი თავს აღარ გრძნობს ვალდებულად არავის მიმართ და კარგავს სხვათა მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობას.

ჩანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია და კულტურა ადამიანებში ნერგავენ აწმყოს ფეტიშიზმის გრძნობას, დღევანდელი დღით ცხოვრების გრძნობას, რაც მომავალ თაობებს უბძიძებს სექსუალური აღვირახსნილობის, ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, უსავნო პროტესტის ჭაობისაკენ. და ადამიანები ეძებენ სისასტიკის, ტერორის პროტესტის ველურად გამოხატვის თეორიული დასაბუთების არგუმენტებს.

ტრადიციისადმი რესპექტაბელობა შეიძლება ერთი უკიდურესობა იყოს, მაგრამ ტრადიციისადმი ნიჰილიზმი და ცინიზმი ხომ მეორე, უფრო საშინელი უკიდურესობაა. აწმყოს ამგვარი ვაფეტისება, მომავლისადმი უიმედობა აძლიერებს ამაოებას, ნიჰილიზმს, ცინიზმს. ასეთია ბურჟუაზიული ცხოვრების წესის, მასობრივი კულტურის მოთხოვნათა სავალალო შედეგი.

როცა წარსული და მომავალი, როგორც დროის მთლიანი სისტემის საფეხურები, მომენტები (ელემენტები) აზრს კარგავენ გვრჩება ერთი გამოსავ-

ლი — ჩვენს დღევანდლობაში ამოვწუროთ ჩვენი თავი „გარეთ“ გაუხედავად. აი, ეს „გარეთ“ გაუხედაობაა დასაგმობი, თორემ ყოველი ინდივიდი თვითრეალიზაციას მუდამ აწმყოში ახდენს, რამეთუ ჩვენი ყოფა რეალურად აწმყოში მიედინება მუდამ.

წარსულ-მომავლის დაკარგვა (აწმყოს კი როგორც არ უნდა ვეცადოთ, ვერ დაკარგავთ, ვინაიდან იგი ჩვენი ყოფის ყოველდღიურობაა), რწმენის დაკარგვა (აწმყო პასუხს გვთხოვს წარსულისათვის, მომავალი — აწმყოსათვის). წარსულ-მომავლის დაკარგვა მოთმინების, სულგრძელობის, თავშეკავების დიდ ზნეობრივ უნართა დაკარგვაა. ამ მდგომარეობაში ჩაეარდნოლი ადამიანისათვის არც შიში არსებობს, არც ცოდვა და დანაშაული, არც მადლი, არც სინდისი, როგორც ქცევის შინაგანი დარაჯი, მსაჯული. ზოლო რით არის სასარგებლო ასეთი კაცი საზოგადოებისათვის? ამრიგად, დროის სისტემური განცდა პიროვნების ზნეობრივი სრულყოფის აუცილებელი პირობაა.

მომავლისათვის ზრუნვა, მასზე ფიქრი, მისი რეალური, რელიეფური განცდა წარმოდგენით (წარმოსახვით), როგორც განცდა აუცილებლობისა და გარდუვებლობისა, და ამ გზით მისი შემოტანა აწმყოში, დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, ვინაიდან ესაა ფიქრი და ზრუნვა ჯერ გაურკვეველზე, ჯერ არარსებულზე. ეს მოითხოვს გონისა და ნებისყოფის წვრთნას, ანალიზისა და თვითანალიზის უნარის აღზრდას და, რაც მთავარია, საგნებისა და მოვლენების განხილვისას სისტემურ მიდგომას.

ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც ფიქრობს მომავალზე, რომელსაც აქვს მომავლის განცდა, ამითაც განსხვავდება იგი ცხოველისაგან (ამიტომ ადამიანი შეიძლება განესაზღვროთ, როგორც არსება, რომელიც ფიქრობს მომავალზე). თავისი შრომის ნაყოფს ადამიანი ხშირად თევობითა და წლობით ელოდება და დღეს (აწმყოში) გულდაჯერებით აკეთებს იმას, რომლის ნაყოფს შორეულ მომავალში ელოდება და მიანც კი აკეთებს.

მომავლისადმი ადამიანის დამოკიდებულება მედავნდება სხვა უკიდურესობითაც, როცა ადამიანი ხელს იღებს აწმყოზე და მზერა მხოლოდ მომავლისაკენ აქვს მიმართული, ცხოვრობს მისი იმედით, მოლოდინით და მხოლოდ ამით.

მომავლის უგულებელმყოფელი ადამიანი განა პასიურია, მაგრამ მისი ყოველი სამოქმედო აქტი აწმყოს მოთხოვნილებებითაა ნაკარნახევი. აი, მომავლის და მხოლოდ მომავლის შემყურე ადამიანი კი სრულიად უმწეოდ შეიძლება გამოიყურებოდეს აწმყოში, ვითარცა ასკეტი, განდევნილი. მომავლის ამგვარი აბსტრაქტული გაფეტიშება გვაკარგვინებს დროის მთლიანობის განცდას.

მომავლისადმი ამგვარი აბსტრაქტული, დროის სისტემისაგან გამოთიშული ყურადღება აღუნებს ჩვენს ფიზიკურ და სულიერ ძალებს. პიროვნება იკარგება და კარგავს საზოგადოებრივ ღირებულებას.

დროის სისტემური ანალიზი მოითხოვს დროის ყოველი საფეხური გათვალისწინებული იყოს ყველა დანარჩენში. აქ უნდა დავძლიოთ სკეპტიციზმიც, როცა ერთზე ფიქრი და განსჯა მეორისაკენ გვზრის და პირიქით, როცა ვიხილებით მათ შორის და ვემერყვობთ. ყოველი ცალკე საფეხურის გაფეტიშება აბსტრაქტული და საზიანოა, როგორც პიროვნების მთლიანობისათვის, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით. მაგალითად, აწმყოს გაფეტიშების და მომავლის არასწორი გაგების შედეგად შიშველება მოხვევის, წაგლეჯის გამო-

ძალის, დაგროვების ეგოისტური იმპულსები. დროის მომენტთა დიალექტიკური ერთიანობის გაგების გარეშე შეუძლებელია პიროვნული მთლიანობის მიღწევა. ნამდვილი, სწორი ცხოვრების წესით ის ცხოვრობს, ვისაც არ ეკარგება დროის უწყვეტობისა და მთლიანობის განცდის გრძნობა.

რას გვარგებს მხოლოდ მომავალზე ფიქრი, თუ აწმყო დავკარგეთ. ყოველი ეპოქა გამსჭვალულია თავისებური სულისკვეთებით და თუ მისი ნაპერწკალი არ შეგვეხო და შენი მზერა სადაც მომავლის შორეთს არ შორდება, ისე ჩავვივლის ეპოქა, არც რაიმეს შეგვმატებს, და ვერც რაიმეს შევმატებთ, დარჩები მარადიულ განყენებულობაში და უნაყოფოდ გადახვალ ამ სოფლიდან.

დროის სისტემური განცდა ასეთ პრობლემასაც აყენებს ჩვენს წინაშე: ჩვენი მომავალი ჩვენივე წარსული ცხოვრებიდან გამომდინარეობს თუ, პირიქით, ჩვენს მოღვაწეობას აწმყოში უკვე განსაზღვრული და წინასწარდადგენილი მომავალი აპირობებს? ე. ი. აწმყოდან გამოდის მომავალი, თუ ჩვენი პირადი აწმყო მომავლითაა გაპირობებული?

ჩვენს პირად მომავალს ჩვენვე ვჭმნით აწმყოშივე გარკვეულ კონკრეტულ გარემოებებსა და ვითარებებში. ხედვრში, რომელსაც მომავალი გვიზადებს, აწმყოს, ან უკვე წარსულის წილია. ამიტომ სისტემატურად გამოწვლილვით უნდა ვაანალიზებდეთ წარსულს, აწმყოში მომავლის პერსპექტივით ვმოქმედებდეთ. შეიძლება გადაეურჩეთ კაცის მსჯავრს, მაგრამ ვერსად დავემალებით კაცთა ყოფის უზენაეს, ობიექტურ-კანონზომიერ მსჯავრს. უშუალოდ განცდილი (აწმყო), მეხსიერება (წარსული) და წარმოსახვა (მომავალი) ერთმანეთს უნდა მოიცავდნენ და გულისხმობდნენ, ავსებდნენ, ამდიდრებდნენ, აძლიერებდნენ. ასეთია ერთ-ერთი კანონი ცხოვრებისა, ცხოვრებისა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ჰემიარტი, განსხვავებით ცხოვრების სუროგატისაგან.

ამ კანონის შეთვისებითა და გათვალისწინებით ცხოვრება უზრუნველყოფს პიროვნების მოღვაწეობას გაწონასწორებულს და მშვიდს, მოღვაწეობას რწმენით, მოთმინებითა და სულგრძელობით, თავისუფალი თავშეკავებითა და დათმობით, როცა ეს აუცილებელია.

ამ ასპექტში უნდა განვიხილოთ ე. წ. მამებისა და შვილების პრობლემა. მამები შვილებისათვის მომავალიცაა და აწმყოში გადმოტანილი მომავალიც. შვილები კი მამებისათვის ესაა წარსული, აწმყოში გადმოტანილი წარსული. რა არის ამ შემთხვევაში მათი „შეუთავსებლობის“ მიზეზი? რა თქმა უნდა, ისევ დროის არასისტემური განცდა, დროის რომელიღაც მომენტის (საფეხურის) გაფეტიშება, ყოველი თაობის მიერ თავისი სამრეკლოდან რეკვა (ამ შემთხვევაში მამები აფეტიშებენ წარსულს, შვილები — აწმყოს).

მამებისათვის ყველაფერი უკვე უკანაა (ან თითქმის უკანაა), შვილებისათვის, პირიქით — ყველაფერი წინაა. პოზიციათა ეს დიდი (რადიკალური) სხვაობა განსაზღვრავს მათი აზროვნების სტილსა და მიდგომის თავისებურებას, მაგრამ გონიერება ყველგან უნდა იმარჯვებდეს. გონიერება გვიკარნახებს ურთიერთაპატივისცემას, დროის სისტემური ანალიზის შესაბამისად მოქმედებას და განსჯას.

ენერგიის მოზღვავებით, ზოგჯერ იმპულსური მოქმედება შვილებისა აღიზიანებთ მშობლებს, რომელთა ვნება თანდათან ცხრება, ან უკვე დამცხრალა, რომელთა ენერგია იშრიტება, ან უკვე დაშრეტლია. მაგრამ დამცხრალი ენერგია თუ ვნება სხვა თვისებრიობაში გადასულა — გამოცდილებაში, აზრის

სისაღეში, სიბრძნეში. ასეა, როგორც შაგერენის ტყავის ფილოსოფია გესწავლის, რაღაცას ვკარგავთ — რაღაცას ვიძენთ და პირიქით. ასე რომ, ის გამოცდილება, ის საღი აზრი, ის სიბრძნე იმის შედეგია, რომ თავის დროზე ვნება დღვდა, ენერგია ჩქეფდა. ამას ხშირად იფიქსებენ მამები და შიშველი სენტენციებით უნდათ ერთბაშად თავის დონეზე დააყენონ შვილები. თავის მხრივ, შვილები, რომელნიც ეხარბებიან ცხოვრებას, რანაირად არ ცდილობენ აიღონ მისგან ყველა სინჯი, ჩასწვდნენ მისი ყველა კუთხე-კუნძულის საიდუმლოებას. ეფრებიან მამების ცდას მოთოკონ მათი ნება და სწრაფვა, არადა ეს შემაკავებელი ძალაც საჭიროა, რომ ენერგიამ და იმპულსმა ზოგჯერ მეტისმეტად შორს არ შეტოპოს უგუნურად. კარგ ცხენს კარგი მხედარი უნდა, მაგრამ პირიქითაც, კარგი მხედარიც საჭიროებს კარგ ცხენს.

მამები და შვილები ორი საპირისპირო ძალაა, ერთმანეთისათვის აუცილებელი და საჭირო ძალა, რომლებიც რეფლექსურად ერთმანეთში უნდა ხედავდნენ საკუთარ თავს, ირეკლებოდნენ ერთმანეთში, რაც ასე აუცილებელია დროის სისტემური განცდისათვის.

დროის სისტემური ანალიზი მოითხოვს ვეახსოვდეს, რომ ჩვენ ვცოცხლობთ ჩვენივე სიცოცხლის ხარჯზე, რომ ჩვენი სასიცოცხლო ძალები ამომწურავი როდია. მათ დაზოგვა და განაწილება სჭირდება, რომ თავიდან ავიცილოთ დაძაბუნება, როცა სიკვდილს უმწეოდ ველოდებით, ნაცვლად იმისა, რომ იგი საღლაც მოულოდნელად და ბუნებრივად წამოგვეწიოს და ჩვენც მხნედ დავუხედეთ მას.

К. Ш. ГОГСАДЗЕ

ЧЕЛОВЕК В СИСТЕМЕ ВРЕМЕНИ

Резюме

В статье рассматривается вопрос о том, что человек реально живет только в настоящем, несмотря на то, что его существование и сущность связаны не только с настоящим. Время как известно, необратимо и неостанавливаемо; то, что было, больше не повторится, а что, когда и как будет, человек не знает. Свообразие времени, жизнь во времени ставит человека перед многими проблемами, антиномиями. Верное понимание соотношения прошлого, настоящего и будущего является одним из моментов диалектики формирования гармонически развитой личности: воспоминание о прошлом, раздумья о будущем, неопределенность его, как устроить жизнь в настоящем в соответствии с природой и разумом, взаимоотношение отцов и детей, непродолжительность жизни и усилия человека для её продления (физически и духовно), страх перед смертью, вопрос о гибели мира («Но если должен мир погибнуть, наконец, кто будет прославлять бессмертных дел венец» — Н. Бараташвили), разное переживание времени в различных возрастах и т. д. — вот неполный круг вопросов, возникающих перед человеком в связи с осмыслением феномена времени.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

უსიქოლოგია

ჟათეჟან გოგოლაჟა

მუსიკის წარმოსახვის გრაფიკული ჩაწერა

სკრიაბინის პრელუდია D-dur, თხ. 11

(საბავშვო სამხატვრო სკოლაში წარმოებული გამოკვლევების მასალაზე)

მიჩნეულია, რომ მსმენელის უნარი — გააზრებულად აღიქვას მუსიკალური ნაწარმოები — დამოკიდებულია იმ ურთიერთშეფარდებაზე, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, ნაწარმოების შინაგან თვისებებსა და, მეორე მხრივ, მსმენელის ესთეტიკურ იდეალებსა და მუსიკალურ გამოცდილებას შორის.

ჩვენი დაინტერესების ობიექტი — სამხატვრო სკოლის მოსწავლე, რომელიც ჯერ არ ფლობს ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებს, მიეკუთვნება მუსიკალურად მოუშაადებელი მსმენელის რიცხვს. ამავე დროს ის ფაქტი, რომ ის სამხატვრო სკოლის მოსწავლეა, მოწმობს სხვა ბავშვებთან შედარებით, მის უკეთეს მონაცემებს სახვით ხელოვნებაში, რაც თავის მხრივ ხელის შემწყობ ფაქტორად გვევლინება მუსიკის აღქმისას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეგარძნებებს შორის არსებული ინტერმოდალური ნათესაობის გამოვლენას, ასოციაციისა და წარმოსახვის (ფანტაზიის) უნარს. ვ. ი. ლენინი ფანტაზიას უდიდესი ღირებულების თვისებად მიიჩნევდა, ხოლო სტანისლავსკი წარმოსახვის უნარის აღზრდის შესაძლებლობაზე და აუცილებლობაზე მითითებდა.

ფანტაზიის მოქმედება ახალ წარმოდგენათა შექმნაში მდგომარეობს. ისმის ლოგიკური კითხვა: როგორ შეიძლება აღუქმელის წარმოდგენა, თუ ობიექტური სინამდვილის ასახვის ერთადერთ პირველად გზას შეგარძნებები წარმოადგენენ?

მართალია, სმენის ორგანოზე ბგერის ტალღის მოქმედება იწვევს შეგარძნებათა ორგანოების გაღიზიანებას, მაგრამ მუსიკალური ხატი გულისხმობს არა ფიზიოლოგიურ, არამედ მხატვრულ დონეზე აღქმას.

ამ საკითხის გასარკვევად სამხატვრო სკოლაში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ მოსმენის პროცესს თან ახლავს ვიზუალური წარმოდგენა, რაც უფრო აღრმავებს ბავშვის განცდას. ასაფიციის აზრით: „Звуковой образ — интонация, получившая значение зримого образа или конкретного ощущения, — вызывает сопутствующие ему представления“ [3]. ხოლო გ. ორჯონიკიძე მიიჩნევს, რომ „განცდა მუსიკაში უშუალოდ ზემოქმედებს წარმოსახვაზე“ [8].

მუსიკის წარმოსახვის გრაფიკული ჩაწერა — ეს რთული პროცესი გულისხმობს ხელოვნების ერთი დარგის დინამიკური ნიმუშის მეორე დარგის სტატიკურ ნიმუშში გადასვლას. გრაფიკულ ჩანაწერში რეალიზებულია მუსიკალური ნაწარმოების სქემისა და ძირითადი გამომსახველი ელემენტების აბსტრაქტული სქემა, რომელიც მოსმენის პროცესში წარმოისახება. ხშირად ც. პირები აბს-

ტრაქტულ ჩანაწერებთან ერთად აკეთებენ კონკრეტულ ჩანახატებსაც. ზოგიერთი ც. პირი თავისი შთაბეჭდილების სრულყოფილად გადმოსაცემად, დამატებით ინფორმაციის სახით, წერილობით განმარტებასაც იძლევა.

აღნიშნული პროცესის ნათელსაყოფად განვიხილავთ ა. სკრიაბინის პრელუდიას D-dur, თხ. 11.

როგორც ცნობილია, სკრიაბინს ჰქონდა სინოფსისის იშვიათი უნარი, ის ტონებსა და ტონალობებს ხედავდა ფერში, ამასთანავე თვით ფერი მასში იწვევდა შესაბამისი ტონალობის აღმოცენებას.

თავის მხრივ, ის სიახლე და შემოქმედებითი თვითმყოფადობა, რომელიც რუსულ მუსიკაში შემოიტანა ა. სკრიაბინმა, განპირობებულია რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურებით. ნაწილი ადამიანებისა ძველს ებღაუჭებოდა, უმრავლესობა ახლისკენ მიისწრაფოდა, ხოლო ერთი უმცირესობა — არც ერთში არ ეძიებდა თავის ადგილს და მიისწრაფოდა მესამისაკენ — კოსმოსში, გალაქტიკაში, ვარსკვლავებისაკენ... მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი სკრიაბინი იყო, რომლის იდეურ-ესთეტიკური პრინციპები უკიდურესი ინდივიდუალიზმით გამოირჩეოდა. იგი აღიარებდა აბსოლუტურ ადამიანურ ძალას, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში მთლიანად შეიპყრო სწრაფვამ ნეტარი, ილუზიური სამყაროსაკენ, საიდან გამაგზავნილადაც თვლიდა თავის თავს, როგორც წინასწარმეტყველსა და „თეურგს.“

სკრიაბინის საშემსრულებლო და საკომპოზიტორო ტალანტს იმთავითვე ჰყავდა უამრავი თაყვანისმცემელი, მაგრამ ბევრი სადავოდ ხდიდა ავტორისეული ნაწარმოებების მხატვრულ დონეს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგანაც ბ. ასაფეივის სიტყვები რომ მოვიშველიოთ — „По натуре он принадлежал к людям, которым судьба не вела подчиняться старым нормам... что не многие могли разглядеть в этом беге эволюцию...“ [4].

სკრიაბინის ნაწარმოებების ფაქტურაში მეტად თავისებურად აირეკლა იმ პერიოდის სხვადასხვა ეროვნების კომპოზიტორების — შოპენის, გრიგის, ჩაიკოვსკის, ლისტისა და რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედება. ა. სკრიაბინის საფორტეპიანო ნაწარმოებები, მიუხედავად ფანრის კამერულობისა, გვაოცებს მათში გადმოცემული მხატვრული ხატის მასშტაბურობით. თანაც ეს ყველაფერი მიიღწევა არა გარეგნული დინამიკური ეფექტების ხარჯზე, არამედ ისეთი ბეგრათმეხამების ან აკორდული კომბინაციების შერჩევით, რომელიც მსმენლის აღსაქმელი სივრცის საზღვრებს ზრდის — ზშირად უსასრულობამდე... მზარდი დრამატიზმი, უკიდურესობამდე გამწვავებული კონფლიქტები და რაღაც გამოუცნობის მოლოდინი, მღელვარება; ძნელია სკრიაბინის ნაწარმოებებში ნახო თუნდაც ერთი ისეთი, რომელიც „გასაშუალებული“ იქნება ემოციური თვალსაზრისით: ან უკიდევანო სივრცეში სწრაფვა და ქროლევა, ან პირიქით — უგრძნობო მდგომარეობა, უძირო სიწყყნარე სუფევს ყველგან. ეს განსაკუთრებით ნათლად შეიგრძნობა საფორტეპიანო პრელუდიების ციკლში, რომელიც დაწერილია ქვინტური წრის ყველა ტონალობაში და შინაარსობრივად სრულიად დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. როგორც თვით კომპოზიტორი მიუთითებდა — „Каждая прелюдия — маленькое сочинение, которое может существовать самостоятельно, независимо от других прелюдий“ [9].

პრელუდია № 5, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, სკრიაბინმა დაწერა 1896 წლის საგასტროლო მოგზაურობისას, ამსტერდამში. როგორც ამ პერიოდის მიმოწერა გვამცნობს, სკრიაბინი გატაცებული იყო ვინმე M. K. Φ-ით (ეს ინიციალები დღემდე უცნობია ვის ეკუთვნის), რომლის ნათესავეებიც ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს მის დაახლოებას სკრიაბინთან. აუსრულებელი სურვილი სატრფოს ნახვისა, რომელიც არ სტოვებდა სკრიაბინს, შეიგრძნობა პრელუდიის საწყის ფრაზაში, რომელიც მთელი პიესის ლეიტმოტივია და ექვსჯერ მეორდება. ხოლო მეორე მუდმივი საზრუნავი და დარდი ახალგაზრდა სკრიაბინისა, მუდმივი შიში და განცდა — საყვარელი ადამიანის ავადმყოფობის გამო — გადმოცემულია პრელუდიის თანხლებაში.

რე მაჟორულ პრელუდიაში მთელი სიცხადით გამოჩნდა სკრიაბინის, როგორც მუსიკოსი-პოეტის, უდიდესი ნიჭი, რომელიც უზადოდ ფლობდა ინსტრუმენტული მინიატურის ყანარს. სკრიაბინი შეუდარებელი ოსტატობით გადმოსცემს ადამიანის სულის უფაქიზეს ცვლილებებს, სადაც დამაბულ დრამატულ ენაზე ენაცვლება მოციმციმე პეიზაჟი, ვნებიან მონოლოგს — სივრცეში გაფრენილი მოგონება... თითქოს ჩუმად, გონებაში დაწყებული აზრი ნახევრიდან ხმოვანდება ფორტეპიანოს ბგერებში, სიჩუმიდან ცოცხლდება... უნებურად გვახსენდება სტრაინოები ა. ბლოკის ლექსიდან [6]:

«Мне снилась смерть любимого создания
Высоко, весь в цветах, угрюмый гроб стоял.
Толпа теснулась вокруг, и речи сострадания
Мне каждый так участливо шептал».

ნახევრად, სიჩუმიდან გახმოვანებული აზრის ილუზიას აძლიერებს საყოველთაოდ მიღებული მაჟორული კილოს ზედა დამავეალი ტეტრაქორდის I—III—IV—V /a—cis—h—a/ შებრუნება და მისი ინვერსია მელოდიაში V—IV—III—I /a—h—cis—a/, რაც ილუმინაციით აღსაქვე ინტონაციურ მოქცევად გვევლინება.

პრელუდია პერიოდის ფორმაშია დაწერილი. შედგება ორი წინადადებისა და დამატებისაგან. ფაქტურა გამჟვირვალეა. მიუხედავად იმისა, რომ ვერტიკალში თავიდან ბოლომდე გაბატონებულია ოთხხმიანი წყობა (ბოლო ტაქტებში ექვსი ხმაცაა), არც ერთი წუთით არ შეიგრძნობა ხმოვანი მატერიის სიმძიმე. ზემოთ აღნიშნული შებრუნებული ტეტრაქორდი ნაწარმოების ლეიტმოტივის როლს ასრულებს და არა ერთხელ მეორდება.

ექსპერიმენტი ჩატარდა ორ ნაწილად. პირველში მონაწილეობა მიიღო 9-10 წლის 15 ც. პირმა, მეორეში — 11 წლის 27 ც. პირმა.

ექსპერიმენტის მიზანი:

1. მუსიკალური ნაწარმოების მიმდინარეობის გადმოცემა გრაფიკაში;
2. აღნიშნული სახის ჩანაწერში ნაწარმოების სტრუქტურული სქემის გადმოცემა;
3. საინტერესო იყო ფერითი გამა, რომლებსაც ც. პირები გამოიყენებდნენ, რამეთუ ნაწარმოების ავტორია სინოფსიის ნიჭით დაჯილდოებული კომპოზიტორი, რომელსაც შედგენილი ჰქონდა ე. წ. „ფერითი წრე“, სადაც მითითებული იყო ყოველი კონკრეტული ტონალობის შესაბამისი ფერი. იქნებოდა

თუ არა რაიმე საერთო კანონზომიერება ც. პირების მიერ გამოყენებულ ფერით გამასა და სკრიპინისებულ „ფერით წრეში“?

ც. პირების მიერ ცათშემდეგი დავალებათ:

1. ნაწარმოების მიმდინარეობის გადმოცემა, ყურადღების გამახვილება მათთვის ნაცნობ გამომსახველ ელემენტებსა და ინტონაციურ მოქცევებზე;
 2. დასრულებული აზრის მატარებელი ნაგებობის გადმოცემა;
 3. სურვილისამებრ — განმარტების ჩაწერა.
- მოგვეყვას ექსპერიმენტის I ნაწილში მონაწილე ზოგიერთი ც. პირის გრაფიკული ჩანაწერის აღწერა და მათი ჩაწერილი განმარტება.

ც. პირი ჯიბუტი დ.

ქალღალზე გამოხატულია ჰორიზონტალურად განლაგებული ფერითი კომპოზიცია. შეიგრძნობა პოლიფონიური წყობა. ზედა ხმებში ნათლად ჩანს გამეორებული ტეტრაქორდები.

განმარტება: „ეს მუსიკა ნაღვლიანია. დაწერილია საშუალო ტემპში. იყოფა სამ ნაწილად.“

ც. პირი შატბერაშვილი ნ.

„ეს ნაწარმოები იყოფა სამ ნაწილად. არის ნაზი და ცოტა მოწყენილი ხასიათის. მოგაგონებთ შემოდგომის ფოთოლცვენას.“

ც. პირი დოლარიძე ო.

„ეს მუსიკა იყო სამნაწილიანი. აკორდული და ნაღვლიანი.“

ფ. პირი გოცირიძე მ.

ამ მუსიკალურ ნაწარმოებში იყო აკორდული წყობა. ეს მუსიკა იყოფა სამ ნაწილად. მუსიკა მიდიოდა მრავალხმიანად.“

ყველა შემთხვევაში ც. პირთა მიერ მოცემული განმარტებები შეესაბამებოდა გრაფიკულად შესრულებულ ჩანაწერებს.

ექსპერიმენტის მეორე ნაწილზე შესრულებული გრაფიკული ჩანაწერები:

ც. პირი გოცირიძე ნ., 11 წ. IV კლ.

თანხლება: შესრულებულია შავი ფერით, ალაგ-ალაგ წითელი ზოლით.

„გადმოცემულია მორევისათვის დამახასიათებელი მოძრაობა, რომელიც თითქოს ერთ ადგილზე ბრუნავს და თანაც სიღრმისაყენ მიდის.“

კულმინაციისაყენ თანხლება ტალღისებურია, გაშლილი.

დამამთავრებელი ბოლო ტაქტები (ფერმატოზე) შესრულებულია ერთ მსხვილ ვერტიკალურ ხაზზე მოცემული განშტოებებით — „გადმოცემული მაქვს ბევრების ხანგრძლივი ჟღერადობა“ (ც. პირის განმარტება).

თანხლება იყოფა სამ ნაწილად.

ზედა ხმები: შესრულებულია იისფერში, თან ახლავს ბაცი ცისფერი გასწვრივი ზოლი. ჩაწერილია მხოლოდ მელოდიური ხაზი — აკორდული ფაქტურა არაა ფიქსირებული. კულმინაციისაყენ მელოდიური ხაზი განსაკუთრებულ აღმავლობას აღწევს, შემდეგ ისევ ქვეითდება.

ც. პირი დ ლ ო ნ ტ ი გ., 11 წ. IV კლ.

ჩანაწერი დაყოფილია სამ ნაწილად.

გადმოცემულია მთლიანი ფაქტურა: თანხლება და ზედა ხმების აკორდული სტრუქტურა; ჰარბობს ლურჯი ფერი; მოძრაობა ჰორიზონტალურია.

მელოდიური ხაზი ნათელი ცისფერითაა აღნიშნული. კულმინაციის მიახლოებასთან დაკავშირებით ცისფერს ენაცვლება ყვითელი, დასასრულისკენ ყვითელს ემატება ნარინჯისფერი. ბოლო 2 ტაქტი შესრულებულია მხოლოდ ლურჯი ფერით, რომლის ტალღისებური მოძრაობა თანდათან სწორხაზოვნდება.

ც. პირი მ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი მ., 11 წ. IV კლ.

ჩანაწერი შესრულებულია ფერადი ფენებით, რომლებიც შემოხაზულია შავი კვადრატებით და ერთ მთლიან კომპოზიციას ქმნიან.

კულმინაცია შავი წრითაა აღნიშნული.

„მე ყველა ბგერები გადმოვეცი ერთდროულ ხმოვანებაში, მათ ასეთი ფერები უხდებოდა“ (ც. პირის განმარტებიდან).

ც. პირი კ ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ნ., 11 წ. IV კლ.

ჩანაწერი დაყოფილია სამ ნაწილად. I ნაწილი ჩაწერილია ყვითელ-ნარინჯისფერით, რომელიც დაბოლოებისაკენ მოცისფრო-ლურჯში გადადის. II ნაწილი — ლურჯი-ყვითელით; ხოლო III ნაწილი, იგივე დამატება — წითელი, მწვანე-ნარინჯით. მთლიანად ჩანაწერი ორნამენტირებულია, ბგერის ტალღის რხევის ჩანაწერს მოგვაგონებს.

ც. პირი კ რ ო ი ვ ე ც ი ვ., 11 წ. IV კლ.

ჩანაწერი დაყოფილია 7 ნაწილად. ექვსი ნაწილი — უკავშირდება ლეიტ-მოტივის 6-ჯერ გამეორებას, მე-7 კი ბოლო 2 ტაქტისაგან შედგება. ც. პირის განმარტებიდან: „წითელი ფერით მითითებულია თანხლება, მწვანე — მელოდია, შავი წერტილი კი — კულმინაცია. თანხლება მოუსვენარია, რაღაც აწუხებს ამ აღმამანს, ხოლო მელოდია (ზედა ხმები) ნათელია, შედარებით წყნარი.“ მთლიანად ჩანაწერი წარმოადგენს ჰორიზონტალურად განლაგებულ ორნამენტირებულ ტეხილს.

ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი ს ა ნ ა ლ ი ზ ი :

1. მოცემულ დავალებას თითქმის ყველა ც. პირმა გაართვა თავი; რასაკვირველია, გრაფიკული ჩანაწერები გამოირჩევა მხატვრული ღირებულების სხვადასხვა დონით, გამომდინარე ც. პირთა ბუნებიდან.

2. აღნიშნული პრელუდია წინადადებებად დაყო 17 ც. პირმა. დანარჩენები მიუთითებენ 4—5 ნაწილს, ზოგჯერ 6-საც. ეს გამოიწვია ზემოთ აღნიშნული ლეიტმოტივის — ტეტრაქორდის გამოჩენამ. ც. პირებს დაამახსოვრდათ აღნიშნული აკორდული სვლა და ყოველი მისი გამოჩენა აღიქვეს როგორც დასაწყისი ახალი აზრისა.

ასევე თავისებურად განსაზღვრა ყველა ც. პირმა კულმინაცია და სხვადასხვა გამომსახველი ხერხებით (წრე, ტეხილი...) აღნიშნა იგი.

3. შევადაროთ სკრიპინის ფერთი შკალა ჩვენი ც. პირების ჩანაწერებთან. მართალია, ც. პირებთან არ გვხვდება სათითაოდ, ტაქტების მიხედვით გამოყენებული ტონალობების სკრიპინისეული ფერის მიხედვით აღნიშვნა, მაგრამ შეიმჩნევა მეტად საინტერესო კანონზომიერება.

მოგვეყავს D—dur პრელუდიაში გამოყენებული ძირითადი ტონალობები და მათი შესაბამისი ფერები სკრიაბინის ფერთი წრიდან:

D — ყვითელი, მზისფერი, ოქროსფერი.

h — მუქი ლურჯი.

G — ნარინჯი.

e — ცისფერი.

ც. პირი მო შ ი ა შ ვ ი ლ ი მ.

ნარინჯი
 ყვითელი
 ლურჯი
 ცისფერი
 წითელი
 მწვანე

ც. პირმა იხმარა სკრიაბინისეული ოთხივე ფერი და შემოიტანა კიდევ 2 ახალი.

ც. პირი კ ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ნ.

ყვითელი
 ცისფერი
 ლურჯი
 ნარინჯი
 მწვანე
 წითელი

4 სკრიაბინისეული ფერი, 2 ახალი ფერი. 

ც. პირი გ ო ც ი რ ი ძ ე ნ.

ისფერი
 ცისფერი
 შავი
 წითელი

ამ შემთხვევაში სკრიაბინთან საერთოა 1 ფერი — ცისფერი.

ც. პირი კ რ ო ი ვ ე ც ი: გამომდინარე ნაწარმოების ფაქტურიდან (ოთხხმიანობა) ერთდროულად ხმარობს ოთხ ფერს:

მწვანეს
 ყვითელს
 ცისფერს
 წითელს

აქედან მხოლოდ მწვანე არ შეესაბამება სკრიაბინის შკალას. წითელი ახლოსაა ნარინჯისფერთან.

4. როგორც აღნიშნულ შემთხვევაში, ასევე ზოგადად გრაფიკულ ჩანაწერზე განმარტებების მიცემა შემდეგი თანმიმდევრობით ხდება:

ა) შეძლებისდაგვარად განიმარტება მუსიკის ემოციური მხარე, საერთო ხასიათი, განწყობილება (მაგ.: განმარტებები №1, 5 ც. პირების ჩანაწერებიდან).

ბ) ნაწარმოების ფორმა, მისი შემადგენელი ნაწილები (ამ სახის განმარტება ხდება როგორც ზეპირად, ასევე ხშირად წერილობითაც).

გ) გრაფიკულ ჩანაწერში გამოყენებული სახვითი ხელოვნების გამომსახველი საშუალებების დანიშნულება და მათი გამოყენება ც. პირთა მიერ (ნაწყვეტები №3, 5 ც. პირების ჩანაწერებიდან).

როგორც ექსპერიმენტების შედეგების ანალიზმა ცხადყო:

1. გრაფიკული ჩანაწერი არ შეიძლება მივიჩნიოთ მუსიკის თარგმანად სახვითი ხელოვნების ენაზე, ვინაიდან ყოველი თარგმანი გულისხმობს ორიგინალური ტექსტის სხვა ენაზე ზუსტ გადატანას, ამ შემთხვევაში კი გრაფიკული ჩანაწერი გვევლინება ბავშვის სუბიექტური განცდის პროდუქტად. იგულისხმება, რომ იქმნება იმდენი სხვადასხვა გრაფიკული ჩანაწერი, რამდენიცაა მსმენელი.

ამრიგად, გრაფიკული ჩანაწერი მოწოდებულია მუსიკალური ტექსტის არა ზუსტი ფიქსაციისათვის, არამედ მსმენელზე მუსიკის ემოციურ-მხატვრული ზემოქმედებისა და ამავე დროს ნაწარმოების სტრუქტურისა და კონსტრუქციის გადმოსაცემად.

2. არც თუ ზუსტი, მაგრამ ერთგვარი კანონზომიერება იგრძნობა სკრიპინისეულ და ც. პირთა მიერ გამოყენებულ ფერებს შორის.

3. სახვითი ხელოვნების გამომსახველი საშუალებები მთლიანად ექვემდებარებიან მუსიკის გამომსახველ საშუალებებს. გამომდინარე ამ მიმართებით თავისი გამომსახველობითი შესაძლებლობებიდან, ზედმიწევნით კარგად ასრულებენ დაკისრებულ მისიას. ამ შემთხვევაში გარდა მუსიკის გამომსახველი საშუალებების განმაპირობებელი მდგომარეობისა, უთუოდ დიდი როლი აქვს რა თვით მხატვრობის გამომსახველი საშუალებების თვისებასაც: „Любая форма или цвет обладают выразительностью: они несут с собой настроение, выражают соотношение сил и посредством своей индивидуальности изображают нечто универсальное“ [5], დიდი გამომსახველობითი შესაძლებლობებით გამოირჩევა ორნამენტირებული მოხაზულობანი, როგორცაც იყენებს ც. პირთა უმრავლესობა წინამდებარე ექსპერიმენტების პროცესში. დ. კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ „ორნამენტი არის სულიერი და ორგანული გამოხატულება ადამიანის ემოციურ-პლასტიკური განცდისა“ [1].

4. მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები წარმოსახვაში იწვევს განსაზღვრულ ვიზუალურ ზატებს, რომლებიც ფიქსირებული სახით — გრაფიკულ ჩანაწერებსა და ჩანახატებში — ინდივიდუალობითა და უნიკალობით გამოირჩევიან. ამას განაპირობებს ინდივიდის სუბიექტური განცდის უნარი და წარმოსახვის ინდივიდუალური ბუნება.

5. სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც მსმენელს უჩნდება მუსიკის მოსმენის წინ, გ. კეჩუაშვილი განიხილავს როგორც მზაობას, განწყობას განსაზღვრული მუსიკალური კომპოზიციის აღსაქმელად [7]. როგორც ცნობლია, თავის მხრივ წარმოსახვასაც გააჩნია განმაწყობელი მოქმედება [2].

გამოკვლევის ფაქტობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინდივიდის მოქმედება აღნიშნული ექსპერიმენტების პროცესში შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს: მოსმენა, წარმოსახვა, გრაფიკული ჩაწერა (ჩახატვა); განწყობა, როგორც ინდივიდის მზადყოფნა განსაზღვრული ფორმით რეაგირებისათვის, გვევლინება სტიმულსა და რეაქციას შორის მოთავსებულ შუალედად. განწყობის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი გამოკვლევებიდან ჩანს, რომ გარდა ცალკეული ცნობიერი განცდებისა, არსებობს ფსიქიკის სპეციფიკური სფერო — განწყობა, რომელიც დ. უზნაძის მოძღვრების თანახმად, გვევლინება, როგორც მოქმედების კანონზომიერი არაცნობიერი კომპონენტი, რომელიც

წარმოადგენს ბაზას კონკრეტული მოქმედებისათვის: „Для того, чтобы сознание начало работать в каком-нибудь определенном направлении, предварительно необходимо, чтобы была налицо активность установки, которая собственно, в каждом отдельном случае и определяет это направление“ [10].

ზემოთ განხილული და დანარჩენი ექსპერიმენტების შედეგებზე დაყრდნობით, მივედით იმ დასკვნამდე, რომ სამხატვრო სკოლის მოსწავლეთათვის მუსიკის გამომსახველი საშუალებების დაუფლება ფერის, ხაზისა და ფორმის (როგორც თვითგამოსახვის უკეთესი საშუალების) გამოყენებით უფრო ხელმისაწვდომი და იოლია, ვიდრე მუსიკის ფიქსაციის საზოგადოდ დაწესებული ეტალონებით. აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულმა სასწავლო პროგრამამ და შესაბამისმა მეთოდებმა უკვე მოგვცა გარკვეული დადებითი შედეგები: მოსწავლეები ფლობენ თეორიულ კანონზომიერებებს მუსიკაში (აქ ვაერთიანებთ როგორც ელემენტარული თეორიის, ასევე მუსიკალური ნაწარმოების ფორმის ანალიზის საკითხებს); გამოუმუშავდათ მუსიკის მოსმენის უნარ-ჩვევები, რაც შემდგომში მათი პარმონიული განვითარების საწინდარია.

К. А. ГОГОЛАДЗЕ

ГРАФИЧЕСКОЕ ОТРАЖЕНИЕ МУЗЫКАЛЬНОГО ВООБРАЖЕНИЯ

Скрябин, Прелюдия Д-дур оп. 11

(на материалах исследования вопроса обучения музыке
в детской художественной школе)

Резюме

Графическое отражение музыкального воображения подразумевает переход динамичного образца одного вида искусства в статический образец второго вида. В искусстве зарисовка воображаемого образа не вызывает удивления, но графическое фиксирование схемы и структуры музыкального произведения — процесс сложный и необычный.

В статье проанализированы результаты экспериментов, проведенных с этой целью у нас в Грузии, где такого рода эксперименты проводились впервые. В них участвовали учащиеся детской художественной школы г. Тбилиси.

Материалом для эксперимента послужила фортепианная прелюдия Скрябина Д-дур оп. 11.

Опыты доказывают, что учащимся художественной школы легче освоить выразительные средства музыкального искусства посредством цвета, линии и формы (как более близкими средствами самовыражения), нежели общепринятыми эталонами фиксации музыки.

Анализ фактического материала исследования (описание отдельных, наиболее характерных работ учащихся) показал, что деятельность индивида на данных экспериментах содержит следующую последовательность: слушание, воображение, графическое отражение. Установка,

как готовность индивида к определенной форме реагирования в данной ситуации, выступает как промежуточное звено, расположенное между стимулом и реакцией. Согласно учению Уznaдзе, установка является базой для возникновения деятельности с конкретной направленностью.

Внедрение метода графического отражения музыкального воображения в художественной школе обогатило арсенал знаний учащихся общими музыкально-теоретическими вопросами, развило воображение и творческие данные у детей, выработало навыки детального слушания музыки и подняло общий культурный уровень.

ლიტერატურა

1. კაკაბაძე დ. ხელოვნება და სივრცე, თბ., 1983.
2. ნათაძე რ. წარმოსახვის განმაწობელი მოქმედება, თბ., 1958.
3. Асафьев Б. В. Музыкальная форма как процесс. Л., 1971.
4. Асафьев Б. В. Скрябин. Опыт характеристики. В кн.: А. Н. Скрябин. Сб. статей. М., 1973.
5. Арихейм Р. Искусство и визуальное восприятие. М., 1974.
6. Блок А. А. Собр. сочинений. Т. I, М.—Л., 1960.
7. Кечухашвили Г. Н. К проблеме психологии восприятия музыки. В кн.: Вопросы музыкознания, Т. III, М., 1960.
8. Орджоникидзе Г. Ш. К вопросу о специфике музыкального мышления. В кн.: Вопросы музыкознания, т. III, М., 1960.
9. Скрябин А. Н. Письма. М., 1965.
10. Уznaдзе Д. Н. Экспериментальные основы психологии установки. Тбилиси, 1961.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
დ. უზნაძის საბ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ლოლა სამსონიძე

რიტმის როლის განსაზღვრისათვის ვერლიბრის მხატვრული აღქმის პროცესში

სამუშაოს მიზანს შეადგენს ვერლიბრის ანუ თავისუფალი ლექსის მხატვრულ აღქმაში რიტმის როლის კვლევა. დასაწყისში შევეცდებით განვსაზღვროთ, რა არის რიტმი და როგორია მისი ფუნქცია მხატვრული მთლიანობის განცდაში.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ დროის აღქმაში თავს იჩენს განსაკუთრებული ფენომენი — რიტმი, რომლის საშუალებით მძაფრდება დროის, როგორც პროცესის განცდა.

რა არის რიტმი და როგორ ბადებს იგი პროცესუალობის განცდას?

ჩვეულებრივ, რიტმს უწოდებენ ნებისმიერი აღქმადი პროცესის დროით სტრუქტურას, რომელიც იქმნება აქცენტების, პაუზების, ხანგრძლივობათა მიმართების, აღქმული მასალის დაჯგუფებისა და განაწევრების საშუალებით [4]. რიტმი, ძირითადი მორგანიზებელი, ფორმისშემქმნელი (Формообразующий) პრინციპია ხელოვნების იმ დარგებისათვის, რომლებსაც პროცესუალური ბუნება აქვთ და დროში მიმდინარედ განიცდებიან (მოუზიკა, მუსიკა, ცეკვა), თუმცა რიტმი სცილდება მხოლოდ დროის აღქმის ფარგლებს და მისი მოქმედება ვრცელდება აღქმის სფეროზე საზოგადოდ. რიტმის განცდის ძირითადი გზა ავსტისტიკური შეგრძნებაა, მაგრამ გარდა ამისა, რიტმი აღიქმება მოძრაობით, ტაქტილურად და მხედველობითაც. მისი მრავალგვარი გამოვლინება მეტყველებაში, შრომით პროცესებში და ა. შ. ბადებს რიტმის ცნების სხვადასხვაგვარი განსაზღვრების შესაძლებლობას. მაგრამ ფენომენოლოგიურად რიტმი ყოველთვის წარმოადგენს მოწესრიგებულ პროცესუალობის, დენადობის განცდას.

მოწესრიგების თვალსაზრისით, რიტმის განცდაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ორი მომენტი. ერთის მხრივ, განაწევრების, ხოლო მეორეს მხრივ, გამოლიანების ტენდენცია, რომელიც შთაბეჭდილებათა თანმიმდევრობაში აქცენტის შეტანით ხორციელდება. რიტმის დროს აქცენტი აერთებს შთაბეჭდილებას ერთ ჯგუფად, ამით გამოჰყოფს კიდევ მას აღსაქმელი მასალის საერთო რიგიდან, და ამავე დროს, ადიფერენცირებს წევრებს ერთი ჯგუფის ფარგლებში.

მოწესრიგების შეტანა აღქმაში, დამახასიათებელია ადამიანის განცდისათვის საზოგადოდ. ერთგვაროვან შთაბეჭდილებათა საცხებიტ მონოტონური თანმიმდევრობაც, სუბიექტის მიერ განიცდება როგორც რიტმული, ანუ დინამიკურად მიმდინარე პროცესი. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეტრონომის თანაბარი კაყუნი ადამიანს ეჩვენება როგორც რიტმულად ორგანიზებული რიგი. ეს რიგი მისთვის მახვილიან და უმახვილო ბგერათა თანმიმდევრობას წარმოადგენს. საინტერესოდ განმარტავს ამ მოვლენას დ. რამიშვი-

ლი წიგნში „მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ [1]. იგი წერს: „თანმიმდევრობის განცდა საერთოდ, როგორც ფსიქიკურ მოვლენათა დროის ფორმაში, მოცემულობა, აუცილებლობით მოითხოვს შინაარსის ერთგვარ ცვალებადობას და განაწევრებულობას. დრო ფსიქოლოგიურად შინაარსის დინამიკას წარმოადგენს და ამის გარეშე განუხორციელებელია“. სწორედ ამიტომ, აქცენტის შეტანა შთაბეჭდილებათა მიმდინარეობაში, რაც რიტმის სპეციფიკას ქმნის, დროში მიმდინარე პროცესის განცდის განსაზღვრელი პირობაა.

პოეტურ ხელოვნებაში ლექსის რიტმის განცდა ძირითადად მახვილის საშუალებით ხდება (თუმცა რიტმულ ორგანიზაციას ლექსში ემსახურება აგრეთვე რითმა, ცეზურა და ლექსის ბგერითი მხარის მომწესრიგებელი სხვა მომენტებიც). მახვილი არის ბგერითი შთაბეჭდილების გამაფრებლის განცდა, ხლო მახვილთა მოწესრიგებული მონაცვლეობა ქმნის ლექსის რიტმულ ჩონჩხს, რაზედაც იშლება ნაწარმოების ინდივიდუალური მხატვრული შინაარსი (დ. რამიშვილი).

ფსიქოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ რიტმული თანმიმდევრობა სუბიექტის მიერ განიცდება როგორც საკუთარი აქტივობის პროცესი, რომელიც წესზომიერი ტალღების სახით მიმდინარეობს. აღწევს მწვერვალს, შემდეგ სუსტდება, ისევ მძაფრდება და ა. შ. საინტერესოა რა როლს თამაშობს ეს შინაგანი აქტივობის განცდა მხატვრული ნაწარმოების აღქმის დროს?

ტრადიციული აზრის მიხედვით, რიტმის ყოველ გარკვეულ სახეობას თავისი ემოციური ტონი ახასიათებს, ყოველი რიტმული ფორმა, გარკვეული ემოციის, გარკვეული განწყობილების გამომსახველია. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან ცნობილია დავა ლომონოსოვის, სუმაროვსკისა და ტრედიაკოვსკის შორის იმის შესახებ, აქვს თუ არა რიტმს შინაარსი, და სახელდობრ, რომელ ელემენტს მოაქვს იგი [9]. უკვე შემდგომ ფეხნერი და მოიშანი ცდილობდნენ აეგოთ თეორიები, რომლებიც ახსნიდნენ და დაასაბუთებდნენ, თუ რატომ ახასიათებს გარკვეული სახის რიტმს, გარკვეული ემოციური ტონი. რაც შეეხება თვით ფაქტს, რომ ნამდვილად, ყოველ რიტმს თავისი ემოციური ტონი აქვს, ისინი უტყუარ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ და მისი შემოწმების საჭიროებას არ გრძობდნენ. ეს მოსაზრება შემდგომი ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური კვლევის ამოსავალ დებულებად იქცა.

ამ ტრადიციულ თვალსაზრისს უპირისპირდება თანამედროვე ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგი, რომელიც ჩატარდა დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში დ. რამიშვილის მიერ და ასახვა პოვა ნაშრომში „რიტმის ფსიქოლოგიური არსისათვის“ [1].

ქართულ პოეტურ მასალაზე ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა კვლევამ ავტორს შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალება მისცა. ლექსის რიტმულ ფორმას არ გააჩნია არც დამოუკიდებელი გამომხატველობითი უნარი და არც საკუთარი ემოციური ტონი. ამას რიტმი იძენს მხოლოდ გარკვეულ შინაარსთან დაკავშირებისას. ესა თუ ის რიტმული ფორმა, ლექსის სავნობრივ შინაარსთან შეუღლებებისას, მატარებელი ხდება იმ თავისებური ემოციური ტონისა და იმ განცდისეული დინამიკისა, რომელიც ამ შინაარსს ახასიათებს და გამოხატავს.

დ. რამიშვილის კვლევის ამ მონაცემთან დაკავშირებით დგება ჩვენი საშუაოს ძირითადი საკითხი: რა სახით იძენს თავს რიტმული ორგანიზაციისა და

საგნობრივი შინაარსის ურთიერთქმედების ზემომოყვანილი კანონზომიერება. თავისუფალი ლექსის, ვერლიბრის აღქმის შემთხვევაში?

როგორც ცნობილია, ვერლიბრი არის ლექსის ისეთი სახეობა, რომელიც არ არის აგებული მეტყველების ერთეულების თანაზომიერებასა და განმეორებადობაზე. მეტყველების ერთეულები აქ უფრო შეტოლებას (приравнивание) ექვემდებარებიან, ვიდრე განმეორებას (повтор) [5].

სპეცილისტები განასხვავებენ ვერლიბრის ორ სახეობას, მეტრული ვერლიბრი და დისმეტრული ვერლიბრი. კვიატკოვსკი [6] მიუთითებს, რომ რუს პოეტებში შეიმჩნევა ტენდენცია მეტრული საშწილადი ვერლიბრისა: ა. ფეტი, ა. ტოლსტოი, კ. ბალმონტი, ვ. ბრიუსოვი, ა. ბლოკი, მ. ვოლოშინი, ი. ბუნინი, ნ. კუზმინი, ა. ბელი და სხვები. ასეთივე ფორმიზა დაწერილი ა. ბელის რომანი „ნიღბები“. რაც შეეხება დისმეტრულ ვერლიბრს, რუსულ ლიტერატურაში დისმეტრული ვერლიბრის ორი სახე არსებობს: ინტონაციურ-ფრაზული ლექსი და ე. წ. „უდარნიკი“. თითოეულ მათგანს შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რითმა.

თუ დავიმოწმებთ გალაკტიონის გამონათქვამს [2] „ქართულ თავისუფალ ლექსს არა აქვს ისტორია“. ამ მხრივ გამოთქმისად მას მიაჩნია ანტონ კათალიკოსის ლექსები და ე. წ. „სასულიერო პოეზია“. გალაკტიონი მიუთითებს აგრეთვე, რომ არ შეიძლება არევა ურითმო ლექსისა თავისუფალ ლექსში. ამის მაგალითად მას მოყავს „ივ. მაჩაბლის რაღაც მიუწვდომელი თარგმანი შექსპირისა“, რომელიც არის ურითმო ლექსი, მაგრამ ვერლიბრი არ არის. როგორც ჩანს, ის ფაქტი, რომ ლექსს არა აქვს რითმა, ჯერ კიდევ არ არის მისი ვერლიბრობის მაჩვენებელი. შესაძლებელია ლექსს არ ჰქონდეს რითმა, მაგრამ ვერლიბრობას, რომელიც არც თანაბარმარცვლოვანი ტრადიციული ლექსია და არც თავისუფალი ლექსი. საინტერესოა, ამ მესამე შემთხვევაში რა მომენტები განაპირობებს ასეთი ლექსის „ლექსობას“, თუმცა ამ საკითხის შესწავლა, სცილდება ჩვენი სამუშაოს ფარგლებს.

შეგჩრდებით ვერლიბრის განსაზღვრებაზე, რომელსაც გვაძლევს აკაკი გაწერელია: „თავისუფალი ლექსი... ჩვეულებრივი, კანონიკური ლექსისაგან განსხვავდება ტაქტთა არათანაბარმარცვლოვანებით, ზოგჯერ რითმების უქონლობითაც, ვერლიბრი არ იცავს რაიმე მკაცრ სალექსო საზომს, თუმცა პოტენციურად მკითხველს მაინც განაწყობს საამისოდ: მას შინაგანი რიტმული იმპულსი აქვს. ამავე დროს, მკითხველის ეს განწყობა, ამა თუ იმ სალექსო საზომის რეალიზაციის მოლოდინი ვერლიბრში იშვიათად, ან სულაც არ მართლდება. მაგრამ თავისთავად ეს მოლოდინი მას ლექსის, პოეზიის სპეციფიკურობის სფეროში ტოვებს, გამოჰყოფს პროზისა და ჩვეულებრივი მეტყველებისაგან. რიტმი ვერლიბრში მეტწილად ბატონობს ბოლომდე განუზოციელებელი კონსტრუქციის სახით. ბგერითი ერთეულების კანონზომიერი თანმიმდევრობა აქ ხშირად შეცვლილია სინტაქსურ ერთეულთა (პოეტურ წინადადებათა) კანონზომიერი განმეორებით“ [3]. აკაკი გაწერელია აღნიშნავს აგრეთვე რომ ვერლიბრის მთავარი ნიშანი არის სინტაქსური მოწესრიგებულობა.

აქ პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ მოძიებულ ლიტერატურაში არსად არ შეგვხვდებოდა ვერლიბრის ისეთი განსაზღვრება, სადაც ნაცადი იქნებოდა მისი განცდისეული მხარის გახსნა, გარდა ამისა, ჩვენთვის საინტე-

რესა ის გარემოებაც, რომ ვერლიბრის განსაზღვრას ავტორი სწორედ მისი რიტმული მხარის ჩვენებით, ვერლიბრის რიტმის განცდის თავისებურების ჩვენებით ცდილობს. ამ თვალსაზრისით აკაკი გაწერელიას აზრი მეტად მნიშვნელოვანი ჩანს. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მომენტი იწვევს შესიტყვებას.

ა. გაწერელია აღნიშნავს, რომ თუმცა ვერლიბრი არ იცავს რაიმე სალექსო საზომს, მკითხველს მაინც განაწყობს საამისოდ, მას შინაგანი რიტმული იმპულსი აქვს. აქ უნდა ითქვას, რომ შინაგანი რიტმული იმპულსი ჩნდება არა მარტო ვერლიბრის, არამედ ნებისმიერი, მით უფრო მხატვრული ტექსტის კითხვის დროს, მიუხედავად იმისა, ექნება ამ ტექსტს განსაზღვრული სალექსო საზომი თუ არა. ვინაიდან მოწესრიგების შეტანა აღქმაში, დამახასიათებელია ადამიანის განცდისათვის საზოგადოდ. სავსებით მონოტონურ თანმიმდევრობაშიც სუბიექტს შეაქვს აქცენტი, რიტმულ ორგანიზაციას უკეთებს ამ თანმიმდევრობას.

ა. გაწერელია მიუთითებს, რომ ვერლიბრი, რომელიც არ იცავს მკაცრ სალექსო საზომს, მაინც წარმოშობს მკითხველში ამ საზომის რეალიზაციის მოლოდინს, რომელიც ვერლიბრში იშვიათად, ან სულაც არ მართლდება, და სწორედ ეს მოლოდინი ტოვებს ვერლიბრს პოეზიის სპეციფიკურობის სფეროში, გამოჰყოფს მას პროზისა და ჩვეულებრივი მეტყველებისაგან. აქ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოლოდინი გაპირობებულია არა თვით ვერლიბრის თავისებურებით, არამედ იმ გარემოებით, რომ კანონიკური ლექსის ტრადიციებზე აღზრდილ მკითხველს ასეთი სახის პოეტური ნაწარმოების აღქმისათვის აპერცეპტული დასაყრდენი არ გააჩნია, რაც მის მოთხოვნილებას ლექსობის მიმართ, ვერლიბრის შემთხვევაში დაუკმაყოფილებელს ტოვებს.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ავტორი მიუთითებს, რიტმი ვერლიბრში ბატონობს ბოლომდე განუხორციელებელი კონსტრუქციის სახით. ბგერითი ერთეულების თანმიმდევრობა აქ ხშირად შეცვლილია სინტაქსურ ერთეულთა კანონზომიერი განმეორებით. ბუნებრივია, სინტაქსურ ერთეულთა განმეორება ვერ უზრუნველყოფს გარკვეული რიტმული კონსტრუქციის სრულ რეალიზაციას. ალბათ, ამიტომ არის რომ ვერლიბრი, გამოცდილებას მოკლებულ მკითხველში იწვევს დაუკმაყოფილებლობის განცდას.

ჩვენი აზრით, მოლოდინი და დაუკმაყოფილებლობის განცდა, როგორც ვერლიბრის მხატვრული მთლიანობის განცდისეული მხარე, ფსიქოლოგიური კვლევის საგანია და შევეცდებით ექსპერიმენტულად შევისწავლოთ იგი.

რაც შეეხება ვერლიბრის განსხვავებას პროზისაგან, ამ საკითხზე სპეციალისტთა განსხვავებული აზრი არსებობს. ა. გაწერელიას, მაგალითად, განმასხვავებელ ნიშნად გარკვეული სალექსო საზომის რეალიზაციის მოლოდინი მიაჩნია ვერლიბრში, რასაც პროზაში არა აქვს ადგილი. სხვა აზრს გამოთქვამს ბ. ტომაშვეცკი, რომელიც განსაზღვრავს რა ლექსსა და პროზას საზოგადოდ, წერს: „ეს არ არის ერთმანეთისაგან მტკიცედ შემოსაზღვრული ორი სფერო, არამედ ეს ორი პოლუსია, მიზიდულობის ორი ცენტრი, რომლის ირგვლივ ისტორიულად არიან განლაგებულნი რეალური ფაქტები,ამდენად, სამართლიანია თუ ვილაპარაკებთ მეტ-ნაკლებად პროზაულ და მეტ-ნაკლებად ლექსურ მოვლენებზე“ [7].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ „მეტნაკლებობის“ განსასაზღვრავად ბ. იაროხმა შემოიტანა რაოდენობით ვაზომვის მეთოდი [5]. ასე მაგალითად, ბ. იაროხის მეთოდიკით, თუ მეტყველების მონაკვეთთა რომელიმე მოცემული საზომი ვრცელდება მთლიანად ნაწარმოებში არსებულ მონაკვეთთა 50%-სა და მეტზე, მაშინ ასეთი ნაწარმოები დაწერილია თავისუფალი ლექსით, ხოლო თუ საზომი, რომელიც ჰარბობს ნაწარმოებში, ე. ი. დომინანტური საზომი, მოიცავს მონაკვეთთა 50%-ზე ნაკლებს, მაშინ ნაწარმოები დაწერილია მეტოდ ან ნაკლებად რიტმული პროზის სახით. აღმოჩნდა, რომ ასეთი მეთოდიკით შეიძლება ლექსურობა აღმოვაჩინოთ თვით ლ. ტოლსტოის პროზაშიც კი!

გარდა რაოდენობრივი გამოთვლით მიღებული განსხვავებისა, სპეციალისტები მიუთითებენ თვისობრივ, ფუნქციონალურ საზღვარზე ლექსსა და პროზას შორის. ამ საკითხს ეხება ი. ტინიანოვი ნაშრომში „Проблема стихотворного языка“ [8]. იგი წერს, რომ განსხვავებას ლექსსა და პროზას შორის, როგორც ფონიკური თვალსაზრისით სისტემურ და უსისტემო მეტყველებას შორის, უგულვებელყოფენ თვითონ ფაქტები; ეს განსხვავება ვალდებულებაა რიტმის ფუნქციონალური მნიშვნელობის სფეროში, ამავე დროს ვალდებულებაა სწორედ რიტმის ეს ფუნქციონალური როლი და არა სისტემები, რომლებშიც ეს (ე. ი. რიტმი, — ლ. ს.) გვეძლევა. ამიტომ არ შეიძლება შესწავლილ იქნეს პროზის რიტმი და ლექსის რიტმი როგორც ერთგვაროვანი მოვლენა. თითოეული მათგანის შესწავლის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ მათი ფუნქციონალური განსხვავება, მაგრამ რაშია სახელდობრ, ეს თვისობრივი ფუნქციონალური სხვაობა?

ამ საკითხზე პასუხის გაცემის ცდას გვაძლევს მ. გირშმანი: „თავისუფალი ლექსი... ყველა თავისი ნიშან-თვისებით არის ლექსი, ეინაიდან ის ორგანიზებულია სპეციფიკური დაყოფისა და მეტყველების ერთეულთა შეთანაბრების (приравнивание) დომინირებული პრინციპით (გაიხსენოთ ამასთან დაკავშირებით გრაფიკის განსაკუთრებული როლი ვერლიბრში). ამასთან ერთად ეს არის თავისუფალი ლექსი, იმიტომ, რომ შეთანაბრების არსებობის პირობებში, მისთვის დამახასიათებელია მეტყველების ერთეულთა მინიმალური ტოლობა (равенство), მოცემულ ისტორიულ მომენტში არსებული ნორმებისა და ტრადიციების თვალსაზრისით, ხოლო რიტმული პროზა, პროზაა იმის გამო, რომ აქ მეტყველების მონაკვეთთა ფორმისწარმოქმნელი შეთანაბრება არ ხდება, მაგრამ იგი განსხვავდება პროზის არსებული ტრადიციებისა და ნორმებისაგან იმით, რომ მასში დიდია მეტყველებითი „ანალოგების რიცხვი“ [5].

შემოთქმულიდან გამოდის, რომ თავისუფალი ლექსი, იმიტომ არის ლექსი, რომ იგი ორგანიზებულია შეთანაბრების პრინციპით და შესატყვისად არის გრაფიკულად ჩაწერილი, ხოლო რიტმული პროზა ვერლიბრისაგან განსხვავდება იმით, რომ აქ შეთანაბრება არ ხდება. მაშასადამე, გამოდის, რომ ვერლიბრსა და რიტმულ პროზას შორის განსხვავება მხოლოდ გრაფიკული ჩანაწერის თავისებურებაზე დაიყვანება. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ა. ბელის ცნობილი გამოხატულება, რომ მისი რომანი „ნიღბები“, რომელიც რიტმული პროზის ნიმუშს წარმოადგენს, პროზად დაიწერა მხოლოდ ქალაქის ეკონომიის მიზნით.

აქ დგება საკითხი: თუ რიტმულ პროზასა და ვერლიბრს შორის განსხვავება მხოლოდ გრაფიკულ ჩანაწერშია, მაშინ საინტერესოა, რიტმული პრო-

ზის გადაწერა ვერლიბრის სახით, ტექსტის სტროფებად დანაწევრების რაიმე განსაკუთრებულ კანონზომიერებას ე. წ. „შეთანაბრებას“ დაექვემდებარება თუ არა, და პირიქით, ვერლიბრის პროზად გადაწერილ ვარიანტში შესძლებენ თუ არა ცდისპირები ლექსობის პრინციპის, ე. ი. „შეთანაბრების“ აღმოჩენას.

დაბოლოს, რაში მდგომარეობს შეთანაბრების ფსიქოლოგიური არსი? არის თუ არა იგი სპეციფიკური, მხოლოდ ლექსის (ვერლიბრის) განცდისათვის დამახასიათებელი რიტმის წარმომქმნელი მომენტი, თუ იგივეს არსებობა პროზაშიც შეიძლება დადასტურდეს?

საქმე ისაა, რომ თუ ტრადიციულ ლექსში დანაწევრების ორი სისტემა მოქმედებს: რიტმული დანაწევრება სტროფებად და სინტაქსური დანაწევრება ფრაზებად, პროზაში ასეთი „ორმაგი გეგმენტაცია“ (ბუხშტაბის ტერმინი) არ არსებობს. არ დასტურდება იგი ვერლიბრშიც, განსაკუთრებით ვერლიბრის იმ სახეობაში, რომელსაც რითმა არა აქვს. თუ ტრადიციულ ლექსში რიტმული კარკასი სპეციფიკურად დანაწევრებულ სისტემას წარმოადგენს, იმორჩილებს სინტაქსს და აქცევს მას სპეციფიკურ, ლექსის სინტაქსად, რომელიც ზემოქმედებს სემანტიკაზე და ცვლის კიდევაც სიტყვის მნიშვნელობას [8], ვერლიბრში არ დასტურდება რაიმე წესზომიერი რიტმული სქემა, რომელიც შინაარსისაგან მოწყვეტილად შეიძლება იქნეს განხილული, მაგრამ შინაგანი რიტმული იმპულსი, რომელზედაც ზემოთ შევჩერდით, მაინც პოვეს რეალიზაციას, ვინაიდან მოწესრიგების შეტანა აღქმაში დამახასიათებელია ადამიანის განცდისათვის საზოგადოდ, ხოლო ეს რიტმული მოწესრიგება აქაც, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, მახვილის საშუალებით ხდება.

აქ დგება საკითხი: რა პრინციპს ემორჩილება მახვილთა განაწილება ისეთ მხატვრულ მთლიანობაში, სადაც არ არის წესზომიერი რიტმული სქემა, და რა კავშირში შეიძლება იყოს ზემოაღნიშნული შეთანაბრების მომენტი ვერლიბრის ტექსტის სეგმენტაციის ერთადერთ სახესთან — სინტაქსურ დანაწევრებასთან. თუ შეთანაბრება მხოლოდ გარეგანი, გრაფიკული თავისებურებაა და ვერლიბრის რიტმის სპეციფიკით, მისი შინაგანი სეგმენტაციის კანონზომიერებით არ არის განსაზღვრული, მაშინ ის შეიძლება შემთხვევით ხასიათს ატარებდეს და ერთი ტექსტის სტრიქონებად დანაწევრების სხვადასხვა ვარიანტის შესაძლებლობას იძლეოდეს.

თუ დადასტურდა რომ შეთანაბრების ფაქტორი, მხოლოდ გარეგანი, გრაფიკული თავისებურებაა ვერლიბრის ტექსტისა, მაშინ მისი დანაწევრება სინტაქსური ერთეულების სახით შინაარსის მოწესრიგებას ემსახურება.

ამდენად, ვერლიბრში მახვილი უნდა იყოს ის ინტონაციური ხაზგასმა, რომელიც საზრისის წამოწევის განსაზღვრავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ინტონაციური აქცენტი წარმოადგენს სწორედ ამ სახის მხატვრულ ტექსტებში რიტმული ორგანიზაციის საფუძველს.

ამიტომ, საინტერესო ჩანს საკითხი, როგორ რეალიზდება ავტორის რიტმი (თუ ინტონაცია) მის ხელახალ განხორციელებაში მკითხველის მიერ? ეს საკითხი მოათხოვს დაკვირვებას ცოცხალი ინტონირების პროცესზე და მის შედარებას ავტორისეულ ინტერპრეტაციასთან.

* * *

ზემომოყვანილი საკითხების ექსპერიმენტული კვლევისათვის შეიქმნა მე-თოდიკა*. ცდები ჩატარდა სამ ნაწილად. მასალად გამოყენებული იყო თანამედროვე ქართველი პოეტების—ბესიკ ხარანაულის, ლია სტურუას და გურამ პეტრიაშვილის პოეტური ნიმუშები, დაწერილი თავისუფალი ლექსის ფორმით. ცდებში მონაწილეობდა 130 ცდისპირი. სულ ჩატარდა 310 ცდა. ექსპერიმენტის ყოველი ნაწილი ჩატარდა ცდის პირთა სხვადასხვა ჯგუფებზე. მონაწილეობდნენ სოფლის მასწავლებლები, საფინანსო და მედიცინის მუშაკები, მუსიკოსები, ფსიქოლოგები, მხატვრები.

I ნაწილის ცდებში ცდისპირთ ვაწვდიდით ბ. ხარანაულის სამ ლექსს: „აუღელვებლნი“, „ყარყატი“ და „მუღარა“. ცდებისათვის ეს ლექსები გადაწერილი იყო ჩვენს მიერ პროზად. ტექსტის ზუსტი დაცვით, დარღვეული იყო მხოლოდ გრაფიკული ჩანაწერი. ტრადიციული ლექსის სვეტის მაგიერ ცდისპირებს ვაწვდიდით ტექსტით ბოლომდე შევესებულ სტრიქონებს, ვაძლევდით ინსტრუქციას, რომ ეს არის ლექსი და ვთხოვდით გადაეწერათ ლექსის სახით. გვინტერესებდა რამდენად დაემთხვეოდა ცდისპირთა ჩანაწერი ავტორისეულს, რა პრინციპით მოახდენდნენ ე. წ. „შეთანაბრებას“. აღმოჩენდნენ თუ არა ვერლიბრის პროზად გადაწერილ ტექსტში რაიმე გარკვეულ წესზომიერებას, რომლის მიხედვით მოახდენდნენ მისი ლექსური ჩანაწერის აღდგენას. ვვარაუდობდით გვეპოვნა განცდისეულად მოცემული სპეციფიკური ნიშანი, რომლის მიხედვით ახერხებს მკითხველი ტექსტის ავტორისეული ორგანიზაციის წვდომას (დაპერას) და მის ხელახალ განხორციელებას.

ამრიგად, ამ ცდებს უნდა ეჩვენებინა, თუ რა როლს თამაშობს გრაფიკული ჩანაწერი ვერლიბრის რიტმის განცდაში.

პირველ ცდაში გამოყენებული იყო ბ. ხარანაულის ლექსი „აუღელვებლნი“:

„ისე მოხდა,
რომ როცა მეგობრის
სიკვდილზე უთხრეს,
მას საწეიმარი
ჰქონდა წამოსხმული
და ძროხის საქებნელად
წასვლას აპირებდა.
მაგრამ ახლა
მიატოვა სუყველაფერი
და მეგობრის სახლისაკენ
სირბილით გასწია,
რომელიც არც ისე შორს იყო და
არც ისე ახლოს.

ცხადად ხედავდა
შეწუხებული,
ტანჯულ სახეებს,
სიტყვებიც ესმოდა —
გულისტკენის,
თავისმართლების...
ამასობაში,
ფეხი რაიმეს წამოჰკრა თუ
სხვა რამ შეემთხვა —
გზაწინ ნელ-ნელა გონზე მოვიდა
და ჯერ ისევ
ძროხის საქებნელად წასვლა
იფიქრა
მეგობარს მაინც
უკვე ვერაფერს ვერ უშველიდა“.

* მეთოდის პრინციპი ეყრდნობა დ. რამიშვილის გამოკვლევებს „რიტმის ფსიქოლოგიური არსისათვის“ და „ლიტერატურულ-ესთეტიკური აღქმის თავისებურებები დაწვებითი სკოლის საფუძვრებზე“.

როგორც ვხედავთ ეს ლექსი წარმოადგენს წყობილიტიკავობის ისეთ ნიმუშს, რომელსაც რითმა არა აქვს. აქ ვერ ვხვდებით ტრადიციული ლექსის რიტმისათვის დამახასიათებელ თანაბარმარცვლოვანებას და განმეორებადობას, როგორც მხატვრული შინაარსის გამძაფრების საშუალებას. ავტორი უბრალო, ყოველდღიური, თითქოს არასპეციალურად შერჩეული სიტყვებით, მშვიდი თბრობითი კილოთი აუღელვებლობის ისეთ გაცნდას გვაძლევს, რომ გარკვეულ ემოციურ ზემოქმედებას მაინც ახდენს მკითხველზე.

ჩვენი ვარაუდით ასეთი ტექსტის ლექსად ჩეწერა, სადაც რითმა, თანაბარმარცვლოვანება და განმეორებადობა არ არის — საკმაოდ ძნელი უნდა ყოფილიყო ჩვენი ცდისპირებისათვის.

მეორე ცდაში გამოყენებული იყო ამავე ავტორის ლექსი „მუდარა“.

„აქეთ,
აქეთ,
ყველა ისარო!
დაღლილი ვზივარ
ჩემი ბალის ჩრდილში და ვიცდი.“

აქეთ,
აქეთ,
ყველა ისარო!
და არა ჩემი შვილისაკენ,
რომელსაც მკერდი გაეზარდა
სამიზნესაკით“.

პირველი ლექსისაგან განსხვავებით ამ ლექსში ე. წ. „ლექსობის“ მეტი ელემენტია. რითმა არც აქ არის, მაგრამ განმეორებადობის ფაქტორი მოქმედებს. მეორდება წინადადება, მარცვალთა რაოდენობაც (მე-4 და მე-8 ბწყარი). მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით ნიმუში საკმაოდ საინტერესოა. ძალიან შეკუმშულად და ძუნწად, სულ რამოდენიმე სიტყვით ამ ლექსში მიღწეულია დიდი ემოციური ეფექტი (ამის შესახებ ჩვენი ცდისპირებიც მიუთითებდნენ).

მესამე ცდაც აგებული იყო ბ. ხარანაულის ლექსზე „ყარყატი“.

„ლოგინზე
პირქვე რომ დავეგდებო
და სახეს რომ
ბალიში ჩაერგავ
და ხელებს რომ
გვერდით დავიყრი
იცი
ვის ვბაძავ?
ყარყატსა ვბაძავ
ჩემო კარგო,“

მონადირემ რომ ჩამოავდო
ჩემს ბავშვობაში
ასე დაასკდა იგი მიწას
ტანმოწყვეტილი,
ასე წარგო თავი
წვიმაგამჯდარ ნახნავში,
ასე დაყარა ფრთები,
ასე დალია სული.

ამ ლექსშიც, ისევ როგორც წინა ორ ნიმუშში, რითმა არ არის, მაგრამ განმეორებადობა და თანაბარმარცვლოვნება უფრო საგრძნობლად იჩენს თავს. მეორდება სიტყვებიც, მარცვალთა რაოდენობაც. სწორედ ამ ფაქტორთა გამო ჩვენის აზრით, II და III ცდაში პროზად გადაწერილი ლექსების ჩაწერა ლექსად უფრო ადვილი ამოცანა უნდა ყოფილიყო.

I ნაწილის ცდების II სერიაში ცდის პირებს ვაწვდიდით იგივე პოეტურ მასალას (ბ. ხარანაული „აუღელვებლნი“, „მუდარა“, „ყარყატი“) პროზად გადაწერილი სახით, ვთხოვდით გასცნობოდნენ ტექსტს და შემდეგ ხმამაღლა წაეკითხათ, როგორც შეეძლოთ მხატვრულად. შემდეგ ვეკითხებოდით, ეს ტექსტი,

რაც წაიკითხეთ, ლექსია თუ არა. წაიკითხულსა და პასუხს ვაფიქსირებდით მაგნიტურ ლენტზე. ამ ცდების მეთოდით გვიკარნახა პირველი სერიის ცდების მიმდინარეობამ, სადაც პროზად გადაწერილი ვერლიბრის ლექსად გადაწერისას ცდისპირთა უმრავლესობა ხმამაღლა კითხულობდა ტექსტს და უსმენდა რა საკუთარი ინტონირების პროცესს, ამის მიხედვით ახდენდა სტრიქონთა შეთანაბრებას. სწორედ ამიტომ, II სერიის ცდებში დაკვირვებისათვის წინ წამოვიწიეთ ვერლიბრის ინტონირების პროცესი. ეთხოვეთ ბ-ნ ბესიკ ხარანაულს წაეკითხა ეს ლექსები და ჩავიწერეთ. სწორი ინტონირების კრიტერიუმად მივიჩნიეთ ავტორისეული, და მას ვადარებდით ცდისპირთა ინტონირების ჩანაწერს. ამავე სერიაში შედეგის შესამოწმებლად ჩავატარეთ სხვა ხასიათის ცდებიც.

ცდისპირთა სხვა ჯგუფს ვაკითხებდით ამ ლექსებს პირდაპირ წიგნიდან. ამ ჩანაწერს ვადარებდით, ერთის მხრივ, ავტორისეულს, ხოლო მეორეს მხრივ, იმ ცდისპირთა ჩანაწერებს, რომლებიც პროზად გადაწერილ ვარიანტს კითხულობდნენ. გვინტერესებდა, იქნებოდა თუ არა განსხვავება ინტონირების მხრივ, ვერლიბრის პროზად გადაწერილ ვარიანტსა და ლექსურ ვარიანტს შორის, და რომელი მათგანი იქნებოდა უფრო ახლოს ავტორის ინტონირებასთან.

ვეარაუდობდით, რომ თუ რიტმის რეალიზაცია ხდება მხოლოდ ინტონირების პროცესში, განსხვავებული გრაფიკული ჩანაწერის მიუხედავად, დაახლოებით ერთნაირი ინტონაციური სქემა (მრუდი) უნდა მიგვეღო. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სერიის ცდების ორივე ვარიანტში წაიკითხვის შემდეგ ცდისპირებს ვეკითხებოდით, ეს ლექსია თუ არა. აქ საინტერესო იყო ექნებოდათ თუ არა გარკვეული რიტმული საზომის რეალიზაციის მოლოდინი, რაზედაც ა. გაწერელია მიუთითებს, და ამის გამო თავისებური დაუქმაციოფილემობის განცდა.

ამ ცდების შედეგებში განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორისეულ გრაფიკულ ჩანაწერს არ დაემთხვა ცდისპირთა არც ერთი ჩანაწერი. საგულისხმოა, რომ ცდისპირთა ჩანაწერები სამივე ცდაში, როგორც წესი, სტრიქონთა უფრო ნაკლებ რაოდენობას შეიცავდა, ვიდრე ავტორისეული, თუმცა სტრიქონთა დასაწყისები ცდების დიდ ნაწილში ემთხვეოდა ავტორისეულს.

გამომდინებდა, რომ სტრიქონთა გრაფიკული შეტოლების დროს ცდისპირები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სინტაქსს. სამივე ლექსის შემთხვევაში არ ყოფილა არც ერთი ფაქტი წინადადების დაწყებისა შუა სტრიქონიდან, ხოლო სინტაგმის გახლეჩა და მისი ნაწილის გადმოტანა ახალ სტრიქონად, მხოლოდ შემთხვევით ხასიათს ატარებდა (I ცდაში — 12%; II ცდაში — 11%, ხოლო III-ში — 3%-მდე (I ცდისპირი).

სტრიქონთა დასაწყისების აცდენა გამოწვეული იყო ძირითადად იმით, რომ ცდისპირებს გაუჭირდათ კავშირებისათვის — „და“, „რომ“, ზუსტი ადგილის მოძებნა. ზოგიერთი მათგანი კავშირის სტრიქონის ბოლოს ათავსებს, როცა ავტორს ეს კავშირები ახალი სტრიქონის დასაწყისად აქვს მოცემული და — პირიქით. ამ შეცდომამ დასწია სწორი პასუხების რაოდენობა სტრიქონთა დასაწყისების სწორ განსაზღვრაში. პირველ ცდაში 67,5% შეამცირა 40%-მდე; მეორე ცდაში — 87,5% შეამცირა 55%-მდე; III ცდაში — 90%-დან 67,5%-მდე.

მეორე სერიის ცდებში, სადაც ვაკვირდებოდით ლექსის ინტონირების პროცესს გამოირკვა შემდეგი: ლექსად ჩაწერლის წაკითხვასა და პროზად

გადაწერილის წაკითხვას შორის ინტონაციური განსხვავება თითქმის არ იყო. ორივე შემთხვევაში უმრავლესობა ძირითადად ემთხვეოდა ავტორისეულ ინტონაციურ სქემას. ინდივიდუალური განსხვავება ცდისპირებს შორის შეიძინეოდა უფრო კითხვის ტემპისა და გამოთქმის ინტენსივობის მხრივ. ცდისპირთა ამ გვეფისთვისაც ძირითადი სიძნელე აღმოჩნდა კავშირისათვის ადგილის მოძებნა, რაც გარკვეულ განსხვავებას ქმნიდა ავტორის ინტონირებასთან.

გამონაკლის წარმოადგენდა ორი ცდისპირი „აუღელვებელნი“ წიგნიდან წაკითხვისას. მათ სცადეს ლექსისათვის თანაბარი რიტმული მახვილი გაეკეთებინათ ყოველი სტრიქონის დასაწყისში. შემდეგ ერთ-ერთმა განაცხადა „ეს უაზრობაა“ და გვთხოვა მეორედ ჩაგვეწერა. ახლა იგი ხაზგასმით გამოჰყოფდა (ინტენსივობას აკლებდა) წინადადებათა დაბოლოებებს და შემდეგ თვითონ შეაფასა თავისი წაკითხული — „ახლა გასაგებია“. როგორც ჩანს, მათ მიერ მოძებნილმა რიტმულმა საზომმა არა თუ ხელი შეუწყო მხატვრული შინაარსის მოტანას, არამედ ხელი შეუშალა კიდევ. უნდა ითქვას, რომ რიტმული საზომის რეალიზაციის მოლოდინი, როგორც ჩანს, ყველა ცდისპირს ჰქონდა. განსაკუთრებულ დაუკმაყოფილებლობას გამოსთქვამდნენ ისინი პირველი ნიმუშის მიმართ „აუღელვებელი“. — „ეს არ არის ლექსი“. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ლექსში არ არის ტრადიციული ლექსის რიტმის განსაზღვრელი მომენტები: რითმა, თანაბარმარცვლოვანება და განმეორებადობა. უარყოფითი პასუხი აქ 100%-ს შეადგენდა. მეორე ლექსში „ყარყატი“ უარყოფითი პასუხი 75%-ს უდრიდა, ხოლო სამმა ცდისპირმა თქვა, რომ „ეს არის თეთრი ლექსი“.

რაც შეეხება ლექსს „მუღარა“, იგი 20 ცდისპირიდან 8-მ ლექსად სცნო (40%), ხოლო 10-მა (50%) ცდისპირმა ასე შეაფასა: „ლექსი არ არის, მაგრამ ძალიან კარგია“. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ვერლიბრის მხატვრულ მთლიანობას აღიქვამს სუბიექტი მისი ლექსობის განცდის გარეშე. მეორეს მხრივ, ასეთი მხატვრული მასალის ლექსად განცდას ხელს უშლის, ალბათ, აპერცეპტული დასაყრდენის უქონლობა, ქართველი მკითხველი არ არის აღზრდილი ასეთ ლექსებზე.

რაც შეეხება რიტმულ მხარეს, უნდა ვიფიქროთ, რომ რიტმი როგორც აქუსტიკური ფენომენი, უდავოდ მონაწილეობას იღებს ვერლიბრის ინტონირების პროცესში, როგორც საზოგადოდ ყოველი დროში განვითარებადი მხატვრული მთლიანობის მარგანიზებელი კომპონენტი, მაგრამ როგორც ჩანს, ამ სახის მხატვრული შინაარსის განცდაში მას ისეთი განსაზღვრელი როლი არ ეკისრება, როგორც ტრადიციული ლექსის შემთხვევაში.

გარდა ამისა, თუ ტრადიციული ლექსის გრაფიკული ჩანაწერი ემორჩილება გარკვეულ სალექსო საზომს და ამიტომ რიტმული თავისებურება ნაწილობრივ რეალიზირდება ჩანაწერშივე, ინტონირების გარეშე, და თუ შესაძლებელია ავტორის ჩანაწერის დარღვევა და სხვაგვარი ჩაწერა, სტრიქონებად დაყოფა აქ მაინც თანაბარ მარცვალთა ტოლობას დაემორჩილება, თავისუფალი ლექსის შემთხვევაში სტრიქონებად დაყოფა და მათი შეტოლება ტექსტის სინტაქსურ კანონზომიერებას ემყარება. აქ ყოველი სტრიქონი შეიცავს მეტ-ნაკლებად დასრულებულ აზრს, ტექსტი დანაწევრებულია ან სინტაქმებად, ან ფრაზებად, ან წინადადებაებად. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლექსში „აუღელვებელი“, რომლის ავტორისეული ჩანაწერი 27 სტრიქონს შეიცავს, თვით ავტორმა საუკეთესოდ მიიჩნია ჩანაწერი 12 სტრიქონად — ყველაზე უფრო დასრულებულ სინტაქსურ ერთეულებად.

რაც შეეხება მახელითა განაწილებას ამ სახის ტექსტში, იგი ინტონაციურად საზრისის წინ წამოწევის ემსახურება. მაგალითად, ლექსში „მუდარა“ ცდის პირთა 100%-სათვის ინტონაციური ცენტრი ზედბოლა სინტაგმის — „ჩემი შვილისაკენ“, პირველ მარცვალს.

* * *

ვინაიდან პირველი ნაწილის ცდებმა გვიჩვენა, რომ თითქოს თავისუფალი ლექსის მხატვრული შინაარსის განცდაში რიტმის ისეთი განმსაზღვრელი როლი არ ეკისრება, როგორც ტრადიციული ლექსის შემთხვევაში, შევეცადეთ ცდების II ნაწილში მეთოდისა ისე აგვეგო, რომ გამოგვემუდავებინა, განიცდება თუ არა თავისუფალი ლექსის რიტმის შეცვლით, მისი სტრუქტურული ორგანიზაციის, ფორმის დარღვევა შინაარსთან მიმართების გარეშე, ე. ი. შინაარსის უცვლელობის პირობებში*.

ცდებისათვის გამოვიყენეთ ბ. ხარანაულის ორი ლექსი. I ცდაში ცდის-პირებს ვუკითხავდით ლექსს „დილის 9 საათი“ — ჩვენს მიერ სპეციალურად შეცვლილი სახით, ხოლო მეორედ — ავტორისეულ ვარიანტს. დარღვევა მდგომარეობდა შემდეგში: მესამე სტრიქონი — „ქმრები, შეილები, ჭურჭელი, ლოგინი“, შეცვლილი იყო „სიაჯახო საზრუნავით“; მერვე და მეცხრე სტრიქონი: „და მაინც ოჯახს გადარჩენილნი ოცნებობდნენ დართქილი მინების მიღმა“, შეცვლილი იყო: „და მაინც ოჯახის ტვირთს გადარჩენილნი ოცნებობდნენ მგზავრების ზურგებს მიღმა“; მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე სტრიქონზე — „შეხედეთ ჩვენს ქალებს, დატებით ჩვენი ქალებით, ჩაეხუტეთ ჩვენს ქალებს“, ნაცვლად კვითხულობდით: „უყურეთ ჩვენს ქალებს, ისიამოვნეთ ჩვენი ქალებით, გქონდეთ ლტოლვა ჩვენი ქალების მიმართ“. შევეცადეთ ამ დარღვევებით არ შეცვლილიყო ლექსის შინაარსი ხოლო რიტმული მხარე კი, საგრძნობლად დაირღვა, ვინაიდან შეცვლილი სტრიქონები მარცვალთა რაოდენობის მხრივ საკმაოდ განსხვავდება ორიგინალისაგან.

მხატვრული ღირსების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, პირველი ცვლილება ძალიან უხეშია, კარგი ფრაზა შეცვლილია მეტად მშრალი, არაფრის მთქმელი შესატყვისით, მეორე ცვლილება თითქმის ახლოს დგას ორიგინალთან, დაახლოებით მისი ტოლფარდია გამოხატულების მხრივ, ხოლო ბოლო ბწყარებში არც თუ მაღალმხატვრული პოეტური სიტყვა შეცვლილია უფრო მდარე შესატყვისით.

ცდისპირებს ეძლეოდათ ინსტრუქცია: მოვასმენინებთ ერთი ლექსის ორ ვარიანტს, ერთი ავტორისეულია, ხოლო მეორე შეცვლილია ჩვენს მიერ, უნდა ამოიცნოთ ავტორისეული.

ამავე ნაწილის მეორე ცდაში ერთი ავტორის ლექსს ვამთავრებდით ამავე ავტორის მეორე ლექსით. გეინტერესებდა როგორ განიცდიან ჩვენი ცდის-პირები მხატვრული მთლიანობის დარღვევას, უცხო მასალის შეჭრას ისეთ სტრუქტურაში, სადაც არ არის მტკიცე და წესზომიერი რიტმული ორგანიზაცია. ცდაში გამოყენებული იყო ბ. ხარანაულის ლექსი „ერთი ცოლის ერთი ქმარი“, რომელსაც ვავრთავდით მონაკვეთით ლექსიდან „სოფლის ჰაერი“.

*. ეს აზრი მოვაწოდა პატ. ნანა ფრანგიშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

ხოლო მეორედ ვუკითხავდით ლექსს „ერთი ცოლის ერთი ქმარი“ თავიდან ბოლომდე. ცდის პირებს ვთხოვდით ამოეცნოთ ავტორისეული ვარიანტი.

„ყოველთვის
როცა ცოლისათვის
წამლიქენელებას მოინდომებდა
და სამწუხაროდ,
ხშირად აძლევდა ამის საბაბს
ტბილი ცხოვრება,
ყველა საქმიდან,
რომლითაც კი შეიძლებოდა
„ქალის შრომის შემსუბუქება“
ქურჭლის რეცხვას ამჯობინებდა.

უყვარდა ყურება,
როცა წყალი მოედინება
და როცა კაცი მასთან ერთად ხარ
და შენი ხელები სავსეა იმით
და თვალები მდინარეებისაკენ
მიეშურება
და ფქვრებიც ისვენებენ ბავშვო-
ბის წყლისპირს
და გულს კი ენანება ყოველი
წვეთი,
რადგან ის ვენახს არა რწყავს.

შეცვლილ ვარიანტში მე-11 სტრიქონიდან ტექსტი გრძელდება ასე:

„ჩვენი დედები წყალს უსხამდნენ
ჩვენი დები იქვე კრთებიან!
— თქვენი ძმები სადღა არიან?
— ჩვენი ძმები ცხენებზე სხედან
და სოფლისაკენ მოაქვთ ტყისა და მინდვრის სურნელი“.

როგორც ვხედავთ, აქ შევეცადეთ მოგვეძებნა შინაარსის მხრივ მეტ-ნაკლებად შესატყვისი ლოგიკური გადასასვლელი. „ქურჭლის რეცხვას ამჯობინებდა“, — „ჩვენი დედები წყალს უსხამდნენ“, ხოლო ორიგინალში ასეა: „ქურჭლის რეცხვას ამჯობინებდა“ — „უყვარდა ყურება, როცა წყალი მოედინება“. მიუხედავად ამისა, განსხვავება ამ ორ ლექსს შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ ვვარაუდობდით, ამ ამოცანის გადაწყვეტა ჩვენს ცდისპირებს არ უნდა გასჭირვებოდათ.

ამ ნაწილის ცდის მასალის ანალიზი შემდეგ სურათს გვაძლევს: პირველი ამოცანა ცდისპირთა 70%-მა გადაწყვიტა სწორად, შესაძლოა ამ არჩევანში რიტმის ფაქტორიც მონაწილეობდეს. მაგრამ პასუხებში ეს მომენტი სრულიად არ აისახა. ცდისპირები უფრო მიპყვებოდნენ პოეტურ სიტყვას: „ამას პოეტი არ იტყოდა“, „ეს უფროა პოეტის ნათქვამი“. „ზურგებს მიღმა — არ ვარგა“, „ჩაეხუტეთ — სხვანაირია, კარგია“. გვქონდა ასეთი პასუხიც: „მომწონს პირველი, მაგრამ ავტორის დაწერილი მეორეა, თუმცა უფრო ვულგარულია“. იმ ცდისპირთა პასუხებშიც, რომლებმაც შერეული ვარიანტი მოიწონეს, წინ გამოდის თვით სიტყვის ემოციური მნიშვნელობა: „ქურჭელი, ლოგინი — რა საზიზღრობაა“. ან „ლტოლვა კარგია, პოეტი იტყოდა ასე“.

სხვა სურათი მივიღეთ მეორე ცდაში, სადაც ბ. ხარანაულის ერთ ლექსს ვამთავრებდით ამავე ავტორის სხვა ლექსით. აქ ამოცანა სწორედ გადაწყვიტა მხოლოდ 30%-მა. მაშასადამე, ცდისპირთა დიდმა ნაწილმა (70%) თითქოს ვერ იგრძნო უცხო მასალის შეჭრა მთლიანობაში, მაგრამ თუ გამონათქვამებს დავაკვირდებით, სულ სხვა გარემოება იჩენს თავს. ცდისპირები, რომლებმაც შერეული ვარიანტი ამჯობინეს, აღნიშნავენ: „ეს ვარიანტი იქნება ავტორის, იმიტომ, 5. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, № 1

რომ ბოლო ძალიან მხატვრულია“, ან „ეს უფრო პოეტურია, განსაკუთრებით ბოლო, პირველი მოსაწყენი იყო“.

როგორც ჩანს, მონაკვეთს ლექსიდან „სოფლის პაერი“ აღმოაჩნდა მეტი მხატვრული ღირებულება, რამაც მაპროვოცირებლად იმოქმედა ლექსის მთლიანობის განცდაზე. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ერთი ცდისპირის გამონათქვამი, რომელმაც სწორად გადაწყვიტა ამოცანა და ასე გაამართლა თავისი არჩევანი: „კარგია პირველი დაბოლოება, პოეტის დაწერილია, მაგრამ ამ ლექსს არ უხდება, ამისი არ არის“.

ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტურ ლექსში, სადაც არ არის რიტმული თანაბარზომიერება და განმეორებადობა, ისეთი უცხო მასალის შეტანა, რომელიც შეიძლება შინაარსობრივად მონათესავედ იქნეს წარმოდგენილი, მითუმეტეს თუ ეს მასალა თავისთავად მხატვრული ღირებულების მატარებელია, არ განიცდება როგორც დარღვევა.

რაც შეეხება მარცვალთა რაოდენობის შეცვლას ცდისპირთა მიერ არ ყოფილა აღნიშნული როგორც ხელის შემშლელი მომენტი. ალბათ იმიტომ, რომ თავისუფალ ლექსში მარცვალთა რაოდენობა არ ატარებს თანაბარ და წესზომიერ ხასიათს. თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ თითქოს რიტმი, სრულიად არ მონაწილეობს ამ მთლიანობის აღქმაში. როგორც ზოგადი მაორგანიზებელი მომენტი იგი ყოველ დროში განვითარებადი მოვლენის აუცილებელი კომპონენტია. მაგრამ თავისუფალი ლექსის, როგორც მხატვრული სტრუქტურის განცდაში, როგორც ჩანს, მას არ გააჩნია დომინანტური ფუნქცია და ამდენად რიტმის ხვედრითი წონა, ტრადიციულ ლექსთან შედარებით, აქ ბევრად მცირეა.

* * *

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ლიტერატურათმცოდნეობაში არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ვერლიბრისა და პროზის რიტმს შორის განსხვავება მხოლოდ გრაფიკული ჩანაწერის სხვადასხვაობაზე დაიყვანება. ვერლიბრის გრაფიკული ჩანაწერი ეყრდნობა ე. წ. „შეთანაბრების“ (приравнивание) პრინციპს [5].

ცდების მესამე ნაწილში შევეცადეთ გაგვერკვია, ჯერ ერთი, არსებობს თუ არა ვერლიბრისა და პროზას შორის სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშანი, მოცემული განცდისეულად (გარდა გრაფიკული ჩანაწერისა), და მეორეც, რაში მდგომარეობს შეთანაბრების ფსიქოლოგიური არსი? იგი მხოლოდ ვერლიბრისათვის დამახასიათებელი მაორგანიზებელი მომენტია, თუ ამ პრინციპით პროზის ტექსტის ორგანიზებაც შეიძლება.

ამისათვის ჩავატარეთ შემდეგი ხასიათის ცდები.

პირველ ცდაში ცდისპირს ვაწვდიდით გურამ პეტრიაშვილის ლექსს (თავისუფალ ლექსს) „კურდღელი“ პროზად გადაწერილი სახით: „სახლში კურდღელი მყავს დამალული. დაქრილია მრავალ ადგილას და ჭრილობები არ უხორცდება. იგი წინათ ეკიდა ტირში. ჭრილობები არ უხორცდება და ტკვილები სტანჯავენ საწყალს. წევს ჩემს საწოლზე და ჩუმად კენესის. დროდადრო წუთით უყუჩდებიან ნატყვიარები, მაშინ კი ცელქობს: ის ხომ პატარა კურდღელია ჭრილობების მიუხედავად“. მასთან ერთად ვაწვდიდით აგრეთვე ნაწყვეტს გ. ფანჯიკიძის რომანიდან „აქტუური მზის წელიწადი“. „ეკა ჭიქას იჭვე სკამზე დებს და ჩემს სურვილს უხმოდ ემორჩილება. თვალებს ვხუჭავ და მკერდში

ვეხუტები. მსიამოვნებს ეკას სხეულის სითბო. ერთ წუთს არაფერზე არ ვფიქრობ, ყველაფერს ვეთიშები“.

ცდის პირველ ვარიანტში, ცდისპირები თვითონ კითხულობდნენ ტექსტს და ამოიცნობდნენ, რომელია ლექსი. ხოლო ცდების მეორე ვარიანტში, ცდის ხელმძღვანელი უკითხავს პეტრიაშვილის ლექსს — მაქსიმალურად მღორე, თბრობითი ინტონაციით, ხოლო ფანჯიკიძის პროზას რიტმულად“.

„ეკა ჭიქას იქვე სკამზე დებს და ჩემს სურვილს უხმოდ ემორჩილება! თვალებს ვხუჭავ და მკერდში ვეხუტები მსიამოვნებს ეკას სხეულის სითბო. ერთ წუთს არაფერზე არ ვფიქრობ ყველაფერს ვეთიშები“.

ინსტრუქცია იგივე. ცდის მეორე ვარიანტი ჩატარდა ცდისპირთა სხვა ჯგუფზე.

იმავე ნაწილის მეორე ცდა აგებულია ნაწყვეტზე ლია სტურუას ლექსიდან „დალაი“ და ნაწყვეტზე ლევან გოთუას რომანიდან „გმირთა ვარამი“. ცდისპირებს ვაწვდიდით ამ ორი ტექსტის გრაფიკულ ჩანაწერს, სადაც მონაკვეთი „დალაიდან“ ჩაწერილია პროზად: „დიდ გლოვას არ სჭირდება პარაკლისები და ფნატკუთრი ხალხის ლიტანია, იყოს ხმა, მაღალი როგორც ეკლესია, რომელიც მოთქვამს წაქცეულ ტანისათვის“... შემდგომ ცდის პირებს ვთავაზობდით ნაწყვეტს ლ. გოთუას რომანიდან: „აი მისი თანატოლი და თანამდგომი მეფე და სიძე აღარ არის, აღარ, და იქ — ცივ გომბორს იქით — საშინელი, მართლაც ცივი, ამოუვსები სიცარიელე დარჩა“.

უნდა აღინიშნოს, რომ გოთუას, პროზა, სახელდობრ „გმირთა ვარამი“, უხვად შეიცავს ისეთ ეპიზოდებს, რომელთა ლექსად ჩაწერა — ე. წ. შეთანაბრება შესაძლებელია. ამის მაგალითს წარმოადგენს ზემოთხსენებული ნაწყვეტიც. რომელიც შესაძლებელია ჩაიწეროს ოთხ სტრიქონად, სადაც იქნება შესაბამისად 13, 11, 11 და 16 მარცვლი, გარდა ამისა ფუნქციონირებს კანონიკური ლექსის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი — რითმა.

რაც შეეხება „დალაის, ჩვენს მიერ შერჩეული ოთხი სტრიქონი ამ ლექსიდან თითქმის სრულიად თანაბარმარცვლოვანია: 12, 12, 12, 11.

ამ ცდებში მივიღეთ შემდეგი სახის შედეგი.

პირველი ამოცანა, პეტრიაშვილის ლექსისა და ფანჯიკიძის პროზიდან ლექსის ამოცნობა, ცდის პირველ ვარიანტში გადაწყვიტა ცდისპირთა თითქმის 100%-მა. თუმცა საინტერესოა, რომ ტექსტის გაცნობისას თავდაპირველად გაკვირვების თუ გაუგებრობის განცდა ჰქონდათ: „არც ერთი არ არის ლექსი“. შემდეგ იწყებდნენ დაბალი ხმით „თავისთვის“ კითხვას და როგორც ვხედავთ, პოულობდნენ სწორ გადაწყვეტას. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ 17 წლის ყმაწვილი, რომელსაც ფანჯიკიძის პროზა ლექსად ეჩვენა, ვინაიდან „უფრო ემოციური, უფრო პოეტურია“. ვფიქრობთ, ამ ნაწყვეტის შინაარსი, მასში აღწერილი ვითარება ასაკობრივად უფრო მომხიბვლელი აღმოჩნდა ჭაბუკისათვის და ამ გარემოებამ მაპროვოცირებლად იმოქმედა მის არჩევანზე.

ცდისპირთა უმრავლესობამ თავისი სწორი არჩევანი სიტყვიერდაც დაასაბუთა: „რითმა არა აქვს, მაგრამ პოეტურია თავისი განწყობილებით“, ან „მეორე ლექსი არ იქნება, არ არის ემოციური, მიუხედავად „ჩახუტების“ ან „პირველი უფროა ლექსი. აქ ავტორის დამოკიდებულება ჩანს“.

ცდის მეორე ვარიანტში, როდესაც ცდის ხელმძღვანელი უკითხავდა ლექსს პროზად, ხოლო პროზას — ლექსად, ცდებში მონაწილეობდნენ დიდი ლიტერატურულ-ესთეტიკური კულტურის მქონე პირები: მხატვრები, მაღალი რანგის მუსიკოსები, უმაღლესი ატესტაციის მქონე ფსიქოლოგი მკვლევარები, სამი მეცნიერებათა დოქტორი (არა ფილოლოგი).

სწორი არჩევანი აქაც საკმაოდ მაღალი იყო — 70%. ნიშანდობლივია, ცდისპირთა გამონათქვამები: „რასაც ლექსად კითხულობთ, ის არის სწორედ პროზა“, „ლექსად კითხულობთ, მაგრამ პროზაა“. გვექონდა ასეთი პასუხიც: „არც ერთი არ არის ლექსი, მეორეს ცდილობთ წაიკითხოთ ლექსად“. რაც შეეხება არასწორ პასუხებს, ცდისპირთა გამონათქვამები მიგვანიშნებენ, რომ შეცდომების 30% გამოიწვია, სახელდობრ, რიტმით პროვოცირებამ — „ლექსია, რიტმს გავყევი“ ან „ამას რიტმი აქვს“ ამბობდნენ ლექსად წაკითხულ ფანჯიკიძის პროზაზე.

საზოგადოდ, შესაძლოა 30% მაჩვენებელი არ იყოს, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ რიტმულმა ინტონირებამ მპაროვოცირებელი გავლენა იქონია მაღალი ლიტერატურულ-ესთეტიკური გამოცდილების ცდისპირებზეც კი, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ინტონაციის მნიშვნელოვან როლზე პოეტური ნაწარმოების აღქმის დროს.

მაგრამ როგორი ინტონირებაა რიტმული ინტონირება? ინტონაცია ხომ საზრისის წამოწევის ემსახურება, თუ შესაძლებელი იყო ჩვენს ცდებში პროზის რიტმულად წაკითხვა, რაზედაც ცდისპირებიც მიუთითებენ, „ამას კითხულობთ ლექსად“, მამსაღამე პროზაშიც არის შესაძლებელი შეთანაბრების მომენტის პოვნა. მეორეს მხრივ, გავიხსენოთ ცდების I ნაწილში ლექსი „აუღელვებელი“. ორი ცდისპირი შეეცადა რიტმულად ე. ი. „ლექსად“ წაეკითხა ეს ტექსტი და აღნიშნეს „ეს უაზრობაა“—ო.

აქ უნდა მოვიტანოთ ბ. ტომაშევიკის გამონათქვამი, რომ „პოეზია და პროზა არ არის ერთმანეთისაგან მტკიცედ გამოიჯნული ორი სფერო, უფრო სამართლიანია თუ ვილაპარაკებთ მეტ-ნაკლებად პროზაულ და მეტ-ნაკლებად ლექსურ მოვლენებზე“. ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ დაადასტურა ზემომოყვანილმა ცდებმა.

ჩვენი ვარაუდი კიდევ უფრო განამტკიცა მეორე ცდამ, რომელიც ჩატარდა მაღალკვალიფიციურ ცდისპირთა იმავე ჯგუფზე. შესაძარებლად ავიყვანეთ სოფლად მცხოვრები შედარებით დაბალი ლიტერატურულ-ესთეტიკური გამოცდილების მქონე ცდისპირთა ჯგუფიც. ცდა ღია სტურუსს ლექსსა და ლევან გოთუას პროზაზე იყო აგებული. შევეცადეთ „გმირთა ვარაშში“ მოგვეძებნა ადგილი, რომელიც მეტ-ნაკლებად ზუსტ შეთანაბრებას ექვემდებარება და რითმაც კი აქვს მიუხედავად იმისა, რომ ამ ორივე ნაწყვეტს პროზად აღაწერილი სახით ვაწოდებდით, გოთუას ტექსტს, ზემომოყვანილ მიზეზთა გამო, დიდი მპაროვოცირებელი გავლენა აღმოაჩნდა. ცდისპირთა 50%-მა იგი ლექსად ან პოემის ნაწყვეტად ჩათვალა, ხოლო დაბალი ლიტერატურულ-ესთეტიკური გამოცდილების მქონე ცდისპირთა ჯგუფში უარყოფითი პასუხი 100%-ს უდრიდა, მაგრამ ნიშანდობლივი იყო სწორი პასუხების ანალიზი: ისინი, ვინც ლ. სტურუსს ტექსტი მიიჩნია ლექსად, ასე ასაბუთებდნენ თავის არჩევანს: „ეს უფრო პოეტურია, ეს იქნება ლექსი, თუმცა მეორე ტექსტი უფრო თანაბარი და თითქოს რიტმულია“, ან „ეს ლექსია, უფრო სხვაგვარად შერჩეული სიტყვებია, მოქმედებს“.

შედგების ანალიზი გვაძლევს შემდეგი სახის დასკვნების შესაძლებლობას:

1. თავისუფალი ლექსის გრაფიკულ ჩანაწერში სტრიქონებად დაყოფა და შეტოლება სინტაქსურ კანონზომიერებას ემყარება, ტექსტი დანაწევრებულია ან სინტაგმებად ან ფრაზებად, ან წინადადებებად. ამრიგად, შეთანაბრების ძირითადი კრიტერიუმია სინტაქსური დანაწევრება. სწორედ ამიტომ, შეთანაბრება არ არის მხოლოდ ფორმალური მომენტი, მაგრამ ტრადიციული ლექსისაგან განსხვავებით, აქ იგი ემყარება არა რიტმულ, არამედ სინტაქსურ წესზომიერებას.

2. თუ კანონიკურ ლექსში, სადაც გრაფიკული ჩანაწერი ემორჩილება გარკვეულ სალექსო საზომს, რიტმული თავისებურება ნაწილობრივ რეალიზირდება უკვე ჩანაწერშივე, ინტონირების გარეშე, თავისუფალ ლექსში რიტმის მონაწილეობა უნდა ვიგულისხმოთ თვით ინტონირების პროცესში, როგორც საზოგადოდ, ყოველ დროში განვითარებადი მხატვრული მთლიანობის მარგანიზებული კომპონენტი, მაგრამ ვერლიბრის მხატვრული სტრუქტურის განცდაში, როგორც ჩანს, მას არ გააჩნია დომინანტური ფუნქცია და, ამდენად, რიტმის ხედვითი წონა აქ ბევრად მცირეა. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ რიტმის შეცვლა, და ამით თავისუფალი ლექსის სტრუქტურული ორგანიზაციის დარღვევა, შინაარსობრივად მონათესავე უცხო მასალით, არ განიცდება როგორც დარღვევა.

3. სალექსო საზომის რეალიზაციის მოლოდინი და დაუქმყოფილებლობის განცდა დადასტურდა ყველა სახის ცდაში. თუმცა გამოჩნდა ისიც, რომ ვერლიბრის მხატვრულ მთლიანობას აღიქვამს სუბიექტი მისი ლექსობის განცდის გარეშეც, იმის მიხედვით თუ რა ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მასზე მოცემული მხატვრული შინაარსი.

Л. С. САМСОНИДЗЕ

ОБ ОПРЕДЕЛЕНИИ РОЛИ РИТМА В ПРОЦЕССЕ ХУДОЖЕСТВЕННОГО ВОСПРИЯТИЯ ВЕРЛИБРА

Резюме

В работе экспериментально изучена роль ритма в процессе восприятия свободного стиха. При помощи специально разработанной методики установлено, что в верлибре деление текста по строкам и приравнивание строк подчиняется не ритмической, а синтаксической закономерности.

Ритмический фактор проявляется только в процессе интонирования как организующий компонент любой развертывающейся во времени художественной структуры, однако удельный вес данного фактора в восприятии верлибра не велик.

Определяющим моментом в процессе художественного восприятия верлибра является воздействие эмоционального содержания самого поэтического слова.

ლიბერატორა

1. რამიშვილი დ. მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, § 6, რიტმის ფსიქოლოგიური არსისათვის, თბ., 1963.
2. ტაბიძე გ. თბულუბანი, ტ. XII.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV.
4. БСЭ, Т. 22.
5. Гиршман М. М. Ритм художественной прозы, М., 1982.
6. Квятковский, Поэтический словарь, М., 1966.
7. Томашевский Б. В. Стих и язык, М.—Л., 1959.
8. Тынянов Ю. Н. Проблема стихотворного языка. Л., 1924.
9. Эткинд Е. Г. Ритм поэтического произведения. В сб.: Ритм, пространство и время в литературе и искусстве. М., 1978.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 დ. უზნაძის ს.ბ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ინოვაციური

სოციალური განვითარება თეორიული კვირის, შემეცნების
განვითარების რეალიზაციისას

ადამიანი იმითაც განსხვავდება ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან, რომ მას გარე სამყაროსადმი მხოლოდ პრაქტიკული დამოკიდებულება კი არა აქვს, არამედ — შემეცნებითი დამოკიდებულებაც.

ქცევებს, რომლებშიც ადამიანი ობიექტისადმი შემეცნებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს, უწოდებენ თეორიულ, ანუ შემეცნებით ქცევას. მაგრამ, ვფიქრობ, საჭიროა თეორიული და შემეცნებითი ქცევების ერთმანეთისაგან განსხვავება.

შემეცნებით აქტივობას ადამიანი ორ შემთხვევაში მიმართავს:

1) პრაქტიკული საქმიანობის შეფერხების გამო დაბრკობებათა მოსახსნელად;

2) ზოგადად იმ შემეცნებითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომელიც მას სამყაროში არსებობის გამო გააჩნია;

ანუ: ერთმანეთისაგან შეგვიძლია განვასხვავოთ ორგვარი ქცევა:

1) ქცევა, რომელსაც ადამიანი მიმართავს პრაქტიკული საქმიანობის შეფერხების გამო დაბრკობებათა მოსახსნელად.

2) ქცევა, რომელსაც ადამიანი მიმართავს შემეცნებითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

რა აქვს საერთო ამ ორ ქცევას და რითი განსხვავდებიან ისინი? საერთო აქვთ შემდეგი: ორივე შემთხვევაში ადამიანი იწყებს ამა თუ იმ ობიექტის არსის წვდომას — ე. ი. ახდენს ობიექტივაციას მიზნის მისაღწევად, რა თქმა უნდა, იყენებს ყველა ფსიქიკურ ფუნქციას, მაგრამ განსაკუთრებით აქტიურ როლს თამაშობს აზროვნება და ნებელობა. განსხვავება კი გამოიხატება ქცევის განმსაზღვრელ სრულიად სხვადასხვა მოთხოვნის არსებობაში. სწორედ ამ მოთხოვნის სხვადასხვაობის გამო ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ:

1) თეორიული ქცევა — რომელსაც საფუძვლად უდევს პრაქტიკული ქცევის შემაფერხებელი დაბრკოლების მოხსნის მოთხოვნა;

2) შემეცნებითი ქცევა — რომელსაც საფუძვლად უდევს მოვლენისა თუ ობიექტის არსის წვდომის მოთხოვნა. შესაძლოა შემეცნების მეშვეობით მიღებული ცოდნა ადამიანმა გამოიყენოს მომავალში პრაქტიკულად, შესაძლებელია — არა.

მაგ. მე თუ ყვავილის სახეობებს ვსწავლობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მათი გამოყენება მინდა. ვსწავლობ იმიტომ, რომ უბრალოდ მაინტერესებს რა და რა ყვავილია ამ ქვეყანაზე. შეიძლება რაიმე პრაქტიკული მიზნის მისაღწევად ოდესმე გამომადგეს მიღებული ცოდნა, შეიძლება — არა. გააჩნია რა საქმიანობას ვეწევი და როგორია ჩემი ინტერესების სფერო. ხოლო თუ მე ვსწავ-



ლობ ყვავილის სახეობებს იმიტომ, რომ უცოდინარობის გამო წამლის დამზადების დროს ამერია ყვავილები და წამალი ვერ დაეამზადე, მაშინ მე შემეცნებით აქტივობას კი მივმართავ, მაგრამ თეორიულ ქცევას ვახორციელებ და არა შემეცნებით, რადგან ჩემი ქცევის აღმძვრელი მოთხოვნილებაა წამლისათვის საჭირო ყვავილის მიგნება და არა საერთოდ ყვავილების ნაირსახეობის შესწავლა. შეიძლება საჭირო ყვავილის მისაგნებად მთელი ყვავილები არც შევისწავლო და რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთ შემთხვევაში ის, ვინც ბუნებაში არსებულ ყველა ყვავილს დაწვრილებით სწავლობს და ის, ვინც გარკვეული პრაქტიკული მიზნით ყვავილების გარკვეულ ნაწილს შეისწავლის, ერთნაირ ქცევებს ახორციელებს. საერთო, რა თქმა უნდა, ბევრია. ეს საერთოობა კი შემეცნებითი აქტივობის მსგავსებაში გამოიხატება. იმიტომ, შემეცნებითი და თეორიული ქცევების განსაზღვრისას მათ შორის სხვაობის და მსგავსების ჩვენებას შემეცნების აქტივობის ცნების საშუალებით ვახდენთ და 1) თეორიულ ქცევას ვუწოდებთ იმგვარ შემეცნებით აქტივობას, რომელიც ემსახურება პრაქტიკული ქცევის შემადგერბელი დაბრკოლების მოხსნას, ხოლო: 2) შემეცნებით ქცევას კი ვუწოდებთ იმგვარ შემეცნებით აქტივობას, რომელიც ემსახურება შემეცნებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. იგი უშუალოდ არ არის დაკავშირებული კონკრეტულ პრაქტიკულ საქმინობასთან, მაგრამ შესაძლებელია მომავალში დაუკავშირდეს პრაქტიკულ ინტერესებს.

ისმის კითხვა: შემეცნება ყოველთვის შეუსაბამობის მოხსნას გულისხმობს თუ არა? მაგ. მე თუ ვკითხულობ ლიტერატურას ხეების სახეობების შესახებ იმიტომ, რომ არ მინახავს ჭუჭუა ხეები და ვეჭვობ, ხე ვნახე თუ ბუჩქი, მაშინ მე შემეცნებით აქტივობას ვახორციელებ იმ შეუსაბამობის მოსახსნელად, რომელიც არსებობს ჩემს ცოდნასა და მიღებულ პრაქტიკულ შთაბეჭდილებას შორის. ასეთ შემეცნებით აქტივობას თეორიულ ქცევას ვუწოდებთ, მაგრამ, თუ ხეების სახეობების შესახებ ლიტერატურას ვეცნობი ხეებისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამო (თუ ეს ჩემი ჰობია), მაშინ ცნობიერებაში შეუსაბამობის მოხსნაზე ლაპარაკი მხოლოდ ცოდნა-არცოდნის თვალსაზრისით თუ იქნება შესაძლებელი. თუ ჩავთვლით, რომ ცოდნა არის შესაბამისობა ადამიანსა და სამყაროს შორის, მაშინ შეუსაბამობა იქნება — არცოდნა. მაგრამ, ცნობიერებაში შეუსაბამობის არსებობა თავისთავად რაღაც შესაბამისის არსებობასაც ხომ გულისხმობს? და გამოდის, რომ ადამიანს გაცნობიერებული აქვს ყოველთვის თავისი არცოდნა. მაგრამ, ეს ხომ ასე არ არის? თუმცა დიდი მეცნიერული აღმოჩენები ხშირად სამყაროს „გამოცანების“ ამოხსნას ემსახურება, მაგრამ ასევე ხშირი არ არის მეცნიერების მიერ „გამოცანების“ აღმოჩენაც? ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხშირად იმასაც აღმოვაჩინებ ხოლმე, რომ რაღაც არის ასახსნელი და ამოსაცნობი.

ამრიგად, თუ თეორიული ქცევების დროს ადამიანი ახდენს ობიექტივაციას პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ დაბრკოლებათა, შეუსაბამობათა მოსახსნელად, სხვაგვარადაა საქმე მეორე ტიპის — შემეცნებითი ქცევების ვანხორციელებისას. უნდა გამოვყოთ რამოდენიმე შემთხვევა:

1) ადამიანს გაცნობიერებული აქვს თავისი არცოდნა, სურვილი აქვს ცოდნა გააჩნდეს და იმიტომ შემეცნებითი აქტივობა ცოდნის სურვილსა და უცოდინრობას შორის შეუსაბამობის მოხსნას ემსახურება;

2) ადამიანს ცოდნის მიღების ცნობიერი სურვილი არა აქვს, მაგრამ მაინც ახორციელებს შემეცნებით აქტივობას. რა შეუსაბამობა უნდა არსებობდეს ასეთ შემთხვევაში ადამიანის ცნობიერებაში, რომ მან ობიექტივაცია მოახდინოს?

დ. უზნაძე წერდა: „ობიექტივაციის დონე სპეციფიკურია მხოლოდ ადამიანისათვის — იმ არსებისათვის, რომელიც სოციალური ცხოვრების საფუძვლებს აგებს და კულტურული არსებობის პირობებს ჰქმნის“.

რას ნიშნავს კულტურული არსებობის პირობების შექმნა? კულტურის მრავალნაირი განსაზღვრება არსებობს, მაგრამ ვეყრდნობით შემდეგს: კულტურა არის ღირებულებათა შესაბამისად გარემოსა (ფიზიკური, სოციალური) და საკუთარი თავის გარდაქმნა¹. მაღალ ღირებულებათა არსებობის გამო (განათლება, მშვენიერების წვდომა და ა. შ.) ადამიანების ნაწილი, ისინი, ვისაც ასეთი ღირებულებები ამოძრავებს შეგნებულად და მიზანდასახულად ახორციელებენ შემეცნებით აქტივობას. სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონების ზემოქმედების შედეგად (მიბაძვა, გავლენა) სხვები, რომელთა ორგანულ მოთხოვნილებას შემეცნება არ წარმოადგენს და, რა თქმა უნდა, ცოდნის მიღების სურვილი არა აქვთ, შემეცნებით აქტივობას ახორციელებენ იმ შეუსაბამობის მოსახსნელად, რომელიც სოციალურ-ფსიქოლოგიურად არსებობს განათლებულ და გაუნათლებულ ადამიანებს შორის. მათ შემეცნებით აქტივობას საფუძვლად უდევს არა შემეცნებითი მოთხოვნილება, არამედ სხვასთან გატოლების მოთხოვნილება და მათ მიერ განხორციელებული შემეცნებითი ქცევებიც გამიზნულია იმ დაბრკოლების მოსახსნელად, რომელსაც ქმნის უპირატესობა, რომელსაც საზოგადოება სოციალურ-ფსიქოლოგიურად განათლებულ ადამიანებს ანიჭებს. ვინ როგორ შედეგს აღწევს, ეს სხვა საკითხია. მონდომებაზეც ბევრია დამოკიდებული.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი შეუსაბამობა ცნობიერებაში ყოველთვის ასახული არ არის, მაგრამ ამ შეუსაბამობას ასახვენ ხშირად სოციალური განწყობები, რომელთა ზემოქმედების შედეგად ადამიანები შემეცნებით აქტივობას ახორციელებენ.

როგორც თეორიული, ისე შემეცნების ქცევების დროს შემეცნებით აქტივობას აქვს ადგილი — ანუ მოვლენისა და ობიექტის არსის წვდომას და ამგვარ ქცევებს საფუძვლად უდევს შემეცნების განწყობა. სწორედ ამიტომ მათ ერთ ჯგუფში აერთიანებენ და დიფერენციაციას არ ახდენენ.

შემეცნებას ადამიანი ძირითადად მიზანდასახული დასწავლის საშუალებით ახერხებს. რა თქმა უნდა, ბევრ რამეს ჩვენდა უნებურად ვითვისებთ, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აქტიურ დამახსოვრებას, რომელსაც დასწავლა ეწოდება.

„აზროვნება და ნებელობა ორივე ობიექტივაციის ნიადაგზე ყალიბდება, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ აღქმაც და მხსიერებაც ობიექტივაციას დაეყრდნონ და ამის შედეგად გარკვეულ აქტიურ პროცესებად იქცნენ. ოღონდ ამისათვის ერთი რამ უთუოდ აუცილებელია — სახელდობრ მათ აზროვნების აქტი უნდა შეუთულდეს და ამ არსებით პროცესებს მკაფიოდ აქტიური ხასიათი

¹ დ. უზნაძე, შრომები, ტომი VI, გვ. 141. თბილისი, 1977.

² Н. З. Чавчавадзе, Культура и ценности, Тбилиси, 1984.

მისცეს. ამ შემთხვევაში პასიური აღქმის ადგილს დაკვირვება იჭერს და პასიური დამახსოვრებისას — დასწავლა და მოგონება¹.

მართალია, ადამიანი დამოუკიდებლადაც სწავლობს ბევრ რამეს, მაგრამ ძირითადად სწავლის პროცესი ადამიანთა — კერძოდ: მოსწავლეთა (ანუ იმ პირთა, რომლებიც რამეს სწავლობენ) და მასწავლებელთა, მოსწავლეთა შორის ურთიერთობას ეყრდნობა და ამიტომ, უდავოა, ამ პროცესზეც უნდა მოქმედებდეს ყველა ის სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერება, რომელიც საზოგადოდ ურთიერთობებში იჩენს თავს.

ერთ-ერთი ასეთი კანონზომიერებაა სოციალური განმტკიცების ზემოქმედება ქცევებზე.

სოციალური განმტკიცება წარმოადგენს სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენას, რომელიც გვიჩვენებს, რომ ადამიანის ქცევაზე გარკვეულ გავლენას ახდენს სხვა ადამიანის მიერ გამოქმედებული დამოკიდებულება ამ ქცევის მიმართ. სხვის მიერ გამოხატული დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება მიმართულებას უცვლის ქცევას: აძლიერებს ან ასუსტებს მას.

რადგან თეორიული, შემეცნებითი ქცევებისათვის მნიშვნელოვანია ამა თუ იმ მოვლენის არსის წვდომა, ამიტომ თეორიულ და შემეცნებით ქცევებზე სოციალური განმტკიცების ზემოქმედების მნიშვნელობის დასადგენად ვიკვლიეთ სოციალური განმტკიცების მნიშვნელობა მოვლენის არსის წვდომისას.

გამოკვლევა ჩატარდა საშუალო სკოლის VII—X კლასის მოსწავლეებზე. მონაწილეობა მიიღო 105-მა ც. პ.-მა. ცდის ხელმძღვანელმა ორჯერ გააფრთხილა ც. პ.-ები, რომ გამოკვლევის დღეს მიეცემოდათ შემდეგი ორი დავალება: 1) სამი წინადადება უნდა წაეკითხათ ხუთჯერ ხმამაღლა — ისე, რომ დაემახსოვრებინათ და შემდეგ, რაც დამახსოვრდებოდათ, ეთქვათ. 2) ისევ მიეცემოდათ სამი წინადადება, მაგრამ ახლა პირველი ორი წინადადებიდან გამომდინარე უნდა დაემთავრებინათ მესამე. ც. პ.-ებმა წინასწარ ჩაიწერეს ნიმუშები. ცდის ხელმძღვანელმა ისინი გააფრთხილა, რომ გამოკვლევის დღეს მიეცემოდათ ანალოგიური წინადადებები.

სულ იყო წინადადების 5 ვარიანტი. ერთ-ერთი ასეთი:

I დავალება:

- 1) „აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა“ (ილია).
- 2) ღროულად დაწყებულ მკურნალობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის ჯანმრთელობისათვის.
- 3) გაზაფხულზე ჩვენში ხშირად წვიმს.

II დავალება:

- 1) ყველა დაავადება სახიფათოა ჯანმრთელობისათვის;
- 2) გრიპი დაავადებაა.
- 3) გრიპი.....

როგორც ვხედავთ, დავალებები მარტივი იყო და მისი წარმატებით შესრულება მოსწავლეებს არ უნდა გაძნელებოდათ.

რადგან სწავლის პროცესი აზროვნებისა და მეხსიერების განვითარებას ეყრდნობა ძირითადად, მოცემული დავალებები ძალზე ჩვეულებრივი იყო და თანაც ც. პ.-ები ორჯერ იქნენ წინასწარ გაფრთხილებულნი, რომ გარკვეული სახის დავალების შესრულება მოუხდებოდათ, ამიტომ მივიჩნიეთ რომ შემეცნე-

¹ დ. უზნაძე, შრომები, ტ. VI, გვ. 166.

- 3) შეცვალა სხვა სიტყვებით და ისე დაიმახსოვრა წინადადება;
- 4) გადაადგილა სიტყვები;
- 5) გამოტოვა სიტყვები;
- 6) ცალკეული სიტყვა დაიმახსოვრა.

ასევე აღვნიშნეთ, როგორ იქნა დამახსოვრებული II და III წინადადება.

II დავალება (ლოგიკური) რამდენმა შეასრულა და რამდენმა — ვერა. ცხრილი № 1 გვიჩვენებს მონაცემების განლაგებას სერიების მიხედვით.

სერიების (სოც. განმტკიცების ტიპის) მიხედვით I და II დავალების შესრულების რაოდენობრივი მაჩვენებლები ასეთია:

ცხრილი 2

განმტკიც. ტიპი	შეასრულა მხოლოდ I დავალ.	შეასრულა მხოლოდ II დავ.	შეასრულა ორივე დავ.	ვერაფერი ვერ შეასრულა
დადებითი	9	0	26	0
უარყოფითი	16	0	19	0
ნეიტრალ.	5	0	28	2

მიღებული შედეგები მიეწერება თუ არა სოც. განმტკიცების ფაქტორს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვიყენებთ X^2 კრიტერიუმს. ერთმანეთს ვადარებთ I და III და II და III სერიის მონაცემებს შესაბამისად:

1) $X^2 = 5,34$. თავისუფლ. ხარისხი = 3. $p > 0,05$ -ზე ე. ი. მიღებული შედეგები არ მიეწერება დადებითი სოციალური განმტკიცების ფაქტორს.

2) $X^2 = 30,7$. თავის. ხარისხი = 3. $p < 0,001$ -ზე ე. ი. მიღებული შედეგები მიეწერება უარყოფითი სოციალური განმტკიცების ფაქტორს.

ამრიგად, დადგინდა, რომ უარყოფითი სოციალური განმტკიცების ზემოქმედების შედეგია ის ფაქტი, რომ მეორე სერიაში ყველაზე ნაკლებად შესრულდა ლოგიკური დავალება.

რადგან ლოგიკური დავალების შესრულება აზროვნების აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს, ამიტომ საინტერესო იყო იმის დადგენა, თუ საერთოდ როგორ აზროვნებენ ჩვენი ცდისპირები დავალების შესრულებისას, კერძოდ, რამდენად დაიმახსოვრეს მათ I სამი წინადადების აზრი.

სხვაობის აღსანიშნად შემოვიტანეთ ქულები, რომლებიც აღნიშნავენ:

- 1) სამივე წინადადების აზრი დაიმახსოვრა ც. პ-მა — 5 ქულა
- 2) ორი " " " — 4 ქულა
- 3) ერთი " " " — 3 ქულა
- 4) ვერცერთი წინადადების აზრი ვერ დაიმახსოვრა — 2 ქულა

სერიების მიხედვით ქულები ასე განაწილდა

ცხრილი № 3

სერია	5 ქ.	4 ქ.	3 ქ.	2 ქ.
I	25	8	2	0
II	24	9	2	0
III	19	9	5	2

ქულათა ასეთი განაწილება, ანუ აზრის დამახსოვრების სხვადასხვაობა მიეწე-
რება თუ არა სოციალური განმტკიცების ფაქტორს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვიყენებთ X^2 კრიტერიუმს. შესაბამისად:

1) $X^2=5,6$. თავის, ხარისხი=3. $p>0,05$ -ზე. ე. ი. მონაცემები სანდო არ
არის, ანუ მიღებული შედეგები არ მიეწრება დადებითი სოციალური განმტკი-
ცების ფაქტორს.

2) $X^2=5,1$. თავის, ხარისხი=3. $p>0,05$ -ზე. აქაც მიღებული შედეგები
არ მიეწრება უარყოფითი სოციალური განმტკიცების ფაქტორს.

ამრიგად დადგინდა, რომ სოციალური განმტკიცების ზემოქმედების შედე-
გი არ არის სხვადასხვა სერიაში აზრის დამახსოვრების სხვადასხვა რაოდენობა.

რადგან აღმოჩნდა, რომ I დავალების შესრულებაზე (წინადადებების
დამახსოვრება) გავლენას ვერ ახდენს სოციალური განმტკიცების ფაქტორი,
მაგრამ სამაგიეროდ მეორე დავალების — ლოგიკური დავალების შესრულებაზე
კი მოქმედებს — კერძოდ, უარყოფითი სოც. განმტკიცება აფერხებს ლოგი-
კური დავალების შესრულებას, ამიტომ საინტერესო იყო იმის დადგენაც, თუ
ვის შეეშალა ხელი, ვინც ჩაწვდა I დავალების შესრულებისას წინადადებების
აზრს თუ ვინც ვერ ჩაწვდა? საერთოდ, როგორ ცდისპირებზე ვახდენთ გავ-
ლენას. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვითვალეთ:

1) რამდენი ც. პ-ია, რომელმაც I დავალების შესრულებისას წინადადებ-
ების აზრი გაიგო და II დავალება შეასრულა.

2) რამდენია, რომელმაც აზრი გაიგო და II დავალება ვერ შეასრულა.

3) რამდენია, რომელმაც წინადადების აზრი ვერ გაიგო და II დავალება
შეასრულა;

4) რამდენია, რომელმაც ვერც აზრი გაიგო და ვერც II დავალება შეას-
რულა.

უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ც. პ-ები, რომელთაც:

- 1) სამივე წინადადების აზრი გაიგეს; 2) ორი წინადადების აზრი გაიგეს;
- 3) ერთი წინადადების აზრი გაიგეს; 4) ვერცერთი წინადადების აზრი ვერ
გაიგეს.

განმტკიცების ტიპის მიხედვით მონაცემები ასე განაწილდა:

ცხრილი № 4

განმტკიცების ტიპი	II დავალება შეასრულა				II დავალება ვერ შეასრ.			
	5 ქ.	4 ქ.	3 ქ.	2 ქ.	5 ქ.	4 ქ.	3 ქ.	2 ქ.
დადებითი	18	7	1	0	7	0	1	0
უარყოფითი	13	5	1	0	11	4	1	0
ნეიტრალური	19	4	5	0	0	5	0	2

დაისვა საკითხი: სოციალური განმტკიცების ზემოქმედების შედეგი ხომ არ
არის ის ფაქტი, რომ ერთნაირქულიანი ც. პ-ებიდან ზოგმა შეასრულა ლოგი-
კური დავალება, ზოგმა — ვერა?

ცალ-ცალკე შევადაროთ ერთმანეთს ერთნაირქულიანი ც. პ-ების მონაცე-
მები.

5 ქულიანებში შეინიშნა სიხშირეთა შემდეგი განაწილება სერიების მიხედვით:

ცხრილი № 5

სერია	II დავ. შეასრ.	II დავ. არ შეასრულა
I	18	7
II	13	11
III	19	0

გამოვიყენოთ X^2 კრიტერიუმში. შესაბამისად:

1) $X^2=0,05$; თავისუფლების ხარისხი=1. $p>0,05$ -ზე. ე. ი. დადებითი სოციალური განმტკიცების შედეგი არ არის ის ფაქტი, რომ I სერიაში ხუთქულიანი ც. პებიდან 18-მა შეასრულა II დავალება და 17 ც. პ-მა კი ვერა.

2) $X^2=1,8$. თავის. ხარისხი=1 $p>0,05$ -ზე. ე. ი. მიღებული შედეგები უარყოფითი სოც. განმტკიცების შედეგი არ არის.

4 ქულიანებში სიხშირეთა განაწილება ასეთია:

ცხრილი № 6

სერია	II დავალ. ევასრ.	II დავალ. ვერ შეასრულა
I	17	1
II	5	4
III	4	5

ანალოგიური მსჯელობით,

1) $X^2=5,45$. თავის. ხარისხი=1. $p<0,05$. ე. ი. დადებითი სოციალური განმტკიცების შედეგია სიხშირეთა ასეთი განაწილება.

2) $X^2=0,45$. თავის. ხარისხი=1. $p<0,05$. ე. ი. მიღებული შედეგები უარყოფითი სოციალური განმტკიცების ზემოქმედების შედეგია.

3 ქულიანებში სიხშირეთა ასეთი განაწილებაა:

ცხრილი № 7

სერია	II დავალების შესრ.	II დავალება ვერ შეასრ.
I	1	1
II	1	1
III	5	0

1) $X^2=3,2$. თავის. ხარისხი=1. $p>0,05$. ე. ი. მიღებული შედეგები არ მიეწერება დადებით სოც. განმტკიცების ფაქტორს.

2) $X^2=3,2$. თავის. ხარისხი=1. $p>0,05$ -ზე. აქაც მიღებული შედეგები არ მიეწერება უარყოფით სოც. განმტკიცების ფაქტორს.

2 ქულიანებში სიხშირეთა ასეთი განაწილებაა:

ცხრილი № 8

სერია	II დავალების შესრულება	II დავალება ვერ შეასრ.
I	0	0
II	0	0
III	0	0

ანალოგიურად: 1) $X^2=2$. თავის. ხარისხი=1. $p>0,05$. ე. ი. მიღებული შედეგები არ მიეწერება დადებითი სოც. განმტკიცების ფაქტორს.

2) $X^2=2$. თავის. ხარისხი=1. $p>0,05$. ე. ი. მიღებული შედეგები უარყოფითი სოც. განმტკიცების შედეგი არ არის.

ამრიგად, მივიღეთ, რომ:

1) ზემოქმედებას ვახდენთ ოთხქულიანებზე. ე. ი. მათზე, ვინც 3-დან 2 წინადადების აზრი დაიმასხვორა. მათზე დადებით სოც. განმტკიცებას აქვს აზრი უარყოფითს კი — არა.

პროცენტული მაჩვენებელი ოთხქულიანებში ასეთია:

ცხრილი № 9

განმტკიცების ტიპი	II დავალება შეასრ.	II დავალ. ვერ შეასრ.
დადებითი	87,5%	12,5%
უარყოფითი	55,5%	44,5%
ნეიტრალური	44,0%	55,5%

როგორც ვხედავთ, ოთხქულიანებში ჩარევას აქვს მნიშვნელობა. დადებითი სოციალური განმტკიცების შედეგია ის, რომ ოთხქულიანებში ლოგიკური დავალების შესრულების მაჩვენებელი ასეთი მაღალია — 87,5%.

2) აღმოჩნდა, რომ II სერიაში ყველაზე ნაკლებია ლოგიკური დავალების შესრულების რიცხვი და ეს უარყოფით სოციალურ განმტკიცებას უნდა მიეწეროს. უარყოფითმა განმტკიცებამ შეაფერხა ლოგიკური დავალების შესრულება.

როგორ გავაერთიანოთ ეს [1] და 2)] ორი შედეგი?

რადგან გავლენას მხოლოდ ოთხქულიანებზე ვახდენთ, ამიტომ როდესაც უარყოფითი სოციალური განმტკიცების შედეგად შეფერხდა ლოგიკური დავალების შესრულება, ეს შეფერხება მოხდა სწორედ ოთხქულიანთა ხარჯზე. როგორ? რა მოხდა I სერიაში ისეთი, რომ ლოგიკური დავალების შესრულების რიცხვი გაიზარდა და რატომ შემცირდა ეს რიცხვი II სერიაში, თუ ოთხქულიანებზე უარყოფითი განმტკიცება არ მოქმედებს?

რადგან ოთხქულიანებზე დადებითი განმტკიცება მოქმედებს და უარყოფითი არა, ამიტომ I და II სერიაში ლოგიკური დავალების შესრულების

პროცენტულ მაჩვენებლებს შორის სხვაობა უნდა მივიჩნიოთ დადებითი სოც. განმტკიცების ზემოქმედების რიცხობრივ მახასიათებლად. ანუ: $87,5\% - 55,5\% = 32\%$. ეს 32% არის ლოგიკური დავალების შესრულების ის რიცხვი, რომელიც დადებითი სოც. განმტკიცების შედეგია. რადგან II სერიაში დადებითი განმტკიცება არ ხდება, ამიტომ ეს 32% აკლდება ამ სერიაში ლოგიკური დავალების შესრულების რიცხვს და ემატება იმ ც. პ-ების რაოდენობას, რომელთაც ვერ შეასრულეს ლოგიკური დავალება. ასეთების რიცხვი I სერიაში — 12,5%. II სერიაში ამას ემატება 32%, მიიღება 44,5%.

ამრიგად, მეორე სერიაში იმიტომ შემცირდა ლოგიკური დავალების შესრულების რიცხვი, რომ ვერ მოხდა დადებითი სოციალური განმტკიცება ოთხქულიანებზე.

ვიკვლიეთ, აგრეთვე ორი საკითხი:

I. სოც. განმტკიცების ფაქტორის ზემოქმედების შედეგი ხომ არ არის ის ფაქტი, რომ სხვადასხვაქულიანი ც. პ-ები ერთნაირად იქცევიან: ერთ შემთხვევაში ასრულებენ ლოგიკურ დავალებას და მეორეში კი — ვერ ასრულებენ.

№ 4 ცხრილში მოცემული მონაცემების გამოყენებით განვიხილეთ ჯერ იმათი შედეგები, ვინც შეასრულა ლოგიკური დავალება და მივიღეთ:

1) $X^2 = 5,55$. თავის. ხარისხი = 3. $p > 0,05$. ე. ი. მიღებული შედეგები არ მიეწერება სოციალური განმტკიცების ფაქტორს.

2) $X^2 = 5,34$. თავის. ხარისხი = 3. $p > 0,05$. ე. ი. მიღებული შედეგები არ მიეწერება სოციალური განმტკიცების ფაქტორს.

შემდეგ განვიხილეთ იმათი შედეგები, ვინც ვერ შეასრულა ლოგიკური დავალება. შესაბამისად: 1) $X^2 = 52$. თავის. ხარისხი = 2. $p > 0,05$ -ზე. ე. ი. მიღებული შედეგები არ მიეწერება დადებითი სოც. განმტკიცების ფაქტორს.

2) $X^2 = 2,2$. თავის. ხარისხი = 3. $p > 0,05$. ე. ი. ის ფაქტი, რომ სხვადასხვაქულიანი ც. პ-ები იქცევიან ერთნაირად, არ არის სოციალური განმტკიცების ზემოქმედების შედეგი. ეს ფაქტი სხვა ფაქტორითაა განპირობებული.

II. ხომ არ განსაზღვრავს სოციალური განმტკიცება დამახსოვრების რაოდენობრივ მაჩვენებელს?

აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა სერიაში წინადადების დამახსოვრების რიცხვი სხვადასხვანაირია:

ც ხ რ ი ლ ი № 10

განმტკიცების ტიპი	I წინადად. ასე თუ ისე დაიმას.	II წინადად. ასე თუ ისე დაიმას.	III წინადადება ასე თუ ისე დაიმასოვრა
დადებითი	35	33	35
უარყოფითი	32	30	33
ნეიტრალური	32	27	31

იმისათვის, რომ დაგვედგინა სიხშირეთა ასეთი განაწილება არის თუ არა სოციალური განმტკიცების ზემოქმედების შედეგი, მივმართავთ ისევ X^2 კრიტერიუმს. შესაბამისად:

1) $X^2 = 2,12$. თავის. ხარისხი = 2. $p > 0,05$.

ე. ი. მიღებული შედეგები არ მიეწერება დადებითი სოციალური განმტკიცების ფაქტორს.

2) $X^2=0,45$. თავის. ხარისხი=2. $p>0,05$. ე. ი. აქაც მიღებული შედეგები უარყოფითი სოციალური განმტკიცების ზემოქმედების შედეგი არ არის.

დასკვნა

სოციალური განმტკიცება ზემოქმედებას ახდენს საშუალო გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანების შემეცნებითი ქცევის განწყობაზე. ამ განწყობის რეალიზაციას, ანუ ქცევის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს დადებითი სოციალური განმტკიცება. რადგან შემეცნებითი აქტივობა აზროვნების აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, აზროვნება არის შემეცნებითი აქტივობის განმარტოვებული იარაღი, ამიტომ ამგვარი ტიპის ქცევის აღმძვრელი განწყობის რეალიზაცია აზროვნების პროცესის მიმდინარეობაზე დამოკიდებული. თუ აზროვნების პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს, მაშინ შემეცნებითი აქტივობის განწყობის რეალიზაცია ხდება, ხოლო აზროვნების პროცესის შეფერხება კი შემეცნებითი ქცევის განწყობის შეფერხებას იწვევს. საშუალო გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის აზროვნებითი ოპერაციების შესრულება ბევრ ორყოფობასთან არის დაკავშირებული. როდესაც ასეთი ადამიანი აზროვნების პროცესში სხვისგან დადებით განმტკიცებას განიცდის, ანუ გრძნობს, რომ სხვას მოსწონს მისი საქმე, უფრო ადვილად და წარმატებით ამთავრებს აზროვნების ოპერაციებს. საშუალო გონებრივი შესაძლებლობების ადამიანი აზროვნების პროცესში მოითხოვს სხვისგან მხარდაჭერას. თუ ასეთი მხარდაჭერა არის (დადებითი განმტკიცების დროს), იგი წარმატებით ასრულებს აზროვნებით ოპერაციებს, ხოლო თუ ასეთი მხარდაჭერა არ არის (უარყოფითი განმტკიცების დროს), მაშინ აზროვნებითი ოპერაციის შესრულება ადამიანს უჭირს.

Н. Н. ЧАВЧАВАДЗЕ

СОЦИАЛЬНОЕ ПОДКРЕПЛЕНИЕ ПРИ РЕАЛИЗАЦИИ УСТАНОВКИ ТЕОРЕТИЧЕСКОГО, ПОЗНАВАТЕЛЬНОГО ПОВЕДЕНИЯ

Резюме

В статье изложены результаты экспериментального исследования влияния социального подкрепления на формирование и реализацию установки теоретического, познавательного поведения. Было установлено, что фактор социального подкрепления влияет на установку познавательного поведения лишь тогда, когда дело имеем с людьми средних умственных способностей.

Для людей средних умственных способностей социальное подкрепление является внешним фактором установки познавательного поведения. Положительное подкрепление способствует быстрому и удачному завершению мыслительных операций.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა



Д. Д. БЕКОЕВА

(Цхинвали)

РОЛЬ И ЗАДАЧИ ПСИХОЛОГА В ДЕТСКОЙ КЛИНИКЕ

Особенности больных детской клиники состоят в том, что болезнь поражает еще функционально не развившийся мозг и дальнейшее его развитие происходит в неблагоприятных условиях. Это обуславливает у детей столь значительный процент состояний, сопровождающихся той или иной степенью задержки интеллектуального развития с различной его динамикой. Таким образом, и личность ребенка формируется в условиях патологии. Психологические исследования в клинике помогают клиницисту не только уточнить структуру имеющихся изменений личности и познавательных способностей, но и выявить возможности дальнейшего их развития. Особенно важны эти исследования для решения проблем школьного обучения таких детей. Поэтому в детской клинике возникают проблемы, требующие вмешательства психолога, который может оказать реальную помощь лечащему врачу в реабилитации маленьких пациентов.

Как правило, психолог при определении объема своей работы исходит из общих задач клиники и системного подхода, представлений об анализаторах и межанализаторных связях и их развитии в процессе онтогенеза. Используя психологические методики в сочетании с анализом неврологической симптоматики, он ставит задачи и определяет содержание работы по психодиагностике и реабилитации детей.

Таким образом, общие задачи психолога в детской клинике будут сводиться к следующему:

1. диагностическое обследование и оценка психического развития ребёнка соответствующего возраста;
2. выявление особенностей психологического развития ребёнка и способности к обучению;
3. характеристика личностных, познавательных и эмоциональных индивидуально-психологических особенностей поведения ребёнка;
4. проведение восстановительной работы с ребёнком;
5. проведение консультационной работы с родителями детей в связи с особенностями их заболеваний и руководство этой работой.

В соответствии с перечисленными задачами должна строиться работа психолога в детской клинике. Например, в республиканском центре реабилитации детей и подростков Министерства здравоохранения СССР три отделения: ортопедическое, аллерголого-педиатрическое и психоневрологическое. В каждом из них может быть развернута работа психолога.

Так, в неврологическое отделение центра 80% детей поступает с церебральными параличами. При диагностическом обследовании больных с церебральными параличами задачи психологического исследования будут подчинены не констатации дефекта, а в основном коррекции с учетом возрастных особенностей. Дело в том, что функции мозга на определённых возрастных этапах развиваются с различным преимуществом. При психическом заболевании развитие функций может смещаться и извращаться, и отдельные функции могут полностью или частично выпадать.

Как показали психологические исследования, в нейропсихологии межполушарные различия по некоторым индикаторам отмечены уже у детей 5—7 лет. Таким образом, традиционная точка зрения, объясняющая возрастные различия в проявлении очаговой мозговой патологии концепцией функциональной эквинотенциальности мозга детей и больничными компенсаторными возможностями, существенно уточнена нейропсихологами. Нейропсихологическими исследованиями показано, что степень участия одного и того же отдела мозга в обеспечении высших психологических функций не остаётся неизменной в процессе онтогенеза. Так, если нарушения зрительного восприятия наблюдаются у дошкольников при поражении правого полушария, то у детей 14—16 лет возрастают нарушения в процессах зрительного восприятия при поражении левого полушария. Следует также учитывать, что в процессе онтогенеза изменяется не только степень, но и характер участия одного и того же отдела мозга в организации высших психических функций. При поражении левой височной доли у больных 5—10 лет нарушения памяти обуславливаются сужением объёма, а у больных 11—16-летнего возраста — повышенной тормозимостью следов. Это значит, что поражения головного мозга у детей проявляются чёткой специфичностью, которую следует учитывать в процессе реабилитации таких детей. Таким образом, положительные стороны нейропсихологических исследований нарушений высших психических функций, открывающие новый подход к конкретному изучению принципов хронологической локализации и восстановительного обучения, должны быть учтены в медико-психологических исследованиях в детской клинике. *Учет этих особенностей позволит сократить сроки реабилитации детей и внесет вклад в детскую психологию и восстановительное обучение.*

Как в психодиагностике, так и в реабилитации важно использование адекватных и хорошо апробированных методов, имеющих прогностическое значение и выявляющих динамику психических процессов ребёнка.

На Западе с целью комплексного исследования различных сторон интеллекта у детей используется детский вариант методики Векслера. В качестве такого метода у нас может быть использован блок тестовых методик, разработанный А. Р. Лурия¹ и использованный в нейропсихологии. Схема тестов лурьевского метода, адаптированная нами для целей психологического исследования в реабилитационном центре, включает тесты на исследование двигательных, гностических, речевых, мнестических, зрительно-пространственных и интеллектуальных процессов. Результаты исследования с помощью лурьевского метода анализируются прежде всего качественно, синдромно, с выделением первичного дефекта, лежащего в основе нарушения той или иной психической функции. *Количественный анализ включает оценку частоты и степени выраженности нарушений высших психических функций в разных возрастных группах больных.*

Другими словами, достоинство методов, разработанных А. Р. Лурия, в том, что они позволяют истолковывать результаты экспериментов или психологического исследования не только по правильности выполнения и темпу, но прежде всего по процессу работы, способам, типам ошибок, по отношению к ошибкам и динамике психических процессов в целом. Они позволяют оценивать результаты всей работы ребенка целостно, с учетом так называемой

¹ А. Р. Лурия. Высшие корковые функции. М., 1969.

«зоны ближайшего развития» не с точки зрения конкретной болезни, а характеристики всей структуры дефекта и всех компенсаторных возможностей больного ребёнка.

Надо отметить, что преимущество луриевского метода признают и зарубежные авторы, занимавшиеся его стандартизацией². Они отмечают, что достоинство луриевского метода по сравнению с используемыми за рубежом батареями Векслера, Халстеда-Рейтана и др. состоит в его портативности (он не требует специального оборудования и дорогостоящей аппаратуры) и относительной краткости (полное исследование не превышает 1.30 мин., в то время, как исследование по методу Халстеда-Рейтана занимает от 4 до 8 часов). Кроме того, как отмечалось выше, он основан не только на количественном, но скорее на качественном анализе дефекта, что позволяет использовать его не только для психодиагностики, но и для реабилитации. Метод успешно применяется и в детской нейропсихологии³.

Возвращаясь к психологическому исследованию больных с церебральным параличом, надо сказать, что определение уровня психического развития и способности детей к обучению, познавательной деятельности, пространственного восприятия и речи позволяет психологу правильно организовать восстановительное обучение детей в форме предметно-манипулятивных игр с учетом патологии двигательных функций. Кроме того, исследуя речевые функции, психолог в соответствии с типом патологии речи совместно с логопедом более эффективно разрабатывает процедуру восстановительного обучения. Дело в том, что у детей с церебральным параличом, как правило, наблюдается в речевой функции три основных типа патологии:

1. когда речь недостаточно сформирована и степень её деструкции непосредственно определяет изменение психики;

2. когда утрата ее вызывает вторичные нарушения психики;

3. менее грубая природа взаимоотношений психических процессов и речи, когда представляется возможным судить о степени патологии в пределах собственно языковых структур.

Надо сказать, что если логопед, как правило, не испытывает трудностей при выделении третьего типа нарушений речи, то квалификация и разворачивание процедур восстановительного обучения в первых двух случаях не удаются без вмешательства квалифицированного психолога. Это связано с тем, что афазия у детей имеет совершенно другую картину, чем у взрослых. Она характеризуется отсутствием или бедностью спонтанной речи, замедленностью, вялостью речевых процессов, телеграфным стилем, наконец, просто нежеланием ребёнка говорить и другими нарушениями речевой деятельности, не укладывающимися ни в одну из известных форм афазий. Кроме того, следует учитывать, что патология речевых функций, как и нарушение высших психических функций в детском возрасте характеризуются высокой скоростью обратного развития. Так, по данным нейропсихологов, даже массивные поражения мозга у детей не формируют характерных для взрослых комплексов взаимосвязанных расстройств; у них наблюдались либо нарушения только устной, либо только письмен-

² O'gman D. C., Golden C. I. The use of a standardised battery of Luria's test in the diagnosis of lateralized cerebral dysfunction. *Anter S. Neurosci*, 1979, v. 9; Golden C. Diagnostic validity of a standardised neuropsychological battery derived from Luria's test. *J. of Consul, a clin. Psuch.* 1978, v. 16, № 6.

³ Симерницкая И. Г. О предмете и специфике детской нейропсихологии. В кн.: Мозг и психика. М., 1982.

ной речи, нарушения пространственного фактора проявляются только в рисунке или в двигательных пробах.

С точки зрения психологии особенности развития детей с церебральным параличом обусловлены сенсо-моторными нарушениями, вызывающими у больных явления депривации и изоляции, препятствующие правильному формированию личности. Поэтому при диагностическом обследовании больных на первый план должны выступить задачи исследования мотивационно-личностной сферы и правил взаимоотношений с людьми. Дети с церебральным параличом, как правило, испытывают трудности в игровой деятельности, и правильно организованная форма мыслительных игр с учётом состояния высших психических функций в целом может служить компенсацией дефекта.

Особенности личности больного ребёнка, его взаимоотношения с окружающими, ускользающие при обычном клиническом наблюдении, могут выявляться в психологическом исследовании. Так, например, психологическое исследование личности 60 дошкольников с церебральным параличом в форме анастической дисплексии и явлениями общей задержки психического развития, проведённое в исследовании О. Д. Раменской⁴, показало, что сенсо-моторный дефект у этих больных затрудняет формирование активных форм деятельности и общения. Кроме того, исследование выявило, что неадекватная самооценка таких детей связана со снижением «переживания успеха-неуспеха» и замедленностью формирования этических представлений.

Эти особенности больных объясняются тем, что поражение незрелого мозга приводит к неравномерности развития психики и является условием нарушения познавательной деятельности, пространственных нарушений и сенсорных функций. Этим же можно объяснить и тот факт, что у детей с церебральным параличом первые активные положительные эмоциональные реакции связаны не с удовлетворением потребности в новых впечатлениях, как это имеет место у нормального ребёнка, а с удовлетворением органических потребностей. У детей патология двигательной функции отрицательно сказывается на развитии предметно-манипулятивных функций.

Учитывая выявленные особенности больных детей, следует строить восстановительное обучение и реабилитационные мероприятия. Так, например, замедленность формирования этических представлений, равно как и слабое развитие предметно-манипулятивных функций, следует компенсировать работой мыслительных функций и воображения, и в построении игр следует опираться на символические действия.

Таким образом, специально направленное исследование психолога с применением адекватных психологических методик (методов, разработанных А. Р. Лурия для диагностики психологической деятельности, методик Розенцвейга, Рене Жиля, тест Мира, сценотест Гердхильда фон Штаабе и игровые методики) позволяет более детально охарактеризовать психологические особенности личности больного ребёнка и ускорить восстановительное обучение и реабилитацию детей с задержками психического развития.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

⁴ Раменская О. Д. Изучение личности дошкольников с церебральным параличом. Авт. канд. дис., 1980.



ბალახა ვალდიაშვილი

ღატაკობის პროცესში ხელის მბრუნების ფილოზოფიულად სხვადასხვა მოქმედებაში განსხვავებულობის დინამიურობა ასაკობრივ ასპექტში

ადამიანის არსის გაგება შესაძლებელია მისი დინამიური შესწავლის სა-
ფუძველზე [2].

ფუნქციონირების პროცესში ადამიანის ტვინის ჰემისფერობისა [1; 3; 4; 5]
და ასაკობრივ ასპექტში ხელის მტევნების ძალების [6] განსხვავებულობის დი-
ნამიურობა განხილულია მრავალ ნაშრომში.

პროფ. ა. ნ. ლაჭუვაიანის დახმარებით მიზნად დავისახეთ ფუნქციონირების
პროცესში ადამიანის ასაკის გათვალისწინებით ხელის მტევნების განსხვავებუ-
ლობის შესწავლა ფილოზოფიულად სხვადასხვა სირთულის მოქმედებაში, რო-
მელიმე მხარის მეტი სიზშირის დინამიურობის განსახილველად.

ექსპერიმენტი

ფუნქციონირების პროცესში გამოკვლევა ჩატარებულია საქართველოში
მცხოვრებ ორივე სქესის 540 ადამიანზე, ფილოზოფიულად განსხვავებულ ფსი-
ქიკურ მოქმედებათა (ძალისმიერი, ჩამრთველის ჩართვა, წერა) შესასწავლად.
ასაკობრივი ცვლილებების გასათვალისწინებლად გამოყვავით სამი ჯგუფი:
7—8 წ., 18—30 წ., 45—82 წ.

ძალების გაზომვა ნაწარმოებია ყოველი დასაკვირვებელი პირისათვის
ხუთ უწყვეტ ეტაპად (თითოეულ ეტაპზე მარჯვენა და მარცხენა მტევნისათ-
ვის) ДРП — 90 დინამომეტრის საშუალებით.

ჩამრთველის ჩართვის პროცესში ერთ-ერთი ხელის გამოყენებას დაეა-
კვირდით 336 ადამიანზე.

წერის დროს მარჯვენა ხელის უპირატესობა შევისწავლეთ დინამიკაში.

ფილოზოფიულად სხვადასხვა სირთულის ფსიქიკურ მოქმედებათა ურთიე-
რთმოქმედების კანონზომიერებების შესასწავლად გამოვიყენეთ ერთ-ერთი
მათგანის (ჩამრთველის ჩართვა) წინასწარი შეჯახება ფილოზოფიულად, რო-
გორც ძველ (ძალოვანი ხუთეტიპიანი დაძაბვა), ისე უახლეს (წერა ორივე ხე-
ლით — მათემატიკური ოპერაცია 6:8; 6:7; სიტყვა „დედა“) ფსიქიკურ აქ-
ტივობასთან.


შედეგები

ხელის მტევნის ძალის კვლევის დროს გაზომვებმა გვიჩვენა, რომ ერთ-
ერთი მტევნის ძალის უპირატესობის შემთხვევები დატვირთვის ზრდის პრო-
ცესში განსხვავებულია (ცხრ. 1).

სახ. 1 საფლავის ძილშიაი მ-
ვაკვანობის (D), მამასაწი-
კ(ს) და მძილესტრის სისზირე წი-
რადევენი %

სი- ზის მე- ტი	1	2	3	4	5
D	68,3	76,3	76,5	78,5	80,2
S	25,9	19,8	17,4	16,5	17,0
A	5,8	3,9	6,1	5	2,8

დასაწყისში მარჯვენა მტევნის სიძლიერე აღინიშნებოდა შემთხვევათა 68,3%-ში; დატვირთვის ზრდასთან ერთად მისი ჭარბი სიძლიერის შემთხვევები გაიზარდა და მეხუთე ეტაპზე მარჯვენა მტევანი ძლიერი აღმოჩნდა შემთხვევათა 80,2%-ში. აღნიშნულთან ერთად მარცხენა მტევნის ჭარბი სიძლიერისა და ორივე მტევნის თანაბარი სიძლიერის შემთხვევები შემცირდა (ნახ. 1).



ასაკის გათვალისწინებით აღინიშნება მარჯვენა მტევნის ჭარბი სიძლიერის შემთხვევების გაზარდა 18—30 წლის ასაკში 7—8 წლის ასაკთან შედარებით, როგორც დატვირთვის დასაწყისში, ისე მის ბოლოს (ცხრ. 2, 3; ნახ. 2, 3). 45—82 წლის ასაკში მარჯვენა მტევნის ჭარბი სიძლიერის სისზირე ეცმა 7—8 წლის ასაკზე უფრო დაბლა, როგორც დატვირთვის დასაწყისში, ისე მის ბოლოს (ცხრ. 4, ნახ. 4).


ჩამრთველის ერთი ხელით ჩართვის ერთჯერადი კვლევის დროს ნათელი გახდა მარჯვენა მტევნის გამოყენების შემთხვევების სიჭარბე 91,1%-ში, რაც მეტია ძალის მიხედვით მემარჯვენეობის მაჩვენებელზე.

წერის შესწავლის დროს წერითი დატვირთვისა და ასაკის ზრდის პროცესში არ აღინიშნებოდა მარჯვენა მტევნის გამოყენების სიხშირის ცვლილებები. დომინანტური ხელის მტევნის გამოყენების სიხშირე ორივე ასპექტში მდგრადია — თითქმის 100% (ნახ. 5,6).

სხ. 2 7-8 წ. ასაკის ბავშვთაში D, S, A სიხშირე პროცენტში

სიხშირე	1	2	3	4	5
D	67,6	80	75,7	80	81,4
S	23,3	14,3	17,1	13,3	15,7
A	9,1	5,7	7,2	6,7	2,9

ხელის მტევნის ძალისა, ჩართვაში და წერაში მონაწილეობის ანუ ფილოგენეზურად განსხვავებული ფსიქიკურ აქტივობათა ურთიერთშედარებით გამოვლინდა ფსიქიკური მოქმედების გართულებასთან ერთად მარჯვენა და მარცხენა ხელის მტევნების განსხვავებულობა, კერძოდ, საზოგადოების მიერ გამოყენებული მარჯვენა ხელის მტევნის რაოდენობა იზრდება. ფილოგენეზურად რაც უფრო ძველია ფსიქიკური აქტივობა, მისი ერთ-ერთი ხელით რეალიზაცია მით ნაკლებადაა ლატერალიზებული მემარჯვენეობისაკენ.




ყურადღებას იქცევს ფილოგენეზურად განსხვავებული ფსიქიკურ მოქმედებათა სხვა თავისებურებაც. მარჯვენა ხელის მტევნის სიძლიერის სიჭარბის სიხშირე ძალების მიხედვით იცვლება; კერძოდ, ხუთეტიანი დატვირთვის ზრდასთან ერთად მემარჯვენეობის სიხშირე იზრდება, ხოლო ასაკის ზრდასთან

ერთად ჯერ იზრდება, შემდეგ მცირდება. წერაში გამოყენებული მარჯვენა ხელის რაოდენობა არ იცვლება არც წერითი დატვირთვის და არც ჩვენს მიერ შესწავლილი ასაკის მიხედვით. ე. ი. ფილოგენეზურად უფრო ძველი ფსიქიური აქტივობა ხასიათდება მეტი ძვრადობით დატვირთვისა და ასაკის ცვლის მიხედვით, ხოლო უახლესი კი — მდგრადობით ორივე ასპექტში.

ნახ. 3 18-30 წ ასაკის ძალისთარი D, S, A სიხშირე პროცენტული %

დატვირთვალი	1	2	3	4	5
D	74,9	83,4	82,2	84,1	88,3
S	23,9	14,7	12,9	12,3	9,2
A	1,2	1,9	4,9	3,6	2,5

ამგვარად, განვითარების პროცესში სრულყოფილების დასახასიათებლად გასათვალისწინებელია, როგორც გამოყენებული მარჯვენა ხელის მტევნის ჭარბი სიხშირე, ისე ამ სიჭარბის მდგრადობა.



ფილოგენეზურად განსხვავებულ ფსიქიკურ მოქმედებათა ურთიერთკავშირის შესასწავლად გამოვიყენეთ ერთ-ერთი ფსიქიკური აქტივობის შერყევა ფილოგენეზურად უფრო ძველი და უფრო ახალი აქტივობით; კერძოდ, ჩამრთველის ჩართვაში ადამიანების მიერ გამოყენებული მარჯვენა ხელის მტევნის სიხშირის ცვლილება მარჯვენა და მარცხენა ხელის მტევნის ძალისმიერი და წერითი ზემოქმედებით.


ჩამრთველის ჩართვაში მარჯვენა ხელის მტევნის გამოყენების სიხშირეა 91,1%.

ფილოგენეზურად უფრო ძველი აქტივობის — მარჯვენა და მარცხენა მტევნების ხუთეტაპიანი ძალისმიერი დატვირთვის შემდეგ მარჯვენა ხელის



სურ. 4 45-82 წ აქავის ძალისძიარი D, S, A სიხშირე პროცენტული %

აბჯარი ძირითადი	1	2	3	4	5
D	62,9	64,7	71,9	71,3	70,7
S	31,1	31,7	22,2	24,6	26,4
A	6,0	3,6	5,9	4,1	2,9

მტევნის გამოყენების სიხშირე დაეცა 89,9%-მდე ე. ი. ზემოთ ფორმულირებული კანონზომიერება, რომ ფილოგენეზურად ძველი ფსიქიკური აქტივობა ერთ-ერთი ხელით რეალიზაციის დროს ნაკლებად ლატერალიზებულია მემარჯვენეობისაკენ თავს იჩენს მათი შეჯახებისას უფრო ახალგაზრდა ფსიქიკურ აქტივობასთან, კერძოდ, ამ უკანასკნელის მემარჯვენეობის სიხშირეს ამცირებს.



ფილოგენეზურად უახლესი აქტივობის — მარჯვენა და მარცხენა ხელით წერის გამოყენების დროს დაკვირვება ძირითადად გაკეთებულია იმ პირებზე (15), რომლებიც პირველ ჩართვაზე იყენებდნენ მარცხენა ხელს და ხუთეტაპიანი ძალისმიერი დატვირთვის შემდეგ ჩამრთველის ჩართვი-



სას რჩებოდნენ მემარცხენეებად. აღნიშნულ ადამიანებში მემარცხენეობის სიხშირე (100%) წერითი აქტივობის ორივე ხელით გამოყენების შემდეგ დეცა 46,7%-მდე ე. ი. მოცემული ფსიქიკური აქტივობის შეჯახება ფილოგენეტიკურად უახლესთან იწვევს მის მარჯვენა ხელით რეალიზაციის სიხშირის ზრდას. ანუ ტრანსფორმაციის მემარჯვენეობისაკენ.

ნაჩვენები კანონზომიერებები ადამიანის ნერვული სისტემის მარჯვენა და მარცხენა მხარეთა შორის განსხვავებული მოქმედების გამოვლინებაა.

დასკვნები:

1. ძალისმიერი ხუთეტიპიანი ლატვიის პროცესში ზრდასთან ერთად მარჯვენა ხელის მტევნის სიძლიერის სიჭარბის სიხშირე იზრდება.
2. ასაკის ზრდის პროცესში ადგილი აქვს მარჯვენა ხელის მტევნის სიძლიერის სიჭარბის სიხშირის ზრდას, რომელიც მოხუცებულობაში მცირდება.
3. ფსიქიკური მოქმედების გართულებასთან ერთად იზრდება მარჯვენა ხელის მტევნის გამოყენების სიხშირე, ანუ საზოგადოების ფსიქიკური აქტივობის რეალიზაცია უფრო ლატერალიზებულია მარჯვენა მტევნისაკენ.
4. ფილოგენეზში ფსიქიკური მოქმედების გართულებასთან ერთად ადამიანების, როგორც შესაბამისი აქტივობის, ისე ასაკის ზრდის პროცესში მარჯვენა ხელის მტევნების გამოყენების სიხშირე მდგრადდება.
5. ფილოგენეზის რომელიმე ეტაპის ფსიქიკური აქტის შეჯახება ფილოგენეტიკურად უფრო ძველ აქტივობასთან იწვევს მოცემული აქტივობის მარჯვენა ხელის მტევნით რეალიზაციის სიხშირის შემცირებას (უბიძგებს განსხვავებ-

ბის შემცირებისაკენ), ხოლო უფრო ახალ აქტივობასთან შეჯახება კი — მარჯვენა ხელის მტევნით რეალიზაციის სისწორის ზრდას (უბოძგებს განსხვავების ზრდისკენ).

М. Г. ГЕЛДИШВИЛИ

В ПРОЦЕССЕ НАГРУЗКИ ДИНАМИЧНОСТЬ РАЗЛИЧИЙ
 КИСТЕЙ РУК ФИЛОГЕНЕТИЧЕСКИ В РАЗНЫХ ДЕЙСТВИЯХ
 В ВОЗРАСТНОМ АСПЕКТЕ

Резюме

На 540 человек (7—82 лет) исследована динамичность различий кистей рук филогенетически в разных действиях как в процессе нагрузки, так и в возрастном аспекте.

С пятиэтапным увеличением силовой нагрузки частота силового превосходства правой кисти возрастает в следующих пределах: 67,6%—81,4% (7—8 лет), 74,9%—88,3% (18—30 лет), 62,9%—70,7% (45—82 лет), т. е. с предусмотрением возрастных групп характеризуется сначала нарастанием, а затем уменьшением частоты праворукости.

Исследование пользования включателем одной рукой показало превосходство правой кисти в 91,1% случаев.

При исследовании письма частота пользования правой кистью (около 100%) не менялась ни при письменной нагрузке, ни в возрастном аспекте.

С усложнением психического действия частота пользования правой кистью возрастает, т. е. реализация психического акта более латерализована к правой кисти. В филогенезе с усложнением психического действия частота употребления правой кисти стабилизируется при увеличении как соответствующей активности, так и возраста.

Столкновение психической активности определенного этапа филогенеза с более древней активностью вызывает уменьшение реализации правой кистью данной активности (тенденция к уменьшению различий), а филогенетически с более новой активностью — увеличение частоты праворукости (тенденция к увеличению различий).

ლიტერატურა

1. მოსიძე ვ. ტვინის ფუნქციური ასიმეტრია, თბილისი, 1977.
2. უზნაძე დ., შრომები, ტ. VI, თბილისი, 1977.
3. Соллогуб Е. Б. Коровая регуляция движений человека, Л., 1981.
4. Lindsley D. B. Bilateral differences in brain potentials from 2 cerebral hemispheres in relation to laterality and stuttering «J. exper. Psychol.», 1940, vol. 26, № 2, с. 211—255.
5. Tucker D. M. coll., Right hemisphere activation during stress «Neuropsychol» 1977, v. 15, p. 697—700.
6. Wolanski N., об. Гусева И. С., Динамометрия кисти детей 3—7 лет. Архив анатомии, гистологии и эмбриологии, т. L., № 3, 1966, с. 90—94.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

დ ი ს კ უ ს ი ა

ზოგზრიდ პოლკასტი

(დრეზდენი)

არსებობს თუ არა ქართული რენესანსი?

შენიშვნები საღამო პროზაზე

შალვა ხიდაშელმა მნიშვნელოვანი და შინაარსით მდიდარი წიგნი დაწერა¹. მის მიერ ნეოპლატონიზმის შეფასება ვდრ მარქსისტი ფილოსოფოსებისთვისაც სავსებით ორიგინალურია. ჩვენში ზოგიერთი ჯერ კიდევ იცავს ისეთ პოზიციას, რომელიც ნეოპლატონიზმს ძალზე „მარჯვნივ“ გადასწევს². მე ხიდაშელს ვეთანხმები, რომ ნეოპლატონიზმი წარმოადგენს ვ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ საფუძველს რენესანსის პროგრესული ფილოსოფიური აზროვნებისათვის. მაგრამ ვაღა-მწყვეტი არ ნიშნავს ერთადერთს. მის საფუძველებს მიეკუთვნებიან, აგრეთვე, ოპოზიციური მისტიკა, პეტრედოქსული არისტოტელიზმი და სტოიციზმი³. ნეოპლატონიზმის გადამწყვეტი მნიშვნელობა მეცნიერულად ისე დამაჯერებ-ლადაა დაფუძნებული, რომ ყოველი სხვაგვარი მტკიცება ამ კვლევით მოპოვე-ბული პოზიციიდან უნდა იქნეს განხილული. რასაც ხიდაშელი XI და XII სს. საქართველოში ფილოსოფიის თაობაზე წერს, რამდენადაც ვიცი, გერმანიაში არაა ცნობილი. შოთა რუსთაველის ფილოსოფიაზე ცოტა იციან. გურამ თევზა-ძის ღირსეული გარჯის შედეგად იწყება იოანე პეტრიწის ღიღი მნიშვნელობის აღიარება⁴. მოკლედ ჩვენს წინაა ინფორმაციული და მნიშვნელოვანი წიგნი. მიუხედავად ამისა, მინდა ჩემი ეჭვები გაგიზიაროთ. ისინი ეხებიან სათაურს — „ქართულ რენესანსს“ და ყველაფერს იმას, რაც მასთან კავშირშია.

რას ნიშნავს ქართული რენესანსი? შესავალში ხიდაშელი იმოწმებს ნ. ი. კონრადს და ვ. მ. ეირმუნსკის, რომლებიც იცავენ აღმოსავლეთის და კერძოდ, XI—XII სს. ქართული რენესანსის თეორიას. აქედან გამომდინარე, ხიდაშელი სხვა შრომებშიც, ამ ცნებას ისე იყენებს, თითქოს იგი თავისთავად ცხადი იყოს. შ. ნუცუბიძეზე მითითებით იგი ხაზს უსვამს, რომ: „აღმოსავლეთის რენესანსის თეორია შეიძლება და დაფუძნებულიყო აღმოსავლეთში და დასავლეთში ამ კულტურულ-ისტორიული მოვლენის იდეურ თავისებურებათა ერთიანობის დადგენის გზით“⁵. ხიდაშელი დიდ მნიშვნელობას აძლევს ღირე-ბულებით პრობლემებს და მას უშუალოდ უკავშირებს ჰუმანიზმისა და რენე-სანსის საკითხს. მაგრამ ამით იგი რჩება ზედნაშენის სფეროში. საკმარისია ეს რენესანსის ე პ ო ჭ ი ს დასახასიათებლად? ხიდაშელი განაგრძობს: რენესანსის, როგორც კულტურულ-ისტორიული პროცესის არსი შეიძლება გამოგვეხატა, „როგორც მოძრაობა მიწიერი სამყაროსა და ადამიანის მიწიერი არსებობის ნე-გაციიდან, მათი ღირებულებისა და მნიშვნელობის აღიარებისა და დაფუძნებ-საყენ“⁶. ეს მეც მიმანია ამ ღიღი მოძრაობის გადამწყვეტ ასპექტად.

ხიდაშელის აზრით, IV ს. 30-იან წლებში, ქრისტიანობის მიღებით, საქარ-თველოში იწყება ორი კულტურის ურთიერთგადაკვეთა: წარმავალი ანტიკუ-რობის და ამომავალი შუა საუკუნეების. საკმაო ფაქტებია მოყვანილი იმისა-თვის, რომ იმდროინდელ საქართველოში ანტიკურ ტრადიციათა უწყვეტობაზე ვილაპარაკოთ⁷. დასავლეთ ევროპაში კი სულ სხვაგვარადაა საქმე! აქ რენესან-

სის დასაწყისისათვის წარმოგვიდგება ამპუტირებული ანტიკური ტრადიცია, და, ამდენად, რენესანსი ნამდვილი ალორძინებაა. მართალია ხიდაშელი ლაპარაკობს შუა საუკუნეების საქართველოში დასავლეთის ანალოგიური საზღვრო პოზიციების და მსოფლმხედველობის არსებობის შესახებ, მაგრამ, ამავე დროს, საქართველოში ჩანს ანტიკურობის უწყვეტი აწყობა.

ი. ბურკჰარდტზე ხიდაშელი ხშირად „მიგვანიშნებს“. მას მოყავს ბურკჰარდტის სიტყვები იმის თაობაზე, რომ „რენესანსის მსოფლმხედველობა“ უპ. ყოველია „ბუნებისა და ადამიანის შესახებ ახალ შეხედულებათა, იდეათა და განზრახვათა დიდი მოძალების შედეგად“ წარმოიშობა, და აღგვს, რომ ასეთი ვითარება იყო XI და XII სს. საქართველოში⁸. მაგრამ არის კი ანალოგიები დამაჯერებელი და რამდენად? ხომ არა გვაქვს საქმე გაფართოებულ ანალოგიასთან, ანდა შეცდომასთან ანალოგიით დასკვნაში? მართალია ავტორი დაწერილებით გვიჩვენებს ცვლილებებს მაშინდელი საქართველოს ეკონომიურ ბაზისში⁹, ლაპარაკია სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე, ვაჭრობის და ფულადი მიმოქცევის არაჩვეულებრივ გაფართოებაზე, და ა. შ. მაგრამ ეს განვითარებული ფეოდალიზმი იყო თუ უკვე დაღმავალი? ყალიბდებოდა უკვე ბურჟუაზია? ხიდაშელი ამაზე დეტალურად არ ჩერდება, მისი ანალოგიის სრულყოფისათვის კი ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. რადგან მის მიერ აღწერილი საქართველოს ოქროს ხანა შეიძლება სავსებით განვითარებულ ფეოდალიზმს ეკუთვნოდეს და არავითარი „რენესანსი“ არ იყოს. მე რენესანსის ცნებას დაღმავალ ფეოდალიზმთან ვაკავშირებ და არა მის აყვავების ხანასთან. ამას ქვემოთ უფრო დაწვრილებით ავხსნი. ყოველ შემთხვევაში ეს ასეა დასავლეთ ევროპულ რენესანსისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ზოგიერთ ადრეულ ფორმებს.

მარქსისტული ფილოსოფიის ისტორიას — მიუხედავად უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ზოგი შემაჯამებელი ნაშრომისა¹⁰ — რენესანსის შესწავლის ხაზით დიდი ჩამორჩენა აქვს დასაძლევ. სხვა მეცნიერული დისციპლინები, მაგ. — ლიტერატურისმცოდნეობა ამ საქმეში უფრო წინაა წასული. რენესანსის მეცნიერული სახის დასადგენად მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი შინაარსი და დროითი მონაკვეთის ხანგრძლივობა. ი. მიხელეტისა და ი. ბურკჰარდტის, ე. ა. გობინოსა და ფ. ნიცშეს შემდეგ აუცილებელი გახდა პოზიციის გარკვევა ალტერნატივის მიმართ: რა უნდა იქნეს უპირატესად აღიარებული მეცნიერული ღირებულებითი მსჯელობის თვალსაზრისით რენესანსის ძირითად იმპულსად საერთო-ამქვეყნიური, თუ რელიგიურ-იმქვეყნიური. რენესანსი და ჰუმანიზმი მკიდრო კავშირშია. ამას ხიდაშელიც ხაზგასმით აღნიშნავს. ამ კავშირის მნიშვნელობა შემდეგი მაგალითიდან ჩანს: XX ს. შუა წლებამდე იმ აზრისა იყვნენ, რომ ჰუმანიზმს ბუნებისმეცნიერებანი არც კი აინტერესებდა, რომ თავად ბუნებისმეცნიერებანი, ერთი მხრივ, მაღალ და გვიანდელ შუა საუკუნეებს, და, მეორე მხრივ, გ. გალილეის, ვ. ჰარვეისა და რ. დეკარტეს შორის არსებულ პერიოდში, გაიყვნენ. „მაგრამ უკანასკნელი ათეული წლების კვლევაძიებამ გვიჩვენა, რომ ჰუმანიზმს არსებითი წვლილი ჰქონდა მეცნიერების თანამედროვე ცნების ჩამოყალიბებაში და, რომ, ე. წ. „მეცნიერული რევოლუციის“ ფეხები რენესანსშია გადგმული“¹¹. ალქიმია, თეთრი მავია, ასტროლოგია, კაბლა და ა. შ. დღეს სულ უფრო პოზიტიურ შეფასებას იმსახურებენ. თანამედროვე მეცნიერებაში ექსპერიმენტი პირველად ალქიმის გზით შემოდის¹². ნეოპლატონიზმს რენესანსის დროის ბუნებისმეცნიერებისათვისაც გადა-

მწვეტი მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად იმგვარი შედეგებისა, როგორც იყო იმპეტუსის თეორია XIV საუკუნისა XV და XVI სს. მექანიკაში, პერსპექტივის, სტატიკის, ბალისტიკის და ა. შ. ცალკეულ კანონებში, რაც მაშინდელ ხელოვანთ, ტექნიკოსებს და არქიტექტორებს გამოჰყავდათ. ეს შედეგები რენესანსის კულტურისათვის ნაკლები მნიშვნელობისა იყვნენ, ვიდრე „ბუნების კანონის მაგიური ცნება რენესანსში“¹³. ამ ცნებას იცავდნენ მ. ფიჩინო, ჯ. პიკო დელა მირანდოლა, აგრიპა ნეტესპაიმელი, პარაცელსი, ჯ. ბრუნო და მრავალი სხვა. იგი ნეოპლატონური და, ამდენად, პანთეისტურია. სამყაროს გამსჭვალავი ყოველი ძალა და მდინარეა შეიძლება აღამიანის სამსახურში იქნეს ჩაყენებული. ეს უპირატესად ზდება თილისმის დახმარებით. ბრუნო, ფიჩინო და სხვები მთელს წიგნებს ავსებენ ამგვარი თილისმების სიით, ახსნიან მათ ზემოქმედებას, ასევე, მათი დამზადებისა და გამოყენების წესს. სურათებმა და ფიგურებმა, რიცხვებმა, სიტყვებმა, სიმღერებმა შეიძლება მაგიური ძალა მიიღონ. რენესანსის მაგიზმში ყოველი მოვლენა გაიგება როგორც სუბსტანციური და პერსონული ერთსა და იმავე დროს, ჰუნბერის აზრით, რენესანსის დროს ბუნების კანონის მაგიური ცნება წარმოადგენს ანტიკური ლოგოსისა და მითოსის ცნებების სინთესს. იგი სწორად აღნიშნავს, რომ „საზოგადოებაში ჯერ ბუნების მაგიური გაგება შეიჭრა ღრმად და ძალუმად აღანთო სულნი, მან შექმნა მგზნებარე სურვილი აევით ერთიანი სისტემა, როგორც საფუძველი ბუნებაზე გაბატონებისათვის. მხოლოდ ამგვარი წარმტაცი სისტემის ზეგავლენით შეიძლებოდა განვითარებულიყო ბუნების მათემატიკური ცნება ზოგად თეორიულ საფუძველზე, რომელიც განსხვავებით მანამდელისაგან, მხოლოდ ცალკეული საკითხების, ანდა მათემატიკური გასართობების ამოსახსნელად როდი იყო გამოიხსნილი. რა პარადოქსულადაც არ უნდა ეღერდეს, მაინც ასეა: ბუნების კანონის დაფუძნებულ მათემატიკურ-ფუნქციონალურ ცნებას მხოლოდ მისი მაგიური ცნების გზით მიაღწიეს. ამის შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდა იმპეტუსის თეორია, ორეზმის, ასევე იორდანუსის მოწაფეების ნაშრომები, მეტიც... ხელოვანთა, ტექნიკოსთა და არქიტექტორთა ნაშრომები ბუნების შესახებ სავესებით ახალი მეცნიერებისათვის ან მისი ხელახალი აღმოჩენისათვის გამოეყენებიათ“¹⁴.

ესეც და მრავალი სხვაც უნდა იქნეს გააზრებული, როცა ჩვენ რენესანსზე და ჰუმანიზმზე ვლაპარაკობთ. რენესანსის ბურჟუაზიულ კვლევაში II მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ეპოქა დაიწყო. „მისი ყველაზე თვალსაჩინო კრიტიკური შეჯამება, ინსტიტუციონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია“¹⁵. შეჯამება აისახება უპირველეს ყოვლისა ფილოსოფოსთა, ისტორიკოსთა, თეოლოგთა, რომანისტთა, ლათინისტთა, კომპარატივისტთა, და ბოლოს, გერმანისტთა სამეცნიერო ანგარიშებში, რაც რაოდენობრივად და თვისობრივადაც იზრდება. მხოლოდ ევროპაში რენესანსის კვლევის 9 ცენტრი მაინც არსებობს¹⁶. ინტერნაციონალიზაცია არაჩვეულებრივად განვითარდა. განუწყვეტელი კონგრესები, სიმპოზიუმები, დიალოგები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა შორის კვლევის ისეთ ყოველდღიურობად იქცა, რომელიც თავისთავად იგულისხმება. რენესანსის მარქსისტულმა კვლევამ ყოველივე ეს უნდა გაიზაროს, გადაამუშაოს.

ვალტერ დიკსთან ერთად მე მინდა დავადგინო, რომ რენესანსი, როგორც ისტორიული პროცესი აღნიშნავს „ადრეული ბურჟუაზიული რევოლუციის წინა დღის იდეოლოგიური და იდეოლოგიურ-

ისტორიული პროცესების შინაარსსა და ფორმებს. ეს პროცესი იწყება (!—ზ. ვ.) სრულად განვითარებული ფეოდალიზმის გვინდელ საფეხურზე, მაგრამ მისი უმნიშვნელოვანესი ეტაპები, როგორც მიზეზობრივად, ისე გამოვლენის თვალსაზრისით, დაკავშირებულია ფეოდალიზმის დადმავლობის დასაწყისთან და გრძელდება ადრეულ ბურჟუაზიულ რევოლუციებამდე¹⁷. ამდენად, რენესანსი წარმოადგენს გარდამავალ პერიოდს, რომლის საკუთარი ღირებულება რელატიურია. ენგელსის თანახმად, „რენესანსი მისი ევროპული ფორმით ფეოდალიზმის საყოველთაო დაცემას და ქალაქების აყვავებას“ ემყარება¹⁸. რენესანსი, ჰუმანიზმი, რეფორმაცია და, ამდენად, ადრეული ბურჟუაზიული რევოლუცია ეპოქის თვალსაზრისით ერთ ერთიანობას ქმნიან. ტერმინები „ჰუმანიზმი“ და „რენესანსი“ არიან „არა მარტო შედარებადნი, არამედ განუყოფელნიც. ისინი ურთიერთმიმართებაში სხვადასხვა ელფერს ავლენენ და ერთმანეთში გადადიან, ჰუმანიზმი შეიძლება გაგებული იქნეს არა როგორც რენესანსის ერთი მხარე ანდა ეტაპი, არამედ როგორც მისი მთელი სოციალ-კულტურული სამყაროს შინაგანი დანიშნულება. რენესანსი კულტურის ჰუმანიტური ტიპია, ხოლო ჰუმანიზმი რენესანსული და მხოლოდ რენესანსული ფენომენია“¹⁹. ცხადია, ეს სწორია მხოლოდ რენესანსული ჰუმანიზმის და არა საერთოდ ჰუმანიზმის მიმართ!

რენესანსის ამგვარი გადამწყვეტი ობიექტივაციები, უთუოდ ზედნაშენური მოვლენებია, მაგრამ მათი საბოლოო განმსაზღვრელი წარმოების ახალი წესის მოთხოვნებითაა განპირობებული. რენესანსის გამოვლენის ფორმათა მთელი განსხვავების მიუხედავად — რომელთაც ასევე, ს ა ბ ო ლ ო ა ნ გ ა რ ი შ შ ი, წარმოებით ურთიერთობებში აქვთ ფესვები — რენესანსის არსებას და გამოვლენის ფორმას. „გამოხატავენ ძირითადად მუდამ მისი ო რ მ ა ვ ი ხ ა ს ი ა თ ი თ, როგორც საზოგადოებრივ მოძრაობას და როგორც ისტორიულად გარდამავალ პერიოდს“²⁰. მე დიცეს არგუმენტაციას ვეთანხმები ასეთი ასპექტითაც: „კ ი თ ხ ვ ა ზ ე... რამდენი „რ ე ნ ე ს ა ნ ს ი“ ა რ ს ე ბ ო ბ ს, შ ე ი ძ ლ ე ბ ა კ ო ტ ე გ ო რ ი უ ლ ა დ ვ უ პ ა ს უ ხ ო თ — ე რ თ ი“²¹. ბურჟუაზიულ ლიტერატურაში დიდი ხანია ცდილობენ დაადგინონ „თეოდოსიური“, „კაროლინგური“, „ოტონური“, ანდა XII ს. რენესანსი²². ისინი კაროლინგების, ისევე როგორც ოტონთა განმანათლებლურ მოღვაწეობას წარმოადგენენ როგორც ანტიკურობის პირდაპირ გაგრძელებას და მიბაძვას. ამასთან კაროლინგულმა, თუ ოტონურმა ლათინურობამ გაამარჯვებინა სწორედ იმ საეკლესიოდ ორიენტირებულ ფეოდალურ კულტურას, რომელსაც სასტიკად უპირისპირდებოდა რენესანსი.

რენესანსის ცნების გამრავლების ცდის მრავალი სხვა ვარიანტიც არსებობს. ამისათვის ქრონოლოგიური გადაადგილებაც გამოიყენება. როგორც ცნობილია, ფეოდალიზმი მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში შეუდარებლად დიდხანს ბატონობდა, ვიდრე შუა და დასავლეთ ევროპაში. ამიტომ ადგენენ გამოწვევის, ლაპარაკობენ თითქოსდა „დაგვიანებულ“ რენესანსზე, მაგრამ დიახაც საეჭვოა „რენესანსის“ მიყენება რუსეთის ისტორიაზე და ლაპარაკი, ერთის მხრივ, სინქრონულად გაგებულ „ადრეულ რენესანსზე“ (XIV ს. დასარული და XV ს. დასაწყისი), მეორე მხრივ, საკუთრივ რენესანსზე კანტემირიდან და მ. ვ. ლომონოსოვიდან დაწყებული პუშკინამდე²³. „რენესანსის“ ცნება საპატრიოა. მრავალ ხალხს სურს ჰქონდეს რენესანსი. მაგრამ სადაც არაფერია, იქ საკმაოდ არაფერია, თუ სინამდვილეს ძალას არ დევატანთ.

არც ჩვენში და არც ბურჟუაზიულ მეცნიერებაში აქამდე არ არსებობს ნათელი აზრი იმის თაობაზე, თუ როდის იწყება და როდის თავდება რენესანსი. ბურჟუაზიულ მეცნიერებაში მოცემული ლაბილარული სამსაფეხურიანი დაყოფა: ადრინდელი რენესანსი — ტრეჩენტო, მაღალი რენესანსი — კვატროჩენტო, გვიანი რენესანსი — ჩინკვეჩენტო მეცნიერული მიზნებისათვის საკმარისი არაა. უდავოა რომ რენესანსი ევროპაში ერთდროულად არ მიმდინარეობდა. იტალიაში იგი შეიქმნა XIII ს., გერმანიაში XV ს. შუა წლებში, ინგლისში XVI ს. მთელი ამ მოძრაობის უმაღლესი მწვერვალი რომ XV ს. დასასრულს ემთხვევა, ეს, ი. ბურჟუაზიული რენესანსის შემდეგ გაბატონებულ აზრად ითვლება²⁴. რენესანსის წინა ისტორია და შედეგები შემდგომ კვლევას მოითხოვენ.

ხაზგასასმელია, რომ რენესანსი მულტინაციონალურია, მიუხედავად მისი გამოვლენის ფორმების ნაციონალურობისა. ეს მცირედ როდია განპირობებული საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში „კავშირით“. როცა XVI ს-იდან XVII ს-ზე გადავსვლით ეს კავშირი იკარგება, რენესანსიც, როგორც რალაც ერთიანი, არსებობას წყვეტს. რენესანსის დროს თანამედროვე ერები არ არსებობდნენ, მაგრამ რენესანსმა მათ ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეიტანა. რენესანსი ეწოდება, აგრეთვე, წინააღმდეგობათა გარკვეული რიგის შედეგს. აღნიშნული ფაქტი ერთ-ერთია მრავალთაგან, თუმცა არც უმნიშვნელო. რენესანსი ევროპაში არც იტალიურის ფილიაციით და არც გერმანულ-რომანული სფეროთი არ შემოიფარგლება: „რენესანსის მულტინაციონალურ ბუნებაში შინაგანი სტრუქტურა და შინაგანი დინამიკა ქმნიან მისი განვითარების პოლიცენტრიულ პროცესს. საწარმოო ძალების და ნაციონალურ კონსოლიდაციითა განვითარების ტემპის განსხვავება, ცალკეულ მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ფილოსოფიასა და ლიტერატურაში, თეორიასა და პრაქტიკის არათანაბარი ფორმირება იწვევენ კულმინაციის მრავალ პუნქტს, რომელნიც ადგილითა და დროით, თვისებრივით და ჩამოყალიბებით, მრავალი ცალკეული მახასიათებლით ძალზე განსხვავებული არიან“²⁵. აქ ამაზე მხოლოდ მითითება შეიძლება, სათანადო ლიტერატურაში ეს მოვლენები მრავალგზის დასაბუთებულა.

საკითხი იმის თაობაზე, ევროპის გარეთაც იყო თუ არა რენესანსი, ბურჟუაზიულ მეცნიერებს აშკარად ნაკლებად აქვთ ნაკვლევი²⁶. ამ მხრივ ცვლილება პირველად მარქსისტულმა კვლევამ მოგვიტანა, მაგრამ, ამასთან ერთად, — მოგვიტანა პრობლემებიც. ერთი მხარე უარყოფს, მეორე ასაბუთებს არაევროპული რენესანსის არსებობას. ევროპული რენესანსის არსებობას ორივე აღიარებს. არაევროპული რენესანსის დამცველთა არგუმენტაციის ძირითადი ხაზი ისაა, რომ „ძალზე ფართო მოცულობის კულტურული განვითარების პროცესები დადგენილი იქნეს ურთიერთშესაბამისობაში, მის საერთო განვითარებაში, როგორც ევროპული რენესანსის მსგავსი, ანდა სულაც, დაბოლოს, თეორიული წინამძღვრის დონემდე იქნეს აყვანილი დიდი ინტერნაციონალური, მთელი ევროპული სფეროს მომცველი მიზეზობრივი კავშირის არსებობა რენესანსის საქმეში“²⁷. არაევროპული რენესანსის დამცველთა და მოწინააღმდეგეთა დისკუსია ძალზე მტკიცე, ინტენსიური და ჭარბად დაუსრულებელია. მაგრამ თუ კონკრეტულად ჩვენ ვხედვით აზრს ევროპაში რენესანსისა და აზიაში „რენესანსების“ თაობაზე და ა. შ. ზოგიერთ ავტორთან ეს პოზიცია იქცევა კონკრეტულად იმაზე, რომ საერთოდ მთელს ევროპაში არ არსებობს მნიშვნელოვანი ლიტერატურა, რომელსაც რაიმე რენესანსი არ შეექმნას. ასე მივდივართ თავისე-

7. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, № 1

ბურ „მსოფლიო რენესანსამდე“, რენესანსამდე, როგორც საყოველთაო ისტორიულ კანონზომიერებაამდე. ეს მე უსაფუძვლო მეჩვენება. ასე ჩვენ მივალთ რენესანსის ცნებაამდე, რომელიც ძალაში იქნებოდა VIII-დან XIX ს-მდე (მაგ., კარლოს დიდი და პუშკინი). მარქსიზმში — და არა მხოლოდ მასში — რენესანსი გვესმის, როგორც გარდამავალი პერიოდი და არა როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია. ამ გარდამავალი პერიოდის გავრცელება ათას წელზე აღნიშნულის საწინააღმდეგო იქნება, თუნდაც მსოფლიო ისტორიული განზომილებით ... „რადგან ლაპარაკი უნდა იყოს ან იმ „რენესანსზე“, რომელსაც ფაქტურად არ მიეწერება ისტორიულად გარდამავალი პერიოდის არსებითი ნიშანი — ე. ი. იმაზე, რაც სულაც არაა რენესანსი, ანდა ჩვენ საქმე გვექნებოდა ისტორიულად გარდამავალ პერიოდთან. რომლის გამოვლენის სფერო ზედაპირულად, ნაძალადევად, ანდა ხელოვნურად საერთო მნიშვნელს „რენესანსს“ დაუქვემდებარდებოდა — ე. ი. აქაც არავითარი რენესანსი არ გვექნებოდა. ესაა გადამწყვეტი შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც აუცილებლად დასცემს რენესანსის, როგორც მსოფლიო-ისტორიული კანონზომიერების კონცეფციას²⁸. შემდეგ: რა უნდა იყოს ის საერთო შინაარსი, რომელიც ყველა ამ განსხვავებულ „რენესანსებს“, ერთის მხრივ, იაპონიას, ჩინეთს, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპას ახასიათებს? ამაზე აქამდე არავითარი დამაკმაყოფილებელი პასუხი არა გვაქვს. კონრადისა და შუბაბ., ხიდაშელის მითითება ყველა „რენესანსში“ ჰუმანიზმის არსებობაზე, რაც ამოსავლად ჰუმანიზმის და რენესანსის ერთიანობას გულისხმობს, არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი იყოს. მე კვლავაც ვეთანხმები დიციეს: „რენესანსის, როგორც მსოფლიო-ისტორიული მოვლენის თეორია იმიტომაც არაა მყარი, რომ იგი არ ითვალისწინებს რენესანსის პრინციპულ (ადრეულ) ბურჟუაზიულ კლასობრივ საფუძველს. ამ თეორიას არ ძალუძს მისი ნაყოფიერი თეორიული პრინციპი — მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში გამჭოლი ისტორიული კანონზომიერების არსებობა — ნათელყოს „რენესანსის“ ცნებაზე, რომელიც, როგორც გულმოდგინე დაკვირვებისას აღმოჩნდება, მოკლებულია თავის არსებით შინაარსს და თავის გადამწყვეტ კრიტერიუმს. ისე ჩანს, თითქოს ამ თეორიის აბსტრაქციის მაღალი ხარისხი საერთოდ მხოლოდ იმის ხარჯზეა მიღწეული, რომ მასში სწორი და მცდარი წარმოდგენები ერთმანეთშია არეული და სპეკულატური ნიშნები იმისთვისაა წამოყენებული, რომ (მკაცრად თუ ვიტყვი) ნაძალადევი განზოგადებანი აწარმოონ, სადაც საკუთრივ კონფრონტაციულ, კომპარატიულ მეთოდოლოგიას უდიდესი პერსპექტივები ექნებოდა იმისათვის, რომ შემეცნების თანამედროვე მდგომარეობის ნამდვილად ახალ და, ალბათ, არა ნაკლებ განსაცვიფრებელ გაფართოებად იქცეს. ეს ახალი, წარმატების იმედისმოცემი პრინციპი დიახაც მოუთმენლად ელოდებოდა შემდგომ კვლევას²⁹. მაგრამ ეს არ გამორიცხავს შემდეგი სახის კვლევას: შეიქმნა თუ არა აღმოსავლეთის ლიტერატურაში უკვე საზოგადოებრივი სტრუქტურის ის ელემენტები, რომლებიც ევროპის რენესანსთან შინაარსიერი შედარების უფლებას იძლევიან? როდის მომწიფდა აღმოსავლეთის ფეოდალური წყობილების წიაღში ისეთი საზოგადოებრივი პირობები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან ფილოსოფიის, ხელოვნების, კულტურის, ლიტერატურის და ა. შ. იქ წარმოშობილი მოვლენები, მათი განსხვავებული კლასობრივი საფუძვლის მიუხედავად, კონფრონტაციულ მიმართებაში მოექცეს ევროპული რენესანსის ცალკეულ მოვლენასთან? მაგრამ შესაძლებელი (ანდა სასურველი) არ უნდა

იყოს რენესანსის კვლევაში ევროპოცენტრული პოზიციების გადალახვა უბრალოდ კვლევის ობიექტის „ევრაზიული“ გაფართოებით განხორციელდეს. ამასთანავე, ეს გაფართოება მხოლოდ გადაწყვეა საკითხის, რადგან საბოლოო ანგარიშში, განაზრებათა ამოსავალი პუნქტი ხომ ევროპული რენესანსია. იგია მასშტაბი.

მაგრამ ხიდაშელი ერთადერთი არაა ვინც საქართველოსათვის რენესანსს აღგვის. შ. ნუცუბიძის მიხედვით ხომ დასავლეთევროპული რენესანსის ისტორიაც იტალიაში კი არა, არამედ საქართველოში იღებს საწყისს³⁰. მაგრამ ისიც, მის უაღრესად თვითდაჯერებულ მტკიცებებშიც, ქართული რენესანსისათვის არ იძლევა დამოუკიდებელ დახასიათებას, შინაარსეული საყრდენი იტალიური რენესანსი რჩება. უდავოა, საქართველოში XII ს. არსებობდნენ სულიერი მიმდინარეობანი, რომელნიც თავისი არსებითა და ხასიათით დასავლეთევროპულ რენესანსის პროცესს მართლაც მნიშვნელოვნად შეესატყვისება ან შესაძლებელია დასაბუთდეს სავაჭრო კაპიტალის, პოეზიის გასაერთოების, ჰუმანისტური იდეალების და ნიმუშების არსებობა. მაგრამ არის კი შოთა რუსთაველის გენიალური წიგნი — „გეფხისტყაოსანი“ რენესანსული ნაშრომი, როგორც ამას ნუცუბიძე და ხიდაშელი ფიქრობენ? ეს მაინც მეგვიჭება.

ბატონი უპირისპირდება ნუცუბიძის, ვ. კ. ჩალოიანის და კონრადის შეხედულებებს და მიაჩნია: „სანამ ბუჩაჩაში ჰუმანიზმის და რენესანსის ძებნას დავიწყებდეთ, უნდა შევთანხმდეთ იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენდა ჰუმანიზმი ფლორენციაში... კულტურათა განსხვავებულ სისტემებში მსგავსი ნიშნები სხვადასხვა შინაარსს იღებენ. საერთოდ ისინი რაიმე კონკრეტულ ისტორიულ შინაარსს იძენენ მხოლოდ ყველა იმ დანარჩენ „ნიშნებთან“ მიმართებაში, რომლებთანაც ისინი გენეტურად და სინქრონულად არიან კავშირში და ერთ სოციალურ და სულიერ მთლიანობას ქმნიან. და სწორედ ესაა პრობლემის ბირთვი“³¹.

ა. დ. ლოსევის თანახმად, ქართველი მოაზროვნეები, ევროპაში ნეოპლატონური და ნეოარეოპაგისტული რენესანსის წამომწყები არიან და ამ ასპექტით პრიორიტეტი მიეკუთვნებათ³². ქართველმა მოაზროვნეებმა რომ ეს მემკვიდრეობა შემდგომთ გადასცეს და უბ. ყოვლისა დიაცვეს იგი — ეს საკამათო არაა. საქართველოს შეუძლია იამაყოს იმ შედეგებით, რომლებსაც XI და XII სს. ამ საფუძველზე მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა მიადწიეს, მაგრამ განა ზუსტი იქნება ეს ფაქტი „რენესანსის“ ცნებით აღენიშნოთ? ხიდაშელი ამას აკეთებს და მე ეს პრობლემატური მეჩვენება.

შენიშვნები

1. Ш. В. Хидашели, Вопросы грузинского Ренессанса. Тбилиси, 1984.
2. Vgl. H. Seidel, Aristoteles und der Ausgang der antiken Philosophie. Berlin, 1984, S. 179—185. Philosophisches Wörterbuch. Hrsg. von G. Klaus und M. Buhr. 11. Aufl., Bd. 2, Leipzig, 1975, S. 865.
3. Vgl. G. Abel, Stoizismus und frühe Neuzeit. Zur Entstehungsgeschichte modernen Denkens im Felde von Ethik und Politik, Berlin (West) — New York, 1978, S. 43—66.
4. Vgl. G. Tewsadse, Johannes Petrizi, in: Philosophenlexikon, Hrsg. von E. Lange und D. Alexander, 3. Aufl., Berlin 1984, S. 447.

5. Ш. Б. Хидашели, Вопросы грузинского Ренессанса, с. 4; Ш. В. Хидашели, Проблема неоплатонизма в трудах А. Ф. Лосева (см. А. Ф. Лосеву к 90-летию со дня рождения. Тбилиси, 1983, с. 28).
6. იქვე.
7. იქვე, გვ. 8.
8. იქვე, გვ. 23. Vgl. J. Burckhardt, Die kultur der Renaissance in Italien. Mit einem Geleitwort von W. Rode, Berlin, 1928, S. 496.
9. იქვე, გვ. 23—24.
10. Ср., А. Х. Горфункель, Философия эпохи Возрождения. М., 1980; В. В. Соколов, Европейская философия XV—XVII веков, М., 1984, S. 8—192.
11. A. Buck, Einleitung, in: Die Antike—Rezeption in der Wissenschaften während der Renaissance, hrsg. von A. Buck (K. Heitmann, Weinheim, 1931, S. 1).
12. Vgl. M. Heidelberger (S. Thiessen, Natur und Erfahrung. Von der mittelalterlichen zur neuzeitlichen Naturwissenschaft, Reinbek bei Hamburg, 1981).
13. K. Hübner, Der Begriff des Naturgesetzes in der Antike und in der Renaissance, in: Die Antike—Rezeption in der Wissenschaften während der Renaissance. S. 13.
14. იქვე.
15. W. Dietze, Raum, Zeit und Klasseneinheit der Renaissance. Prolegomena zu einem Forschungsbericht. Berlin, 1974, S. 11.
16. სისრულეზე პრეტენზიის გარეშე: ბრიუსელი (რენესანსის და ჰუმანიზმის კვლევის ინსტიტუტი), ზუდაპეშტი (რენესანსის კვლევის ცენტრი უნგრეთის მეცნ. აკადემიასთან), ფლორენციისში (რინოსჩიმენტოს შემსწავლელი ნაციონალური ინსტიტუტი ჟურნალით: „რინოსჩიმენტო“, 1950 წლიდან), კიოლნი (პეტრარკას ინსტიტუტი), ლიგე (რენესანსისა და რეფორმაციის ისტორიის ინსტიტუტი), ლონდონი (ვარბურგის ინსტიტუტი ჟურნალით: „ვარბურგისა და სამეფო ინსტიტუტის ჟურნალი“, 1937 წლიდან), ლუვენი (კათოლიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიური სემინარი ჰუმანიზმზე), მიუნსტერი/ვესტფ. (ერაზმის ინსტიტუტი), პარიზი (ტექსტის ისტორიის კვლევის ინსტიტუტი).
17. W. Dietze, Raum, Zeit und... S. 13—14.
18. F. Engels, Zum „Bauerkrieg“, in: Marx, Engels, Werke, Bd. 21. B. 1962, S. 403.
19. L. M. Batkin, Die historische Gesamtheit der italienischen Renaissance. Versuch einer Charakterisierung eines Kulturtyps, Dresden, S. 21, 1979.
20. W. Dietze, Raum, Zeit und... S. 17.
21. იქვე.
22. Vgl. z. B.: H. Naumann, Karolingische und ottonische Renaissance, o. O. Frankfurt /M., o. J. 1926.; Wörterbuch der Antike mit Berücksichtigung ihres Fortwirkens. 6. Aufl. Stuttgart 1963. Ch. H. Haskins, The Renaissance of the XII Century Cambridge (Mass. 1927; E. Panofsky, Renaissance and Renascence in Western Art, Stockholm 1960; Chr. Brooke, The XII Century Renaissance, London, 1969; R. Newwald, Nachleben des antiken Geistes im Abendland bis zum Beginn des Humanismus, Tübingen, 1960.
23. Ср. А. И. Белецкий, Русская литература и античность. Тезисы в заимодействие и взаимосвязь национальных литератур, М., 1961, с. 174—179. S. Lichatschow, Die Kultur Rußlands während der osteuropäischen Frürenaissance vom 14. bis zum Beginn des 15. Jahrhunderts, Dresden, 1962, S. 16—21. Ähnlich für Bulgarien bei: Ch. Gandev, Die antike Kultur in der Zeit der bulgarischen nationalen Wiedergeburt (1780—1877), in.: Renaissance und Humanismus in Mittel—und Osteuropa, Eine Sammlung von Materialien, besorgt von. J. Irmischer, Berlin. 1962, Bd. I, S. 363—371.
24. J. Burckhardt, Die Kultur der Renaissance... S. 498.
25. W. Dietze, Raum, Zeit und... S. 31.
26. Vgl. A. Mez, Die Renaissance des Islams, Heidelberg, 1922; Ср. обзор И. С. Бра-

- гниского—„К историографии Ренессанса, в Теоретические проблемы восточных литератур. М., 1969, с. 400 и д.
27. W. Dietze, Raum, Zeit und... S. 38.
28. W. Dietze, Raum, Zeit und... S. 42.
29. W. Dietze, Raum, Zeit und... S. 42—43.
30. Ш. Нуцубидзе, Руставели и Восточный Ренессанс, Тбилиси, 1947.
31. L. M. Batkin, Die historische Gesamtheit der italienischen Renaissance, S. 33—34; ähnlich schon A. Buck, Zu Begriff und Problem der Renaissance. Einleitung in: Zu Begriff und Problem der Renaissance, hrsg. von A. Buck, Darmstadt, 1969, S. 29—30. Ср. В. В. Соколов, Европейская философия XV—XVII веков, с. 10.
32. А. Ф. Лосев, Эстетика Возрождения, М., 1978, с. 37, с. 33.

გერმანელიდან თარგმნა ზონა თიხაძე



ზალმა ხიდაშელი

რამდენიმე განმარტება ჩემს წიგნზე ВОПРОСЫ ГРУЗИНСКОГО
РЕНЕСАНСА, Тб., 1984 გამომცემელი შენიშვნების გამო

რეცენზია ეკუთვნის ცნობილ ავტორს, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ფილოსოფიის დოქტორს, დრეზდენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგეს; შესრულებულია სპეციალისტისათვის შესაფერის დონეზე და, ბუნებრივია, იმსახურებს ყურადღებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც იზიარებს წიგნში გამოთქმულ, ხშირად პრინციპულ შეხედულებებს, და მაშინაც როდესაც გამოთქმული მოსაზრებები იწვევს მასში ეჭვს, ანდა პირდაპირ კრიტიკას.

შევახსენებ მკითხველს პატივცემული ვოლგასტის მიერ გაზიარებულ რამდენიმე დებულებას, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ კრიტიკული შენიშვნების განხილვისათვის.

რეცენზენტი იზიარებს შეხედულებას, რომ ნეოპლატონიზმი წარმოადგენს „გადამწყვეტ საფუძველს“ რენესანსის პროგრესული ფილოსოფიური აზროვნებისათვის. მეტიც: „ნეოპლატონიზმის გადამწყვეტი მნიშვნელობა მეცნიერულად ისე დამაჯერებლად და დაფუძნებულად, რომ ყოველი სხვაგვარი მტკიცება ამ კვლევით მოპოვებული პოზიციიდან უნდა იქნეს განხილული“. ეს მით უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია ვოლგასტს, რომ მათთან („ჩვენში“) „ზოგიერთი ჯერ კიდევ იცავს ისეთ პოზიციას, რომელსაც ნეოპლატონიზმს ძალზე „მარჯვნივ“ გადასწევს“. როგორც ჩანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებაში გრძელდება მდგომარეობა, რომელიც ადრე გაბატონებული იყო საბჭოთა მეცნიერებაში*.

ვოლგასტი დადებითად აფასებს იმას, რომ „ხიდაშელი დიდ მნიშვნელობას აძლევს ღირებულებით პრობლემებს და მას უშუალოდ უკავშირებს ჰუმანიზმისა და რენესანსის საკითხს“. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც, რეცენზენტის სიტყვით, „ხაზგასმითაა“ აღნიშნული ჩემს ნაშრომში და ის იზიარებს, ესაა „რენესანსისა და ჰუმანიზმის მჭიდრო კავშირი“.

და ბოლოს, ჩემი გამოკვლევის ერთ-ერთ მთავარ დებულებაზე — რომ რენესანსი წარმოადგენს დაგვირგვინებას იმ კულტურული მოძრაობისა, რომელიც „მიწიერი სამყაროს და ადამიანის მიწიერი არსებობის ღირებულებების ნეგაციიდან“ მიემართება „მათი ღირებულებისა და მნიშვნელობის აღიარებისა

* ერთ-ერთ ასეთ ავტორს, ჰერმან ლეის (H. Ley, Studie zur Geschichte des Materialismus im Mittelalters, Berlin, 1957) ჩვენც შევხვით ამ თვალსაზრისით ნაშრომში Проблемы неоплатонизма в трудах А. Ф. Лосева, Сборник „А. Ф. Лосеву, к 90-летию со дня рождения“, Тб., 1983, с. 43.

და დაფუძნებისაკენ“ — ვოლგასტი წერს: ეს „მეც მიმაჩნია ამ დიდი მოძრაობის გადამწყვეტ ასპექტად“.

ვოლგასტის შენიშვნა, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ეხება ერთს, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხს. მას ეჭვი შეაქვს ქართული რენესანსის არა მხოლოდ არსებობაში, არამედ მის შესაძლებლობაში. საყურადღებოა, რომ რენესანსის ეს კონკრეტული საკითხი რეცენზენტთან ზოგად კრილში დგას — „ევროპის გარეთაც იყო თუ არა რენესანსი?“. პასუხში, რომელიც ამ კითხვაზე გაცემული — „მე ვეთანხმები დიეტეს (W. Dietze) არგუმენტაციას ასეთი ასპექტითაც: „კითხვაზე... რამდენი რენესანსი არსებობს, შეიძლება კატეგორიულად ვუპასუხოთ — ერთი“, ეს „ერთი“ ევროპულ რენესანსს გულისხმობს და, ცხადია, ქართული რენესანსი დასაშვების მიჯნებს იქით რჩება (მთელ აღმოსავლეთ რენესანსთან ერთად, რომელსაც ვოლგასტი საკმაოდ ვრცლად ეხება).

სანამ შენიშვნებს კონკრეტულად შევეხებოდე, ნებას მივცემ თავს ეჭვი გამოვთქვა: როგორ ეგუება ერთი რენესანსის დებულებას რენესანსი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც ვოლგასტის მიერ არც თუ სრული სახით არის წარმოდგენილი: რენესანსი იტალიაში XIII ს-ში, გერმანიაში — XV ს-ის შუა წლებში, ინგლისში XVI ს-ში (რეც., გვ. 97). ანდა დებულება, რომ XVI ს-დან XVII ს-ზე გადასვლისას კავშირი ამ ქვეყნებს შორის იკარგება და „რენესანსიც, როგორც რაღაც ერთიანი, არსებობას წყვეტს“! ხომ არ ადასტურებს ეს ფაქტები იმას, რომ რენესანსი ერთი კი არაა, ერთგვაროვანი მოვლენაა, განხორციელებული სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს!

შევიშნავ იმასაც, რომ მე არ შევეხები რეცენზიაში გამოთქმულ შენიშვნებს საერთოდ აღმოსავლური რენესანსის თეორიაზე. მაგრამ არა იმიტომ, რომ ვიზიარებ მათ, ეს საკითხები სცილდება ჩემი კომპეტენციის ფარგლებს, და რაც მთავარია და უფრო მნიშვნელოვანია, არ არსებობს, ჩემის აზრით, ფაქტობრივი და ლოგიკური კავშირი ქართული და აღმოსავლური რენესანსის თეორიებს შორის. საქართველო არც გეოგრაფიულად და არც კულტურული განვითარებით არ ყოფილა ტიპური აღმოსავლური ქვეყანა. პირიქით, ქართული კულტურა თავისი უძველესი ძაფებით და შუა საუკუნეების პირობებშიც (განსაკუთრებით XI—XII სს-ში) დაკავშირებული იყო ელინურ და რომაულ სამყაროსთან (ადრე უშუალოდ, შემდეგ ბიზანტიის მეშვეობით), და ამ კულტურულ რეგიონს უფრო ეკუთვნოდა. რაც შეეხება აღმოსავლეთთან იდეურ კავშირებს XI—XII სს-ის საქართველოში, ეს კავშირები უფრო მეტად ხელს უწყობდნენ ჰუმანიტური მსოფლმხედველობის წარმოქმნას და ფორმირებას, ვიდრე უშლიდნენ.

საკითხი ეხება ქართული რენესანსის მიმართებას დასავლურთან, მათ შორის ანალოგიების ძიებას.

ვოლგასტი საესებით მართალია, როდესაც წერს: „საბოლოო ანგარიშში, განაზრებათა ამოსავალი პუნქტი — ევროპული რენესანსია, იგი მსსშტაბია“ (გვ. 99) „რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხებში“ (1981 წ.) მე ვწერდი: „ქართული რენესანსის საკითხი დაკავშირებულია აღმოსავლური და განსაკუთრებით დასავლეთის რენესანსის საკითხების გარკვევასთან“. და იქვე:

* ჩემთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე რეცენზენტის მიერ გამოთქმული შეხედულება ნეოპლატონიზმის მკვიდრო იდეური კავშირის შესახებ პანთეიზმთან.



„განსაკუთრებით დასავლეთის რენესანსთან იმ მოსაზრებით, რომ რენესანსის ცნება ამ მოვლენის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე შეიქმნა და ისტორიული მოვლენების ამ თვალსაზრისით შესწავლის თავისებურ კატეგორიად იქცა“ (გვ. 17). ამ ნაშრომს ვოლგასტი არ იცნობს, მაგრამ იცნობს სხვა ნაშრომს, სადაც ნათქვამია: ინტერესის გაფართოება დასავლეთის რენესანსის საკითხებამდე, ბუნებრივი და ლოგიკური იყო შ. ნუცუმბიდის გამოკვლევებში. აღმოსავლეთის და დასავლეთის რენესანსის თეორიის დასაბუთება შეიძლება და რენესანსის იდეურ თავისებურებათა მსგავსების, ზოგადობის დადგენის გზით ერთსა და მეორე შემთხვევაში (Проблемы неоплатонизма в трудах А. Ф. Лосева, Сборник «А. Ф. Лосеву к 90-летию со дня рождения», Тб., 1983, с. 28).

ეს იყო ჩემი კვლევის გზაც. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ევროპული რენესანსი, როგორც ისტორიული ფაქტი, წარმოადგენს საყრდენს რენესანსის ცნების გარკვევისათვის, მაგრამ არა საფუძველს ევროპული რენესანსის ერთადერთ ისტორიულ ფაქტად აღიარებისათვის.

შედეგი, სადამდისაც მივდი, სარეცენზიო ნაშრომში შემდეგნაირადაა ფორმულირებული: შუა საუკუნეების კულტურულ-ისტორიული პროცესის განვითარების „ზოგადი კანონზომიერება... ორივე შემთხვევაში“, ე. ი. დასავლეთშიც და საქართველოშიც, „მიმართულია რენესანსისა და რენესანსული ჰუმანიზმისაკენ“. ხოლო ამ პროცესის „საზრისი შეიძლება გამოიხატოს როგორც მოძრაობა მიწიერი სამყაროს და ადამიანის მიწიერი არსებობის ღირებულების უარყოფიდან, მათი ღირებულებისა და მნიშვნელობის აღიარებისა და დაფუძნებისაკენ“.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, პატივცემული ვოლგასტი სავსებით იზიარებს ამ აზრს. მაგრამ ფიქრობს, რომ ამისი დადგენა ნიშნავს „ზედნაშენის სფეროში“ დარჩენას და არ არის საკმარისი „რენესანსის, როგორც ეპოქის დასახასიათებლად“.

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ჩემს ნაშრომში საკმარისადაა დასაბუთებული „ანტიკური ტრადიციის უწყვეტობა“ საქართველოში. მაგრამ, მისი აზრით, „ევროპაში სულ სხვაგვარადაა საქმე“. რენესანსის დასაწყისისათვის აქ არსებობს მხოლოდ „ამპუტირებული ანტიკური ტრადიცია“, რაც ანტიკურობის უწყვეტლივ განვითარებას გამორიცხავს და ამითაა განპირობებული, რომ ევროპაში „რენესანსი ნამდვილი აღორძინება“ იყო. გამოდის, რომ ნამდვილი აღორძინების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წყვეტილი შეადგენს, რაც, უნდა ვიფიქროთ, ბაზისის „შეჭრით“ არის განსაზღვრული კულტურის განვითარებაში.

ასეთი გაგება, საკმაოდ გავრცელებული ადრე ჩვენს მეცნიერებაშიც, განსაზღვრულია, ჩემის აზრით, არასწორი მეთოდოლოგიური პრინციპით, რომელსაც მთელი ყურადღება შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქების დაპირისპირებაზე გადააქვს და ამ წინამძღვრიდან ამოდის. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მკვეთრ ხასიათს ღებულობს (და იქიდანვე მომდინარეობს) ფრანგ განმანათლებლებთან, რომლებიც, ერთი მკვლევარის მოხდენილი გამოთქმით, ისე უყურებდნენ შუა საუკუნეების მოაზროვნეებსა და მოღვაწეებს, როგორც „ცოცხალ მტრებს“ და „არა როგორც შესწავლის ობიექტს“, გადმოდის იმათგან ჰეგელთან და აღწევს ჩვენამდე. ამგვარი თვალსაზრისი

სწევეტს რენესანსს იმ რეალური ნიადაგიდან, რომელშიც ის ჩაისახა და აღმოცენდა.

მე არა ვფიქრობ ასე (თუმცა ჩემს აღრინდელ ნაშრომებში ამგვარი ტენდანცია იჩენდა თავს). თუ ანტიკურობის თავისებურებას გავიგებთ, როგორც „გრძობადი სამყაროს მშვენიერების ჭეშმარიტად ბერძნულ აღიარებას“ (ე. ვინდელბანდი), და გავითვალისწინებთ, რომ ანტიკური ეპოქის აღამიანი „ყურადღებას ამახვილებდა (ფიქსირავს), პირველ ყოვლისა, ფიზიკურ და სავსებით მატერიალურ სინამდვილეზე“ (ალ. ლოსევი), მაშინ მისი ტრადიცია არ შეიძლება შუამდგომლობა (ალ. ლოსევი), მაშინ მისი ტრადიცია არ შეიძლება შუამდგომლობა (ალ. ლოსევი). შეიზღუდა მისი გამოვლენის საშუალებანი და ფორმები, მაგრამ, როგორც აღნიშნულია ჩემს სარეცენზიო ნაშრომში: «Объективное изучение средневековой культуры и учет всего многообразия ее идей, дает основание утверждать, что, в противоположность... словам Гегеля, земная действительность и человеческое «давали о себе знать» в средние века с такой последовательностью и с такой «настойчивостью», что находили отражение во всех областях культурного творчества» (с. 13—14).

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ შუა საუკუნეების გაბატონებულ შეხედულებებსა და რენესანსს (შესატყვისად — ჰუმანიზმს) შორის არ არსებობს მნიშვნელოვანი, არსებითი განსხვავება. მაგრამ რენესანსის წარმოქმნის პროცესი არის წყვეტილი უწყვეტობაში, ნახტომი ხანგრძლივთან და თანობით განვითარებაში, და ამ ფაქტს არანაკლები მნიშვნელობა აქვს მისი ბუნებისა და კანონზომიერების გაგებისათვის.

რენესანსის ბაზისის საკითხი, საითკენაც ყურადღებას ვოლგასტი მიმართავს, ყველაზე რთული და სადავო საკითხია „ევროპის გარეთ“ რენესანსის თეორიაში. მაგრამ ცნობილია პასუხიც მასზე. უკანასკნელად (ხუთი წლის წინ) ამ საკითხს შეეხო ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ი. ს. ბრაგინსკი: «Концепция «Восточного Ренессанса», обоснованная впервые Ш. И. Нуцубидзе, встретила возражения со стороны некоторых ученых.

Оппонентами выдвигался казавшийся им неопровержимым следующий силогизм социологического (или, точнее, социологизаторского) характера:

Ренессанс — это заря капитализма.

На Востоке в IX—XV вв. капитализма не было.

Следовательно, на Востоке не было и не могло быть в указанный период Ренессанса» (И. С. Брагинский, Концепции «Восточного Ренессанса», за и против. Сборник «Ш. И. Нуцубидзе, к 90-летию со дня рождения», Тб., 1980, с. 84).

დავიმოწმებ მხოლოდ ერთ ადგილს ხსენებული მეცნიერის დასაბუთებიდან «Положение, что Ренессанс является надстроечным, культурным явлением, знаменующим «зарю Нового времени», т. е. раннебуржуазного общества, не вызывает возражений. Однако, в толковании этого утверждения наблюдается упрощенчество... Именно в этом плане такой авторитетный историк, как С. Д. Сказкин, критикует грубое социологизаторство в трактовке Ренессанса, как якобы обусловленного зарождением капиталистических отношений» (там же, с. 93).

მე ქართული რენესანსის იდეამდე ქართული ჰუმანიზმის ცნების გზით და გავლით მივედი და ამიტომ ეს საკითხები თავიდანვე იპყრობდა ყურადღებას. ფილოსოფიის ისტორიული განვითარების კანონზომიერების მაგალითზე ვწერდი: მიუხედავად მრავალგვარი კავშირებისა, რომლებშიც ფილოსოფია (და საერთოდ ამა თუ იმ ეპოქის კულტურის იდეური შინაარსი) იმყოფებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებთან და კერძოდ ბაზისთან, «не подлежит сомнению, что, как писал Энгельс, «философия каждой эпохи располагает в качестве предпосылки определенным мыслительным материалом, который передан ей ее предшественниками и из которого она исходит» (К. Маркс и Ф. Энгельс, Избранные письма, М., 1947, с. 430. Разрядка моя. — Ш. Х.). Таким образом, история философии представляет, прежде всего, единство идейной линии, в которой каждое отдельное звено возникает на почве предыдущего развития и становится предпосылкой, исходным моментом и новой идейной почвой для последующего развития» (Вопросы философии, 1968, 6, с. 127).

ჰუმანიზმიდან რენესანსისაკენ დასკვნების გზა გამართლებულია ჩემის აზრით. მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო საყურადღებო ისაა, რომ ეს გზა გამართლებული უნდა იყოს პატივცემული ვოლგასტისათვისაც, რომელიც იზიარებს ჩემს „ხაზგასმით“ გამოთქმულ დებულებას „რენესანსისა და ჰუმანიზმის მჭიდრო კავშირის“ შესახებ და, უფრო მეტიც, იზიარებს ამ აზრს, გამოთქმულს უფრო კატეგორიული ფორმით: „ტერმინები „ჰუმანიზმი“ და „რენესანსი“ არიან „არა მხოლოდ შედარებითი, არამედ განუყოფელიც. ისინი ურთიერთმიმართებაში სხვადასხვა ელფერს ავლენენ და ერთმანეთში გადადიან. ამ თვალსაზრისით ჰუმანიზმი შეიძლება გავგებულ იქნას არა როგორც რენესანსის ერთი მხარე ანდა ეტაპი, არამედ როგორც მისი მთელი სოციალ-კულტურული სამყაროს შინაგანი დანიშნულება. რენესანსი კულტურის ჰუმანიტური ტიპია, ხოლო ჰუმანიზმი რენესანსული და მხოლოდ რენესანსული ფენომენია“ (რეც. გვ. 96. ლ. ბატინი, ზაზი ჩემია, შ. ხ.).

რუსთაველის ჰუმანიზმი ჩემთვის ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ამ დებულების დასამოწმებლად მრავალი ავტორის (ქართველი, რუსი, უცხოელი) დასახელება შეიძლება, მაგრამ აქ ერთი გერმანელი ავტორით შემოვიფარგლები: დანტე მაინც ფიქრობს თავისი იდეალის განხორციელებას „ზებუნებრივ სამყაროში“; რუსთაველს „სინათლე მიწაზე მოაქვს, იბრძვის ამ სინათლის ზეიმისათვის მიწიერი ცხოვრებაში“ (W. Kopczyn. Eine georgische Dichtung der Frührenaissance, „Berlin am Mittag“, N 92, 93, 1947).

მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ავტორების შეხედულებებში არაა. მიწიერი (ამქვეყნიური) სინამდვილის ონტოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულების იდეა საოცარი გარკვეულობითა და თანმიმდევრობით იკვეთება პოემაში და ჩემი სარეცენზიო ნაშრომის მთელი შესავალი (გვ. 3—33) და პირველი თავი (რუსთაველი, როგორც ჰუმანიტი, გვ. 34—48) ამ თეზისის დასაპუთებისადმი მიძღვნილი. ბუნებრივია, რუსთაველისათვის, როგორც პოეტური სიტყვის წარმომადგენლისათვის პირველი და მთავარი ესთეტიკური ღირებულების საკითხია, მაგრამ ესთეტიკური განუყოფელია ონტოლოგიურისა და ეთიკურისაგან. სრულ გამართლებას პოულობს პოემაში ადამიანის სულიე-

რი ცხოვრების ის მხარეები, რომლებითაც ის ამქვეყნიურ სინამდვილისკენაა მიმართული და მასთან არის დაკავშირებული. აქედან: ის შეუწულებელი სწრაფვა სიცოცხლისადმი, რომლითაც მთელი პოემაა გამსჭვალული.

ამიტომ ვფიქრობ, რომ XI—XII სს-ის ქართულ სააზროვნო სინამდვილეს ბევრი აქვს ანალოგიური იაკობ ბურკჰარდტის მიერ დახასიათებულ რენესანსის იტალიასთან, სწორედ ანალოგიური და არა იგივეობრივი, რადგან შეუძლებელია ორ სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენათა იგივეობაზე ლაპარაკი, როგორი მსგავსებაც არ უნდა იყოს მათ შორის. ანალოგიური არსებითი ნიშნების თვალსაზრისით და არა მათი ვრცეული და დროული განზომილებით.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, ვოლგასტი იზიარებს შეხედულებას ნეოპლატონიზმზე, როგორც „გადამწყვეტ საფუძველზე“ რენესანსის ეპოქის აზროვნებისათვის. მაგრამ, ჩანს, ის სათანადო მნიშვნელობას არ აძლევს ამ ფაქტს დასავლეთისა და ქართული რენესანსის ანალოგების დადგენის თვალსაზრისით. რენესანსული ეპოქის აზროვნებისათვის მნიშვნელობა აქვს მიწიერი სინამდვილის ღირებულების არა მხოლოდ აღიარებას და აღამიანურის ახლებურ გაგებას, არამედ ამ შეხედულების დასაბუთებას და, ჩემის აზრით, ეს დასაბუთება იყო, რამაც შუა საუკუნეების წილში ჩასახული ახალი იდეები სტიქიური მდგომარეობიდან გამოიყვანა, მათ პრინციპულად ახალი ნიშანი შესძინა და რენესანსულ ჰუმანიზმად აქცია.

ეს იდეები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ვლინდებოდა მეტ-ნაკლები კატეგორიულობით, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც კულტურის „გაამქვეყნიურება“ (Verweltlichung) საკმაოდ ღრმად და ფართოდ გავრცელდა, ეს იყო ამ იდეების გამოვლენა „საქმიან“, მათი შემოქმედების პროცესში „ფაქტობრივად განხორციელებული“ სახით. ახალი მსოფლმხედველობა შეიძლებოდა განხორციელებულიყო მთელი თავისი „რენესანსული სისრულით“, სტიქიური მდგომარეობიდან გამოსვლისა და დასაბუთების პირობებში.

როგორია ანალოგია ქართულ და ევროპულ რენესანსს შორის ამ თვალსაზრისით? შეიძლება ითქვას: არსებითი და მნიშვნელოვანი! იქაც და აქაც ახალი იდეებს ფილოსოფია ასაბუთებს, იქაც და აქაც — ნეოპლატონიზმი.

ფაქტებს აღარ გავიმეორებ, ამაზე საკმაოდაა ლაპარაკი სარეცენზიო ნაშრომში. აღნიშნავ მხოლოდ, რომ ნეოპლატონიზმისადმი ესოდენ ფართო ინტერესი იმდროინდელ საქართველოში შემთხვევითი არ იყო. ეს იყო ეპოქის სააზროვნო მდგომარეობით, დონით და მოთხოვნილებით განსაზღვრული ფაქტი. და ალბათ არც ისაა შემთხვევითი რომ ჰუმანიზმისა და ნეოპლატონიზმის იდეური სიახლოვე და კავშირი ფაქტობრივად და დადასტურებული „ეფესოსისტიკოსანში“, ქართული რენესანსის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ძეგლში.

საყურადღებოა, რომ რეცენზიის ავტორი რენესანსის „მეცნიერული სახის დასადგენად მის შინაარსთან“ ერთად, რაც სავსებით გასაგებია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „დროითი მონაკვეთის ხანგრძლივობასაც“ (გვ. 94), რაც არ შეიძლება, ჩემის აზრით, გადაწყვეტ პირობას წარმოადგენდეს. მაგრამ აქ ავტორის პოზიციის გასარკვევად უფრო ისაა მნიშვნელოვანი, რომ რეცენზიის ბოლო ნაწილში და წინააღმდეგ წინა სტრიქონებისა, წერს: „იმ საერთო შინაარსზე, რომელიც ყველა ამ „განსხვავებულ რენესანსებს“ აერთიანებს..., აქამდე არავითარი დასაკმაყოფილებელი პასუხი არა გვაქვს“. მას აღარც ხიდაშელის აღიარებული „მითითება“ მიაჩნია (გვ. 97—98) სწორად და აღარც ლ. ბატკინის

დებულება ჰუმანიზმისა და რენესანსის მქიდრო, შეიძლება ითქვას, განუყრელ ერთიანობაზე.

რეცენზიაში ლაპარაკია (გვ. 95) იმ მრავალრიცხოვან პრობლემებსა და გამოკვლევებზე, რომლებიც „უნდა იქნეს გააზრებული, როცა ჩვენ რენესანსზე და ჰუმანიზმზე ვლაპარაკობთ“. ეს იმდენად ნათელია, რომ შეიძლება არც იყო საჭირო ასე დეტალურად შეჩერება. მე შემძლო ეს ვრცელი სია გამეგრძელებინა საბჭოთა კავშირში არსებული სამეცნიერო დაწესებულებებითა და ავტორებით, რომლებიც ამ საკითხზე ფიქრობენ და წერენ.

ეს გარემოება მქონდა გათვალისწინებული, როდესაც ოთხი წლის წინ ვწერდი: „ჩვენ არ შევდივართ ქართული რენესანსის საკითხის დეტალურ განხილვაში... რენესანსი საერთოდ მოვლენათა რთულ კომპლექსს გულისხმობს, დაწყებული ეკონომიკური, პოლიტიკური პირობებით და დამთავრებული კულტურული შემოქმედების უჩვეულო მრავალფეროვანებით. ამითაა გამოწვეული რომ რენესანსის პრობლემის გარშემო, შეიძლება ითქვას, ზღვა მასალა დაგროვდა, რომელიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს“ (რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, 1981., გვ. 17).

მაგრამ ახალმა გამოკვლევებმა და მათ შორის ალ. ლოსევის ავტორიტეტულმა მოსაზრებამ ქართულ რენესანსზე, რომელიც ციტირებულია ჩემი სარეცენზიო ნაშრომის შესავალში (გვ. 3), ჰუმანიზმის ჩამოყალიბებულმა და უქვევლმა ფაქტმა XI—XII ს-ის საქართველოში და ჰუმანიზმისა და რენესანსის ურყევმა კავშირმა და ურთიერთგანპირობებულობამ, მომცა საფუძველი გამეკეთებინა დასკვნა ქართული რენესანსის, როგორც ფაქტის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ რეცენზენტის ფრაზას—„რენესანსი“ ცნება საპატიოა, მრავალ ხალხს სურს ჰქონდეს რენესანსი. მაგრამ სადაც არაფერია, აქ საკამათოც არაფერია, თუ სინამდვილეს ძალას არ დავატანთ“ (გვ. 96) —ჩემს კვლევა-ძიებასთან და ქართული რენესანსის საკითხთან საერთო არაფერი აქვს.

საგანგებოდაა საჭირო შეჩერება ვოლგასტის ფრაზაზე: „ხიდაშელი ერთადერთი არაა, ვინც საქართველოსათვის რენესანსს ადგენს. შ. ნუცუბიძის მიხედვით ხომ დასავლეთევროპული რენესანსის ისტორიაშიც იტალიაში კი არა, არამედ საქართველოში იღებს საწყისს“ (გვ. 99).

რენესანსის აღიარება საქართველოში არ ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ დასავლეთის რენესანსის ისტორია საქართველოში იღებს სათავეს. ამ ორ დებულებას შორის არ არსებობს არც ლოგიკური და არც ფაქტობრივი კავშირი. ჩემთვის ეს შეხედულება, მიუხედავად იმისა, რომ მომხრეები გაიჩინა, მიუღებელია. ერთ ჩემს ნაშრომში კრიტიკულადაა შეფასებული ავტორი (В. Миллер-Будницкая, Шота Руставели—Грузинский Данте, «Литературный современник», Ленинград, 1937, 12) რომელმაც რუსთაველს „ქართველი დანტე“ უწოდა და წამოაყენა დებულება, რომ „საჭიროა გადაისინჯოს“ დასავლეთ ევროპის რენესანსის ისტორია. დასავლეთის რენესანსი „სათავეს იღებს არა იტალიაში არამედ საქართველოში“. უკანასკნელი ფრაზა გადაჭარბებაა, რამდენადაც „სათავე“ გულისხმობს არა მხოლოდ იდეურ მსგავსებას, არამედ რეალურ კავშირებს და რეალურ მემკვიდრეობით მიმართებებს (რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, 1981, გვ. 22—23). მსგავსება აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობაა ისეთი დასკვნისათვის, რაც აუცილებლად გულისხმობს

აგრეთვე კულტურათა შორის რეალურ კავშირებსა და ურთიერთობებს. მემკვიდრეობით კავშირზე ლაპარაკი რუსთაველსა და დასავლეთ ევროპის რენესანსს შორის ისევე დაუსაბუთებელია, როგორც ამგვარ კავშირზე რუსთაველსა და უპანიშადებს შორის, ვთქვათ ოთხი ელემენტის თეორიის საკითხში.

დასასრულ შევახსენებ მკითხველს ი. ს. ბრაგინსკის ნაშრომს, სადაც დეტალურადაა განხილული შ. ნუცუბიძის თეორიის გარშემო გამოთქმული pro და contra არგუმენტები და საბოლოოდ გამოთქმულია შეხედულება: „დისკუსიის დღევანდელ პირობებში, სანამ არ იქნება წამოყენებული ახალი, დამსაბუთებელი, ლოგიკური და კონკრეტულ-ისტორიული არგუმენტები, — დასაბუთებულად რჩება კონცეფციები რენესანსულ ტენდენციებზე და რენესანსზე აღმოსავლეთის მრავალლიტერატურაში“ (ციტირებული ნაშრომი, გვ. 101, ხაზი ავტორისა).

როგორც ვნახეთ, პატივცემული ვოლგასტი ეთანხმება ვ. დიცეს კატეგორიულად გამოთქმულ დებულებას, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი, ევროპული რენესანსი. ყოველივე თქმულის შემდეგ, ვფიქრობ, არსებობს თუ მეტი არა, არა ნაკლები საფუძველი იმისათვის, რომ დავეთანხმო მრავალ ცნობილ ავტორს და რეცენზიის სათაურშივე დასმულ კითხვას არსებობდა თუ არა ქართული რენესანსი? — გავცე პასუხი: არსებობდა. და როგორც ალ. ლოსევი წერს — „ამაზე კამათი შეუძლებელია“.

შუბრალ „მაცნეს“ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის
 სმარის 1985 წლის შინაარსი, № 1—4

- საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური
 კომიტეტის პლენუმის შესახებ, № 1
 მიხეილ ხერგის ძე გორბაჩოვი, № 1
 სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,
 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბ-
 ჭოთა ხალხს, № 1
 კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო, № 1

საბავოთა კავშირის დიდ სახვულო ომში
 ბამარჯვავის 40 წლისთავი

- ბანძელაძე გ. ომისა და მშვიდობის პრობლემათა ეთიკური ასპექტების შე-
 სახებ, № 2

ფილოსოფია

- ასანძიძე გ., წინადადებათა დახშული სისტემების ჰერციხეული ანალიზი, № 3
 თევზაძე დ., რასელის მნიშვნელობის თეორიის პრინციპების შესახებ, № 1
 თვარაძე რ., სიყვარულის პლატონური მოძღვრება, № 2
 კაუღელაშვილი ა., ნ. ნიკოლაძე იან ჰუსისა და მარტინ ლუთერის ადგილის
 შესახებ რეფორმაციაში, № 1
 კაბისოვი რ., ჰერაკლიტეს ლეჯი-ი და ლოგიკის მეცნიერება, № 1.
 კვანჭიანი შ., ნებისყოფის თავისუფლება და სოციალური დეტერმინაცია, № 1.
 კობახიძე შ., კანონის კატეგორიის ადგილი კლასიკურ და დიალექტიკურ-მატე-
 რიალისტურ დეტერმინიზმში, № 2.
 კერძევაძე ვ., სუბიექტური იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის პრინციპების ლე-
 ნინური კრიტიკა და მისი თანამედროვე მნიშვნელობა, № 2.
 კორტავა ვ., შინაგანი უკმარისობის მდგომარეობა და მისი დაძლევა, № 2.
 კვარაცხელია ნ., მისტერია და მითი როგორც წინამეცნიერული შემეცნებითი
 ფორმები, № 3.
 მშენიერაძე ნ., კანტი ისტორიის საზრისის შესახებ, № 4.

- პიჩევი ი. (ბრატისლავა), მისწრაფება სინკრეტისა ციისაკენ თანამედროვე ბურ-
უთაზიულ ფილოსოფიურ აზროვნებაში (კონკრეტული აპრიორის ფი-
ლოსოფიის კრიტიკისათვის), № 3.
- პეტრიაშვილი რ., კულტურა, შემოქმედება, ტრადიცია, № 4.
- უღიანოვა მ. (ლენინგრადი), რიცხვი მსოფლმხედველობათა დიალოგში, № 4.
- ხიტერი ლ., წარსულის გადმონაშთების ცნების განსაზღვრების საკითხისათვის,
№ 2.
- ჯოლოხავა გ., პერაკლიტეს დიალექტიკა, № 4.

ფსიქოლოგია

- ბიანდურაშვილი ნ., ნიჰის პრობლემა ფსიქოლოგიაში, № 3.
- გერსამია ი., ესებუა რ., მუსიკოს შემსრულებლის ინდივიდუალური ტემპის
ზოგეერთი თავისებურება განსხვავებული ემოციური დატვირთვის პი-
რობებში, № 2.
- თავაური გ., არჩევანი და ალტერნატივათა გადაფასება, № 4.
- იმედაძე ი., ქცევის აღწერის თეორიული პრობლემები, № 3.
- კაკაბაძე ვ., „განწყობითი ასახვისა“ და „განწყობის ფორმების“ ცნებები
დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაში, № 4.
- კვირიკაშვილი ე., განწყობის ფიქსირება და ჩვევა, № 3.
- კვირიკაშვილი ე., ფიქსირებული განწყობისა და ჩვევის ურთიერთობის საკი-
თხისათვის, № 4.
- ლოზინსკი ი., მატერიალური სტიმულირების ფსიქოლოგიური პრობლემები სა-
მრეწველო საწარმოებში, № 3.
- მაყაშვილი ქ., განწყობის ეფექტის თავისებურება ჯანმრთელ და შიზოფრე-
ნიით დაავადებულ ბავშვებთან, № 1.
- მირცხულავა რ., ემოციოგენურ სიტუაციაში ფიქსირებული განწყობის სპეცი-
ფიკის საკითხისათვის, № 1.
- სარჯველაძე ნ., პიროვნების პოზიცია და განწყობა: სტრუქტურულ-დინამიკური
კონცეპციის აგების ცდა, № 2.
- ქუთათელაძე ნ., ქალაქის „ძველი“ და „ახალი“ საცხოვრებელი გარემოს გან-
წყობისეული შეფასებანი და არქიტექტურული გეგმარებითი პრობლე-
მები, № 4.
- ყიფიანი გ., სოციალური განწყობის ცვლილება სხვადასხვა მოტივაციის პი-
რობებში, № 1.
- ჭავჭავაძე ნ., სოციალური განმტკიცების როლი სოციალური ქცევის განწყობის
ფორმირებაში, № 4.
- ჯვარიშვილი რ., ენობრივი რელატივიზმი და ორენიანობის პრობლემა, № 2.

ახალი თარგმანები

კანტი იმ., პრაქტიკული გონების კრიტიკა, № 3, № 4.

კრიტიკა და ზიგლინგრაფია

მახარაძე მ., ისევ რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესახებ, № 1.

მახარაძე მ., გამოკვლევა ბიზანტიური ესთეტიკის შესახებ, № 2.

ინფორმაცია

კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომებზე, № 1.

მ. მახარაძე, საქართველოს ფილოსოფოსთა პირველი რესპუბლიკური შეხვედრა, № 2.

გრიგოლ კალანდარიშვილის დაბადების 80 წლისთავი, № 3

გელა ბანძელაძე (ნეკროლოგი), № 3.

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოხუჭვეყნებული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის სამდიული წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი
(ჟურნალ „მაცნესათვის“)

სარედაქციო კოლეგია

დასი 85 კაბ.

692/51



ქართული
ინდექსირება